ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო

საგანმანათლებლო პროგრამა

სოფიკო ცეცხლაძე

ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის შემოქმედება

ნაშრომი წარდგენილია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ინგა შამილიშვილი

ბათუმი 2023

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სარჩევი

შესავალი..... გვ.4

თავი I ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის ადგილი ქართულ მწერლობასა და დრამატურგიაში გვ.11

§ 1.ეპოქა და ალექსანდრე ჩხაიძის შემოქმედების აქტუალობა.....გვ.11

§ 2. მწერლის მოგონებები და მოგონებები მწერალზე.....გვ.18

თავი II ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის დრამატურგია.....გვ.27

თავი III ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძისმხატვრული პროზა.....გვ.75

§1. პუბლიცისტიკა, მოთხრობები, მხატვრული ნარკვევები.....გვ.75

§ 2. მემუარისტული პროზა გვ.96

§3. მოქალაქეობრივი მრწამსი გვ.112

დასკვნა.....გვ.116

გამოყენებული ლიტერატურა.....გვ.121

შესავალი

თემის აქტუალობა

ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძემ მისი წილი მეოცე საუკუნე ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის საკმაოდ მძიმე პერიოდში, მისთვის დამახასიათებელი უჩვეულობით გაიაზრა და ჩვენამდე მოიტანა. კომუნისტურ ეპოქასა და მის თანამედროვე მოვლენებს გამორჩეული ოსტატობით, პროფესიონალიზმით დაუკავშირა თავისი ნააზრევ-ნაფიქრალი და მრავალფეროვანი მხატვრული ტექსტებით შემოგვინახა. ნაწარმოებებმა, მემუარისტიკამ, პიესებმა თუ მოთხრობებმა სარკისებურად აირეკლა ეპოქის მაჯისცემა, ქვეყანაში განვითარებული ყოველი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მოვლენა და ისტორიას შემოუნახა.

ალ. ჩხაიძე საბჭოთა საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული დრამატურგი, მწერალი და ჟურნალისტი გახლდათ. მისი პიესები განსაკუთრებული პოპულარობით იდგმებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის თეატრებსა და მის საზღვრებს მიღმაც. იგი მწერლობაში ჟურნალისტიკიდან მოვიდა და მთელი ცხოვრება მიუძღვნა თეატრსა და დრამატურგიულ საქმიანობას. თუმცა, დრამარტურგიისადმი უზომო სიყვარულის მიუხედავად, ჟურნალისტიკისათვის თავი მაინც არ დაუნებებია. პირიქით, მისი აქტიური მწერლობის პარალელურად, საგაზეთო სტატიებშიც ხშირად აქვეყნებდა ყოველკვირეულ მიმოხილვებს, რეცენზიებსა და რეპორტაჟებს.

ბათუმში, და არამარტო, ძალიან კარგად იცნოდნენ მას და მის შემოქმედებას. უფროს თაობას ძალიან კარგად ახსოვთ ის, როგორც შესანიშნავი მწერალი და ადამიანი, ამიტომაც სიყვარულით დღესაც შოშიად მოიხსენიებენ. შოშიას ეძახდნენ არა მხოლოდ ახლობლები, არამედ მთელი საქართველო - თეატრალები, მუსიკოსები, ჟურნალისტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, პოლიტიკოსები. მისი აქტიური თეატრალური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან რამდენიმე ათწლეულმა წელმა განვლო, ამდენად ახალ თაობას

ბუნებრივია, ნაკლები ინფორმაცია აქვს მისი დამსახურებული ღვაწლის შესახებ ქართული ლიტერატურისა და დრამატურგიის წინაშე. წარმოდგენილი ნაშრომის ერთ-ერთ მიზანსაც სწორედ ამ საინტერესო შემოქმედის ფართო საზოგადოებისათვის წარდგენა გახლავთ.

1924 წლის 29 თებერვალს, ქალაქ ბათუმში დაიბადა ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძე. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გააგრძელა. თუმცა, მალევე ომის გამო, იძულებული გახდა სწავლისთვის თავი დაენებებინა და ფრონტზე წასულიყო. ამიტომაც, ნაცვლად ფილოლოგიური ფაკულტეტისა, 1954 წელს მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი დაასრულა.

სწავლის დასრულების შემდეგ დრამატურგი აქტიურად მოღვაწეობდა ჟურნალისტიკაში, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან და რადიოსთან, ცოტა ხანი კი სკოლაში პედაგოგადაც უმუშავია. იყო მწერალთა კავშირისა და ჟურნალ „ჭოროხის“ სარედაქციო კოლეგიის აქტიური წევრიც. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აჭარის თეატრალურ საზოგადოებას და თავისი წვლილი შეჰქონდა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

შოშია ჩხაიძე გახლდათ ახლო წარსულის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ქართველი დრამატურგი. იგი თავისი შემოქმედებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით მკითხველ-მაყურებელთათვის ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა, როგორც მორალურად, ასევე ეთიკურადაც.

მისით აღფრთოვანებულები იყვნენ არა მხოლოდ საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ქვეყნები, არამედ საზღვრებსაც გასცდა მისი ნიჭიერება და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა აღაფრთოვანა. თუმცა, რა თქმა უნდა, მის პიესებს პირველი ყოველთვის ქართველი მკითხველი და მაყურებელი ეცნობოდა.

დრამატურგის მოღვაწეობაში, განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის ფაქტიც, თუ რამდენად სრულყოფილად, სრულფასოვნად გადმოსცა საბჭოთა საქართველოს იმდროინდელი ყოფიერება. ყოველი ისტორიული ფაქტი, რომლებსაც საზოგადოებაში ასე მძლავრად ჰქონდა ფესვები გადგმული. თავისი საქმიანობით შოშია ჩხაიძემ შეძლო და, არა მარტო საქართველოს მოქალაქეების ცხოვრება-საქმიანობის აღწერილობითი ნუსხა წარმოეგდგინა, არამედ საზღავრს მიღმა დარჩენილი ქართველების ცხოვრების ამსახველი ფაქტებიც შემოენახა, რომელსაც თავისი ბოლო წიგნი ,,ჩვენებურები'' მიუძღვნა. ეს თემა კი მწერალს ძალიან ეტკივილებოდა.

შოშია ჩხაიძე მწერლობაში ჟურნალისტიკიდან მოვიდა. პირველად მისივე პირველი ხელმოწერილი ინფორმაციები თუ კორესპონდენციები, რეგიონის მთავარ გაზეთში, „საბჭოთა აჭარაში“ დაიბეჭდა. პარალელურად ამისა, დრამატურგი სისტემატურად აქვეყნებდა რეპორტაჟებსა თუ ნარკვევებს ცხოვრების ყველა აქტუალურ თემაზე, რეცენზიებს საგასტროლოდ ჩამოსული თუ ადგილობრივი თეატრალური წარმოდგენების შესახებ.

დრამატურგი თავის შემოქმედებაში რელიეფური და კონკრეტული თვალსაჩინოების მეშვეობით წარმოაჩენდა კომუნისტური ცხოვრების შუქ-ჩრდილებს, პიესებში გაჟღერებულ ისტორიებს, რეალური ამბები უდევს საფუძვლად. მისი დრამატურგიული საქმიანობის მთავარი მოტივი გახლდათ ის, რასაც ავტორი თავის შემოქმედებაში ღიად და დაუფარავად ამხელდა და მეორე ის - თუ რამდენად რთულ ეპოქაში უწევდათ ცხოვრება მასა და მის თანამედროვეებს.

ფაქტი ერთია, როგორი სწორხაზოვანიც არ უნდა იყოს მისი დრამატურგიის ახსნა, ყოველივე მაინც იმითაა განპირობებული, რომ დრამატურგიული ჟანრები და დრამა ისე ვერ შეძლებენ არსებობას, ავტორიმათში მთელი უშუალობით ცხოვრების მამოძრავებელ ძალას, მამხილებელ პათოსს, კონკრეტულ პერიოდს თუ არ ასახავს. ვინაიდან, მწერლობაში დრამა ის ჟანრია, რომლის ასამოქმედებლად საჭირო და

აუცილებელიცაა ავტორმა გადმოსცეს კონფლიქტური და რთული პერიოდი, რაც მწერლის ირგვლივ მიმდინარეობს თუ უკვე მომხდარა. დრამატურგის მიზანიც ხომ სწორედ ეს არის, თანამედროვეობის დინამიკა გადააქციოს საკუთარი შემოქმედების დინამიკად, რაც შოშია ჩხაიძის შემოქმედებას ნამდვილად არ დაჰკლებია.

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ნათელია, რომ შოშია ჩხაიძე თავისი დრამატურგიით ნამდვილად არ კარგავდა რეალობის აღქმისა და წარმოჩინების მძაფრ სურვილებს. პირიქით, ქვეყანაში რაც უფრო რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იყო, მით უფრო ნათლად წარმოჩინდებოდა არსებული პრობლემატიკა მის შემოქმედებაში, რადგან დრამატურგია ვერ ჩამოშორდება არსებული მოვლენების გაშუქებას.

თავისთავადია, რომ მისი პიესების პერსონაჟები, კომუნისტური ცხოვრების ამსახველი ფაქტების კრებითი სახეები არიან. ავტორს ყველაფერი იმ რეალობიდან ჰქონდა აღებული, რომლებსაც, სამწუხაროდ, ქართველი რეპრესირებული ინტელექტუალების ცხოვრება ეწირებოდა. მწერალი თავის პიესებში ყოველთვის წინა პლანზე წამოსწევდა პერსონაჟების სულიერ სიძლიერეს, თავისუფლად აზროვნებისა და განვითარების მნიშვნელობის აუცილებლობას, რომელიც საზოგადოების სულიერი თუ ფიზიკური განვითარების საწინდარი გამხდარა.

კვლევის ობიექტია ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის შემოქმედება, ხოლო კვლევის საგანია მისი შემოქმედების, პიესებისა და პუბლიკაციების სიღრმისეული ანალიზი, რომელთაც მეოცე საუკუნის საზოგადოებრივ თუ დრამატურგიულ აზროვნებაში ფუნდამენტური ცვლილებები შეიტანეს. იგი საქართველო საბჭოთა კომუნისტურ პარტიის წევრი იყო და, როგორც წესი, ისიც მოკლებული იყო ეროვნული მოტივებით თავისუფლად ცხოვრების ნებას, რამაც ავტორს ააღებინა კალამი ხელში და ასე ათქმევინა სიმართლე. სწორედ, ამ ფაქტითაა განპირობებული ჩვენი დაინტერესება ამ საინტერესო მწერლის შემოქმედებით.

კვლევის აქტუალობიდან გამომდინარე, **კვლევის მიზანია** გავაანალიზოთ ალექსანდრე ჩხაიძის დრამატურგიული მოღვაწეობა. განვიხილოთ ეპოქალური მოვლენები, ავტორისეული კრიტიკული ანალიზი თუ მსჯელობა, რომლის ფონზეც იწერებოდა ყოველი ნაწარმოები.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, **კვლევის ამოცანებია:**

- ეპოქის მიმოხილვა და ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის ადგილის განსაზღვრა ქართულ დრამატურგიაში;
- მწერლის თეატრალურ-ლიტერატურული შემოქმედების შესწავლა; პიესების, მოთხრობებისა და პუბლიკაციების მიმოხილვა;
- მწერლის ცხოვრების, მოგონებებისა და მემუარისტული პროზის ზოგადი ანალიზი.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა

მოცემული სამეცნიერო ნაშრომის კვლევის ობიექტად განიხილება, როგორც დრამატურგის შემოქმედებითი მოღვაწეობა, ასევე, ავტორის სხვადასხვა ცხოვრებისეული მნიშვნელოვანი მოვლენების ანალიზი, ისტორიული კონტექსტი. სწორედ, საკითხის ამგვარად განხილვამ განსაზღვრა შოშია ჩხაიძის შემოქმედების ადგილი მე-20 საუკუნის ქართულ კულტურასა და ლიტერატურაში. მისი საზოგადოებრივი საქმიანობისა და მოღვაწეობის წყალობით, მეოცე საუკუნის დრამატურგიულ ცხოვრებაში ჩამოყალიბდა მორალურ-ეთიკური, ჯანსაღი კრიტიკისა და თავისუფალი აზროვნების ძირითადი საფუძვლები.

სამეცნიერო ნაშრომის საინფორმაციო-დოკუმენტურ ბაზად აღებულია საბჭოთა აჭარისა და 90-იანი წლების სხვადასხვა საგაზეთო პუბლიკაცია, რომლებიც განსაზღვრავენ არა მარტო სახელმწიფოს პოლიტიკურ თუ შემოქმედებით მიმართულებებს, არამედ წარმოადგენენ განხორციელებული საქმიანობის შეფასების ძირითად მახასიათებლებსაც.

ასევე, კვლევისათვის მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის პიესები და თხზულებები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დრამატურგის უკანასკნელი ნამუშევარი, ავტობიოგრაფიული წინგი ,,ჩემი წილი საუკუნე'', რომელშიც დრამატურგმა თავისი ცხოვრების ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის შესანიშნავი შეჯამება გააკეთა. მწერლის ეს უკანასკნელი მემუარისტული წიგნი გახდა ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი საკვლევი თემისა, ვინაიდან მასში ავტორი თავად აკეთებს ცხოვრების ანალიზს.

კვლევის მეთოდოლოგია. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ნაშრომში გამოყენებულია კვლევის აღწერილობითი, შედარება-შეპირისპირების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა მეთოდისა და თეორიული მიდგომის მიზნობრივ გამოყენებას. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები განპირობებულია ალ. ჩხაიძის შემოქმედებითი საქმიანობის უკეთ შესწავლის, დამუშავებისა და მასალების ანალიზისათვის. კერძოდ, კვლევისას გამოყენებულია: ემპირიული და თვისებრივი კვლევის განსხვავებული მეთოდები, მათ შორის: სისტემური, დოკუმენტის ანალიზისა და მონოგრაფიული კვლევის მეთოდები.

მოსალოდნელი შედეგები, რომელსაც შემოქმედის დრამატურგიული მოღვაწეობის თემის წინა პლანზე წამოწევისა და ანალიზის პროცესში მოველით, არის ის, რომ ჩვენ მიერ დამუშავებული მასალა, ვფიქრობთ, მომავალ მკვლევრებს დაეხმარება გაიაზრონ დრამატურგის ღვაწლი ქართულ ლიტერატურასა თუ თეატრალურ ცხოვრებაში. პიესებისა და პუბლიკაციების თანადროულობა, ეპოქალური აქტუალობა მნიშვნელოვანი გახლდათ როგორც ქართველი ხალხისთვის, ასევე ქართული ლიტერატურისათვის. შოშია ჩხაიძის შემოქმედებითი საქმიანობის პოპულარობა, რამაც გაზარდა ქართული თეატრით მსოფლიოს დაინტერესება. ვფიქრობთ, მომავალი თაობებისათვის ყოველი ასეთი მზა ინფორმაციის არსებობა და ხელმისაწვდომობა, მუშაობის პროცესს უფრო პრაქტიკულსა და პროდუქტიულს გახდის. უფრო

კონკრეტულად კი, მოცემული სადისერტაციო ნაშრომით, მომავალ მკვლევრებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ დრამატურგის შემოქმედების ძირითადი ეპოქალურ მახასიათებლებს, პიესების პერსონაჟების მხატვრულ-გამომსახველობითი სახეების ანალიზს, მეოცე საუკუნისათვის დამახასიათებელ საბჭოურ პრობლემებსა და ჯანსაღ კრიტიკას ქართულ დრამატურგიაში, ავტორისეულ პუბლიკაციებსა თუ რეცენზიებს.

თავი I

ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის ადგილი ქართულ მწერლობასა და დრამატურგიაში

§ 1. ეპოქა და ალექსანდრე ჩხაიძის შემოქმედების აქტუალობა

საბჭოთა კვლევის ლაბორატორიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ოქტომბრის რევოლუციიდან უმოკლეს დროში, საბჭოთა კავშირი იქცა ისეთ სახელმწიფოდ, სადაც ცენზურამ ქვეყანაში ოფიციალური, მასშტაბური სახე მიიღო. ცენზურის დაკანონება, თუკი უპირველეს ყოვლისა სიტყვისა და თავისუფლების გამოხატვის შეზღუდვით შემოიფარგლებოდა, შემდეგ უკვე ლიტერატურულ თავისუფლებასაც შეეხო. „შემოქმედთა გარკვეულ ნაწილს სწორედ შიში აგრძნობინებდა არსებული რეალობის აბსურდულობას, აძლიერებდა პროტესტის განცდას და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „განსხვავებული აზრის“ გამომუშავების საქმეში. სხვაგვარად მოაზროვნე მწერალი კი მარტივად ცხადდებოდა „მტრად“, ხოლო მისი შემოქმედება - ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობად, რასაც ყოველთვის ერთი დასასრული ჰქონდა - დასჯა.“ (ბოლშევიზმი...2016:11) ცენზურის მკაცრი კონტროლის მსხვერპლი გახდა თეატრი, კინო, მუსიკა.

ცენზურა მკაცრი იყო ცალკეული წიგნების, ფილმების, თატრალური თუ საზოგადოდ, ყველა სფეროს მიმართ. რა თქმა უნდა, არც ალექსანდრე ჩხაიძის შემოქმედებისათვისაც არ ყოფილა მარტივი ამ გზის გავლა, თუმცა მისი პროფესიონალიზმი, ოსტატობა, ადამიანებთან ურთიერთობის უნარი აძლევდა შესაძლებლობას მის პიესებში შეფარვით, გადაკვრით მაინც გაეცხადებინა პირვანდელი იდეა.

ამ მძიმე პოლიტიკურ-სოციალისტური პირობების პარალელურად მწერალმა შეძლო და თავისი დრამატურგიით, რომელიც გამუდმებით ცენზურის მარწუხებს უვლიდა გვერდს, ქვეყნის უკეთესი მომავლის

შექმნისთვის ებრძოლა. დრამატურგი თავის ნაწარმოებებში სამშობლოზე ყოველთვის უდიდესი სიყვარულითა და ემოციით საუბრობს, რაც საბჭოური ცხოვრების მანკიერებებისგან გათავისუფლების სურვილით იყო განპირობებული. იგი საოცარი ოსტატობით თამამად საუბრობს იმ რეალურ მოვლენებზე, რომელზეც გაჩუმება დიდ დანაშაულად მიაჩნდა.

ავტორს, თავის პიესებში, არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ამბავი აქვს წამოწეული. ჩვენამდე მოტანილი მისი თვალით აღქმული და გაანალიზებული ფაქტები, რითაც ქართულ დრამატურგიაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი მარცვალიც ჩადო. ამის მტკიცებულებას წარმოადგენს მისი არაერთგზის გამოქვეყნებული და თეატრის სხვადასხვა სცენაზე გაცოცხლებული პიესები. ავტორის პირველივე პიესა „გზაჯვარედინზე“, რომელიც ბათუმის დრამატულ თეატრში დაიდგა, დრამატურგის მომავალი წარმატების საწინდარი გამხდარა.

დრამატურგიული მოღვაწეობიდან უკვე ათი წლის შემდეგ მწერალმა საყოველთაო აღიარება და ყურადღება მიიპყრო, იმ დროისათვის მეტად გაბედული პიესებით: „ხიდი“ (1969 წ.); ,,ზღაპარი იყო'' (1969 წ.), ,,როცა ქალაქს სძინავს'' (1975 წ.), “თავისუფალი თემა“ (1979 წ.), „ჩინარის მანიფესტი“, „შთამომავლობა“ (1982 წ.), ,,სათადარიგო აეროდრომი'' (1986 წ.), ,,მესამე ზარის შემდეგ'' (1989 წ.), ,,ზღვის მოქცევა'' (1989 წ.) „სამიდან ექვსამდე“ და კიდევ სხვა, რითაც სამუდამოდ დაიმკვიდრა თავი ქართულ დრამატურგიაში. მიუხედავად იმისა, რომ მისი ყოველი პიესა რევოლუციურად იყო შერაცხული, მაინც გასაოცარი წარმატებით იდგმებოდა საბჭოეთის თეატრებიდან დაწყებული უცხოეთის თეატრებით დამთავრებული. (კომახიძე, 1999: 389).

არქივში ინახება ავტორის ისეთი პიესები, ,,იზუზუნეთ ფუტკრებო'', ,,მამულიშვილები'', ,,პირისპირ'', ,,მთავარი გამოცდა'', რომელთა სცენაზე გაცოცხლება, რიგი მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა, თუმცა ამავე არქივშია პიესებიც, ,,ხიდი'', ,,შთამომავლობა'' და ,,თავისუფალმი თემა“, რომლებმაც განსაკუთრებული სიყვარული, ყურადღება და თეატრალური კრიტიკის

უდიდესი მოწონება დაიმსახურა. ამ პიესებზე შეიქმნა კიდეც სატელევიზიო სპექტაკლები და ,,ქართულმა ფილმმა'' სრულმეტრაჟიანი ფილმებიც გადაიღო.

დრამატურგის შემოქმედების გაცნობისას, შესაძლოა მკითხველსა და მაყურებელს დაებადოს ასეთი კითხვა: რა აკლდათ და რა სწყუროდათ ავტორის პერსონაჟებს? პასუხი მარტივია, პირველ რიგში, ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ბიუროკრატიული მმართველობის წინააღმდეგ, მათი მამოძრავებელი ძალა არსებული სიმახინჯის წინააღმდეგ ბრძოლა, სიმართლისა და სამართლიანობის აღდგენა, კანონის უზენაესობა და თანასწორუფლებიანობა იყო.

ალ. ჩხაიძე თავის პიესებში განსხვავებული ხასიათის პერსონაჟებს გვთავაზობს, თუმცა თითოეულ მათგანს ერთი უმთავრესი რამ აერთიანებთ, ისინი ვერ ეგუებიან იმ რეალურ ყოფას, რომელიც ბიუროკრატიულ სიმახინჯეებსა და ფორმალიზმს ეფუძნებოდა. ამიტომაც თავისი შემოქმედებით უკომპრომისოდ დაუპირისპირდა მაშინდელი ცხოვრების სოციალისტური წესისათვის დამახასიათებელ მოჩვენებითსა და ყალბ კეთილდღეობას, საზოგადოებაში ფესვგამდგარ ფორმალიზმსა და უკეთილშობილეს ტყუილს. შემოქმედებითა და საზოგადოებრივი აქტიური მოღვაწეობით მწერალმა ხალხში შესაშური პოპულარობა და სიყვარული მოიპოვა. ამაში კი განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მისმა კრიტიკულმა პათოსმა, როგორც მისი პიესების სასიცოცხლო წყარომ, ვინაიდან ყოველი პიესა გამუდმებით „რაღაცის" გამოსწორების სურვილითიწერებოდა.

ალ. ჩხაიძე თავის შემოქმედებაში მწვავედ აკრიტიკებდა საბჭოთა მანკიერებებს, ხშირად სწორედ ეს თემატიკა იყო თეატრისა და კინოსთვის მიმზიდველი, რაც მისი პოპულარობის საფუძველიც ხდებოდა. მიუხედავად ასეთი პოპულარობისა დღემდე მწერლის შემოქმედება არ გამხდარა სრულფასოვანი კვლევის საგანი.

ალ. ჩხაიძე იყო მწერალი, რომელმაც განსაკუთრებული გამბედაობით გადმოსცა საბჭოთა საქართველოს რეალობა, ყოფა და პრობლემა. ქართული

თეატრისათვის შექმნა სახასიათო სასცენო სახეები, რომლებსაც პროტოტიპები ჰყავდათ ცხოვრებაში, თითოეული პიესის პრობლემა კიგანზოგადოებულად წარმოადგენდა საბჭოურ რეალობას.

არა ერთი ქვეყნის სამასამდე თეატრი გამხდარა შოშია ჩხაიძის შემოქმედებითი წარმატების თანამონაწილე. საბჭოური სიყალბისა და მმართველობის მანკიერებების, სახელმწიფოში არსებული ხარვეზების გამომზეურება გახლდათ მისი ნაწარმოებების მთავარი სათქმელი.იგი ცდილობდა საზოგადოებაში თავისი აზრი გაეჟღერებინა, რათა ხალხისთვის სწორი პრინციპებით ცხოვრება ესწავლებინა. მისი ცხოვრების კრედო სამართლიან, თანასწორუფლებიან ქვეყანაში ცხოვრება გახლდათ. მიუხედავად მუდმივი კონტროლისა, მუქარისა და ცენზურისაგან ხშირი ზეწოლისა, დრამატურგს არასდროს უღალატია საკუთარი ცხოვრებიეული კრედოსთვის, მაღალი მოქალაქეობრივი თუ ზნეობრივი პოზიციებისთვის. შოშია ჩხაიძე შეუვალი შემართებით ძერწავდა მისი გმირების ხასიათებს. თითოეული მათგანი მხოლოდ დადებით ემოციას, უამრავ ასოციაციას ქმნის, მოძღვრავს, საზოგადოებას აფიქრებს სამართლიანი ცხოვრების შესაძლებლობებისა და უსამართლო რეჟიმის წინააღმდეგ განაწყობს. ცალსახაა, რომამ გმირების მამოძრავებელი ძალა მხოლოდ დრომოჭმულის, ძველის ნგრევისკენ მიმართული გზით დაუღალავად სვლა წარმოადგენდა.

დრამატურგის შემოქმედების შეფასებისას უნდა ითქვას ის, თუ რამდენად თანადროულად ჟღერდა საბჭოეთისა და ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების თეატრალურ სცენებზე გაცოცხლებული ეს პიესები. ავტორს არ დაუკარგავს დრამატურგიული რეალობის აღქმის უნარი და შემოქმედების ძირითად თემად საბჭოთა კავშირში არსებული, აქტუალური პრობლემატიკა დაუსახავს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მის ნაწარმოებებს, შემოქმედებით იდეას დღესაც არ დაუკარგავს ეროვნული სულისკვეთება. მიუხედავად ქვეყანაში არსებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური უმძიმესი ფონისა, ავტორი მაინც არ უშინდებოდა მაღალი თანამდებობის პირების

კრიტიკას და აგრძელებდა მართლის თქმას. დრამატურგის ყოველი პიესა, თხზულება, პუბლიკაცია თუ წერილი, იმდორინდელი რეჟიმის მკაცრი კრიტიკის ცალსახა მაგალითია. განსაკუთრებით მაშინ, როცა ყოველი სიტყვა მოზომილი, სხვებისთვის მისაღები, მოსაწონი უნდა ყოფილიყო, თუმცა ავტორი თავისი აქტიური დრამატურგიული საქმიანობით სტერეოტიპებს ამსხვრევდა, აგრძელებდა ჩარჩოების მიღმა წერას. ამისი დასტურია მისი არაერთი წარმატებული ნამუშევრის ეკრანიზაცია, თეატრის სცენებზე გაცოცხლებული პიესა თუ გამოცემა.

შოშია ჩხაიძის შემოქმედებამ ასახა ეპოქა, რომელშიც ხალხს უწევდა ცხოვრება. ნეპოტიზმი, მექრთამეობა, თაღლითობა, ქონებისა და საკუთრების თვითნებურად, უსამართლოდ ჩამორთმევა და კიდევ სხვა მრავალმა მანკიერებამ ააღებინა ავტორს კალამი ხელში. ადვილი წარმოსადგენია რამდენად რთული იქნებოდა მსგავს თემებზე საჯარო საუბარი, დაუფარავად წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ყველასგან სწორედ ამ თვისებებმა გამოარჩია მწერალი. ამ ყველაფერმა შედეგი გამოიღო, ბევრისთვის ნათელი გახდა კომუნისტური ცხოვრების ბნელი მხარე.

რა თქმა უნდა, ამის გამო არაერთხელ მიუღია ავტორს ცენზურისაგან გაფრთხილება, მაგრამ ამის მიუხედავად მის ყოველ ახალ ტექსტში პირვანდელი იდეა, აზრი კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით იჩენდა თავს. ამ ფაქტის ახსნა დრამატურგს თავადაც უჭირდა, თითქოს წინასწარ იცოდა თუ როგორ შეფასებასაც მისცემდნენ ყოველ ახალ პიესას, მაგრამ ამას არ უშინდებოდა და ყოველთვის ამბობდა, რომ ამქვეყნად ადამიანი მხოლოდ სიმართლისა და სამართლიანობის დაცვისთვის უნდა ცხოვრობდეს და არაქვს მნიშვნელობა, როგორ გააკეთებს ამასო. მისი არჩეული გზა სწორედ სამართლიანობისათვის ბრძოლის გზა იყო.საბჭოთა საქართველოში მსგავს სითამამეს მხოლოდ ერთეულები იჩენდნენ.

ავტორის მიერ წარმოდგენილი პერსონაჟები ცხოვრებისეულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე გვესაუბრებიან. არსებული

მდგომარეობის წინააღმდეგ განგვაწყობენ, ნათელი მომავლისა და თავისუფლებისაკენ ბრძოლისაკენ გვიბიძგებენ, ძირგამომპალი რეჟიმის წინააღმდეგ განგვაწყობენ.

90-იან წლებში, როდესაც თეატრისათვის არავის ეცალა, ალ.ჩხაიძემ პუბლიცისტიკას მიჰყო ხელი, გამოსცა სამი წიგნი, მათ შორის ერთ-ერთი თურქეთის ჩვენებურებზე. ამ უკანასკნელში მისი დიდი სატკივარი გვიამბო. მწერალი ჟურნალისტიკიდან მოვიდა დრამატურგიაში, ბოლომდე შეინაჩუნა პირვენდელი პროფესიის სიყვარული და მის არცერთ ნაწარმოებს არ დაკლებია მახვილი პუბლიცისტური ხედვა. სწორედ ამან განაპირობა მისი პოპულარობა. ალეგორიული კომედია შოშია ჩხაიძის პიესების მახასიათებლად იქცა. წერის ეს სტილი, იუმორისტულად გადმოცემული ამბავი მის პიესებს მეტ სიმძაფრეს სძენს. დრამატურგმა ალეგორიული კომედიის მეშვეობით შეძლო საბჭოთა კავშირის უმკაცრესი ცენზურის ფონზე სცენაზე გადაეტანა ისეთი პირდაპირი, რეალობის ამსახველი პიესები, როგორებიც იყო ,,შთამომავლობა'', ,,ხიდი'' ,,სამიდან ექვსამდე'' და სხვა.

მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ქვეყანაში გაბატონებულ მანკიერებებს არ შეეხებოდა, იგი განაზოგადებდა მას, რაც ამ საკითხებს ზოგადსაკაცობრიოდ აქცევდა. ამის დადასტურებად შეგვიძლია გავიხსენოთ პიესა ,,ჩინარის მანიფესტი'', რომელიც ჩინელმა რეჟისორებმამათი ქვეყნის მანიფესტად მონათლეს. ხოლო მოსკოვის გასტროლის შემდეგ სპექტაკლ ,,ხიდზე'' დაწერილი რეცენზიაში კრიტიკოსი დასძენს, რომ ეს სპექტაკლი მოსკოვში სტუმრად ჩასულ ქართველებს კი არ უნდა დაედგათ, არამედ მოსკოველებს უნდა დაეხვედრებინათ მათთვის, ვინაიდან პიესის იდეა უშუალოდ ცენტრალური ხელმძღვანელობის პრობლემაზე საუბრობდა.

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ქალაქის კოლორიტს წარმოადგენენ. ბათუმისთვის ასეთი კოლორიტი იყო ალექსანდრე ჩხაიძე, რომელსაც მთელი საქართველო შოშიას ეძახდა. დიდი გულის პატრონი,

ფაქიზი და ლმობიერი, ძალიან მეგობრული, მზრუნველი, თბილი და ყურადღებიანი, თუმცა ამავდროულად ჯუჯღუნაც იყო. ბევრს მუშაობდა, ყოველთვის რაღაცას აკეთებდა, ცდილობდა არასდროს ამოვარდნილიყო ცხოვრების რიტმიდან, მუდამ სიახლის ძიების და განვითარების სურვილით იყო შეპყრობილი. სტუმართომყვარეს, მუდამ მეგობრების წრეში ნახავდით, სხვანაირად ცხოვრება არც შეეძლო. ახლო მეგობრები, ნაცნობები თუ უცნობები, გაოცებულნი რჩებოდნენ როგორ ასწრებდა ყველაფერს, თეატრისთვის წერას და ამავე დროს გაზეთებისთვის ყოველკვირეული სტატიებისა და რეცენზიების მიწოდებას. ალექსანდრე ჩხაიძე სხვებისგან, სხვა ღირსებებთან ერთად, სწორედ ამ უნიკალური თვისებებითაც გამოირჩეოდა.

შოშია ჩხაიძის შემოქმედების წყალობით, ქართული პიესა გახდა არაერთი ქვეყნის თეატრალური რეპერტუარის წარმატებული მონაწილე. ავტორის პირველი პიესა ,,გზაჯვარედინზე'' პირველად ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დაიდგა, 1958 წელს. ამ პიესის შემდეგ კი დაიწყო მისი, როგორც დრამატურგის შემოქმედებითი აღმასვლა და მალევე გამოაქვეყნა შემდეგი პიესები: ,,თავისუფალი თემა'', ,,ხიდი'', ,,როცა ქალაქს სძინავს'', ,,ჩინარის მანიფესტი'', ,,სამიდან ექვსამდე'' ,,შთამომავლობა".

პირველი მოთხრობა ,,მეგობრობა''კი 1950 წელს დაიბეჭდა, რითაც შოშია ჩაიძემ მკითხველთა გულების მოგებამისთვის დამახასიათებელი იუმორითა და უჩვეულო გულახდილობით შეძლო. მისი უშუალობა, ქარიზმა, პროფესიონალიზმი და საქმისადმი უანგარო სიყვარული გახლდათ ის მარტივი გასაღები, რითაც ყველას სიყვარული დაიმსახურა.

§ 2. მწერლის მოგონებები და მოგონებები მწერალზე

ალექსანდრე ჩხაიძე თავისი მაღალი მოქალაქეობრივი პათოსითა და ბევრისათვის შესაშური შემართებით ამბობდა თამამ სიტყვას იმ

სინამდვილეზე, რომელშიც ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. მას ყველაფერთან ერთად, ადამიანებთან ურთიერთობის უზადო ნიჭი და შეუვალი თვისებებიც გააჩნდა. იგი უხვად გასცემდა სიკეთესა და სიყვარულს. სწორედ ამიტომ, მისი მეგობრების წრე უსაზღვროდ დიდი იყო, ხოლო ამ წრის გეოგრაფია უამრავ ქვეყანაში იყო გაშლილი. ამიტომაც არაერთი მოგონება დაწერილა მწერლის მიერ და მწერლის შესახებ, რომელიც ხაზს უსვამს მის გულღიაობას.

ალექსანდრე ჩხაიძე ბავშვივით უშუალო და პირდაპირი ადამიანი იყო. მისთვის ყველა და ყველაფერი უმნიშვნელოვანესი გახლდათ, ყველაფერს განიცდიდა და ყველაფერზე ფიქრობდა. არასდროს გაჩერებულა, მუდამ ახლის ძიებისაკენ მიისწრაფოდა. მისი აღფრთოვანებისთვის სულ მცირედიც საკმარისი იყო და პირიქით, სულ მცირე რამეზეც დენთივით აფეთქდებოდა. ავტორს არ უყვარდა სათქმელის გულში ჩატოვება. პირდაპირობა მისი ცხოვრების კრედო გახლდათ, რაც ასე ნათლად წარმოჩინდება მის შემოქმედებაში. შოშია ჩხაიძეს ყველაფერთან ერთად, განტვირთვის თავისებური მეთოდი ჰქონდა, რაც შემდეგში მდგომარეობდა, რომ გაბრაზებული თუ სხვა საშუალება აღარ დარჩებოდა, ლოგინში უნდა ჩაწოლილიყო, თავი საბანში ჩაერგო და ეყვირა - ძირს უსამართლობა, ძირს ტირანიაო.

ალექსანდრე ჩხაიძის პიესების პოპულარობას განაპირობებდნენ ის გამორჩეული რეჟისორები, რომლებსაც ოსტატურად გადაჰქონდათ მისი ნააზრევი სცენაზე, ხოლო სახასიათო სახეებს განსაკუთრებული მსახიობები ქმნიდნენ. მისი პიესების დამდგმელი რეჟისორები იყვნენ გიგა ლორთქიფანიძე, მიხეილ თუმანიშვილი, გიორგი ქავთარაძე და სხვ. ამ უკანასკნელს ავტორის იმდენი პიესა დაუდგამს, რომ ხუმრობით მისთვის „შოშიოლოგიც“ კი შეურქმევიათ. დრამატურგის თეატრალური შემოქმედებითი ცხოვრება თეატრის დიდ ლეგენდებთან ეროსი მანჯგალაძესთან, გივი ბერიკაშვილთნ, ვერიკო ანჯაფარიძესთან, სერგო ზაქარიაძესთან და სხვა ბევრ კორიფესთან იყო დაკავშირებული. ისეთი ქალი - პერსონჟების, როგორებიც იყვნენ მარიკა

ჩოდრიშვილი, ფატი გურიელი, ცირა გელოვანი, სასცენო თუ ეკრანული სახეები შექმნეს ვერიკო ანჯაფარიძემ, ნინო საკანდელიძემ, კლაუდია კარდინალემ, ალისა ფრეინდლიხმა.

ამ გამორჩეულ ადამიანებთან შეხვედრებს მწერალი თავის მემუარებშიც იხსენებს - ,,ერთხელ სცენაზე მარტო იმიტომ ავედი, რომ ვერიკოს კალთას ვმთხვეოდი... ამ ადამიანებთან სიახლოვემ საშუალება მომცა, ქართული თეატრის ბევრი გამარჯვების მოწმე და მონაწილე ვყოფილიყავი. რა დამავიწყებს ჩემს პირველ თბილისურ სპექტაკლს, ან იმ დღეს, როცა მარჯანიშვილის თეატრში საკუთარი პიესა წავიკითხე! მეტიც, იგი მოიწონეს და დასადგმელადაც მიიღეს. მახსოვს, მეგობარ მსახიობთა წრეში ამ სასიხარულო მოვლენის აღსანიშნავად ჯიბეებიც კი მოვიჩხრიკე, მაგრამ გიგა ლორთქიფანიძემ, მისთვის ჩვეული იუმორით მითხრა: ნუ ჩქარობ, პიესა მიიღეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ რეპეტიციები დაიწყო და აფიშები გამოაკრეს. აი მესამე ზარს რომ მისცემენ და ფარდა გაიხსნება, მაშინ ჩათვალე, რომ შენი პიესის პრემიერა გაიმართებაო“ (ლელა დუმბაძე, ,,გიჟების მეფე'', რომლის შემოქმედებით ცხოვრებაში მესამე ზარი ბევრჯერ დაირეკა'', გ. ,,აჭარა''. N17(54). ბათუმი, 2003).

ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი ნინო საკანდელიძე ავტორის რამდენიმე სახასიათო შტრიხს იხსენებს: ,,პირველად ჩვენი შეხვედრა, დრამატულ თეატრში მოხდა, როცა მისი პირველი პიესა ,,გზაჯვარედინზე'' დაიდგა. მე მთავარ როლს ვასრულებდი, ამ როლის შემდეგ მეღვინეთუხუცესი და მე, საკავშირო სიგელით დაგვაჯილდოვეს - კარგი ფეხის დარჩი, არა, ისე ფეხებიც კარგი გაქვსო - მეხუმრებოდა ბატონი შოშია. მერე ისე წავიდა, რომ მთელ მის პიესებში ვიყავი დაკავებული. საერთოდ, ბუზღუნას ვეძახდით, ასეთი იყო სულ, როცა რაღაც არ მოსწონდა. ,,გიჟების მეფე“ ხარ-მეთქი - ვეტყოდი ხოლმე. როცა ჩვენს თეატრში ,,ხიდი'' დავდგით (სხვათა შორის, რუსთაველის თეატრმა ორი დღით დაგვასწრო), მიშა თუმანიშვილმა ნახა და მოიწონა. შოშია ამით ისეთი ბედნიერი იყო, რომ მოდი გაკოცოო - მაშინ

მითხრა, არ გეგონოთ რომ ვინმეს ტყუილად მოეფერებოდა. შოშია რომ შეგვაქებდა, გაოცებისგან პირი ღია გვრჩებოდა - როგორ გაიმეტაო, მაგრამ საოცარი გული ჰქონდა. ისე, რეჟისორულ ცვლილებებს ძალიან განიცდიდა - მე ამაში ეს აზრი ჩავდე და არა ესო - იტყოდა ხოლმე და არც გაემტყუნებოდა, ალბათ. თუმცა, ისეთი მომენტებიც იყო, როცა რეჟისორული აღმოჩენა უდიდეს ბედნიერებას ანიჭებდა. ეს იყო მარჯანიშვილთან ,,შთამომავლობაში'', როცა გაიგებდნენ, რომ შოშიამ ახალი პიესა დაწერაო, ყველას სურვილი ჰქონდა პიესაში დაკავებულიყო. სხვათა შორის, საბჭოურ მანკიერებებზე თამამად წერა, შოშიამ ძალიან ადრე დაიწყო. ჩემი ბოლო შეხვედრა მასთან ისევ თეატრში მოხდა. წმინდა ნინოს დღეს აღნიშნავდნენ, დარბაზში რომ შევედი თვალი მოვკარი. მივედი და ვკითხე, როგორა ხარ-მეთქი, - რა ვიცი, ვარ - მითხრა. რაღაცნაირად მომეთბო, თან უცნაური შეგრძნებაც დამიტოვა. ერთი საათის შემდეგ გავიგე რომ იგი ამქვეყნად აღარ იყო“ (ლელა დუმბაძე, ,,გიჟების მეფე'', რომლის შემოქმედებით ცხოვრებაში მესამე ზარი ბევრჯერ დაირეკა'', გ. ,,აჭარა''. N17(54). ბათუმი, 2003).

საგულისხმოა ისიც, რომ მისი პიესებით ასეთი დაინტერესება, შემთხვევითი სულაც არ ყოფილა. თბილისის, მოსკოვის, სანკ-პეტერბურგის, სოფიისა თუ ბუდაპეშტის, ტაშკენტისა თუ მინსკის თეატრების აღფრთოვანება, ხაზს უსვამს დრამატურგის მიერ არჩეული თემატიკის აქტუალობას.

გიგა ლორთქიფანიძე ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის პიესებზე ამბობდა: ,,შეიძლება ტრაბახით ვთქვა, რომ ყველა მის ახალ პიესას პირველი მე მაკითხებდა ხოლმე. ძალიან უყვარდა რომ მე წამეკითხა პირველი და ჩემი აზრი მოესმინა. ერთ-ერთი დიდი სიხარული იყო, როცა რუსთაველის თეატრის გახსნაზე, მისი სპექტაკლის ,,ხიდის'' წარმოდგენა გვქონდა. ჩემი აზრით, ეს იყო საეტაპო სპექტაკლი და წარმოდგენა, ქართულ თეატრსა და დრამატურგიაში. შოშიამ ამ პიესებით გაბედა ისეთი რამეები, რასაც მაშინ არათუ სახალხო განხილვას, გაფიქრებასაც ვერ ბედავდა. ამას მთელი

პასუხისმგებლობით ვაცხადებ“).(ჩხაიძე ალექსანდრე, „მიხეილ თუმანიშვილის გვერდით’’, გ. ,,აჭარა“. N 205-206. ბათუმი, 1997

გიგა ლორთქიფანიძეს შოშია ჩხაიძესთან ძალიან ახლო და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. მათი ცხოვრების გზები მუდმივად იკვეთებოდა, არა მხოლოდ თეატრალური საქმიანობით, არამედ ისინი სულიერადაც ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული. გიგა ლორთქიფანიძეს შოშიაზე არაერთი ინტერვიუ თუ სტატია გამოუქვეყნებია. აი რას ამბობს იგი ერთ-ერთ სტატიაში: ,,მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება, ბათუმში ჩასვლა შოშიათან ჩასვლას ნიშნავდა. დღესაც, როცა ბათუმზე ვფიქობ, შოშიაზე ვფიქრობ. ჩემთვის ბათუმი წარმოუდგენელია მის გარეშე. გარდა ამ პირადი სიყვარულისა, ალექსანდრე ჩხაიძესთან შეხვედრა ახალ პიესასთან შეხვედრა იყო. მრავალ პიესაზე და ფილმზე მომიწია მუშაობა შოშია ჩხაიძის ნაწარმოებების მიხედვით. ალექსანდრე ჩხაიძე ერთ-ერთი პოპულარული დრამატურგი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში და მის გარეთაც. არც ერთი ქართველი დრამატურგის იმდენი პიესა არ იდგმებოდა ქვეყანაში, როგორც ჩხაიძის პიესები. ის იყო დიდი ქართველი პატრიოტი და კაცი უსაზღვროდ შეყვარებული ბათუმზე’’ (ლორთქიფანიძე გიგა, ,,ჩემი შოშია’’ , გ. ,,აჭარა’’. N40, ბათუმი, 2004).

ასეთივე დიდი სიყვარულით, ძვირფასი მოგონებებით დაწერილი და გამოქვეყნებული სტატია აქვს დოდო ჭიჭინაძესაც: ,,შოშია ჩხაიძე საოცარი კაცი იყო, კეთილშობილი, მეგობრული და უღალატო ადამიანი. ჩვენთან, მარჯანიშვილის თეატრში გადიოდა მისი პიესა ,,შთამომავლობა’’, მთავარ როლს ასრულებდა ლეგენდარული ტრაგიკოსი ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე. ეს მართლაც ბრწყინვალე გაკვეთილი იყო ჩვენთვის, მაშინდელი ახალგაზრდა მსახიობებისათვის. როგორ შეიძლება არ სცემდე პატის სამშობლოზედ ასე შეყვარებულ მწერლებს. მახსოვს, პრემიერაზე ჩამობრძანებულმა ჩვენმა შოშიამ მაშინ ცრემლებით გადაუხადა მადლობა ჩვენს

უდიდეს კოლექტივს მისი პიესის შესრულებისთვის“ (ჭიჭინაძე დოდო, ,,უსაყვარლესი ხელოვანი’’, გ. ,,აჭარა’’. N40, ბათუმი, 2004).

ერთ-ერთ ინტერვიუში, დრამატურგი მიხეილ თუმანიშვილთან თანამშრომლობას იხსენებს, როდესაც რეჟისორი მისი პიესით დაინტერესდა და მუშაობას შეუდგა, შოშია ჩხაიძეს გაუკვირდა კიდეც. მან შეიტყო, რომ დიდი რეჟისორი არა მარტო რუსთაველის თეატრში აპირებდა პიესის „ხიდი“ დადგმას, არამედ თეატრალურ ინსტიტუტშიც, რამაც ძალიან გაახარა. (ჩხაიძე ალექსანდრე, „მიხეილ თუმანიშვილის გვერდით’’, გ. ,,აჭარა“. N 205-206. ბათუმი, 1997). სპექტაკლზე მუშაობისას, რეჟისორს ასისტენტობას თემურ ჩხეიძე უწევდა, ხოლო სტუდენტთა სადიპლომო სპექტაკლში მთავარი როლის შემსრულებლები ბესო ხიდეშელი და მარინა ჯანაშია იყვნენ, რუსთაველის თეატრში კიეროსი მანჯგალაძე და იზა გოგიშვილი.

შოშია ჩხაიძე თავის მემუარებში ეროსი მანჯგალაძეზე წერს: ,,ეროსის სრულიად საქართველო იცნობდა. მას მთელი ქართველი ხალხი თაყვანს სცემდა. ეროსისთვის დადიოდნენ თეატრში. ქუჩაში ელოდნენ სპექტაკლის შემდეგ. ეროსის ხმა რადიოთი მთელს საქართველოში გაისმოდა, ახალ ამბებს გადმოსცემდა, ლექსს კითხულობდა თუ ფეხბურთის რეპორტაჟი მიჰყავდა, ყველას ახარებდა მასთან შეხვედრა. ყველასათვის სასურველი სტუმარი იყო. რაინდულად თავაზიანი, ადამიანებთან ურთიერთობაში საოცრად გულისხმიერი. ცდილობდა, ასეთივე ყურადღებით ეპასუხა ასეთ, მართლაც სახალხო სიყვარულსა და აღიარებას, თუმცა, ბუნებრივია, ამისათვის ყოველთვის არ ჰქონდა დრო, საშუალება’’ (ჩხაიძე ალექსანდრე, ,,მიხეილ თუმანიშვილის გვერდით’’, გ. ,,აჭარა“. N 205-206. ბათუმი, 1997).

საოცარი მეგობრობა და სიყვარული აკავშირებდათ შოშია ჩხაიძესა და ეროსი მანჯგალაძეს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ, ერთმანეთის ყოველდღიურობაზე, ადგილმდებაროებასა და საქმიანობაზე მაინც ყოველთვის ყველაფერი იცოდნენ. აკი წერს კიდეც ავტორი: ,,ეროსის იმ უიშვიათეს და ყოველდღიურ მეგობართა შორის მეც ვიყავი,

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში ვცხოვრობდი, ერთი წუთითაც რომ ეჭვი მეპარებოდეს, ვერ გავბედავდი ამის საჯაროდ თქმას. ეროსისთან მეგობრობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯილდო იყო ჩემს ცხოვრებაში. ეს არ იყო მხოლოდ დრამატურგისა და მსახიობის ურთიერთობა. ეროსი სხვა ცოცხალ ავტორთა პიესებშიც თამაშობდა, მაგრამ ისინი არასდროს მინახავს მასთან. და აი, მოულოდნელად, თბილისიდან ჩამოსული ამბავი, რომ მიხეილ თუმანიშვილი რუსთაველის თეატრში დგამს ,,ხიდს'', სადაც ქალაქის პროკურორის, ირაკლი რაზმაძის როლს შეასრულებს ეროსი მანჯგალაძე, ძალიან გამიხარდა'' (ჩხაიძე ალექსანდრე, ,,მიხეილ თუმანიშვილის გვერდით'', გ. ,,აჭარა“. N 205-206. ბათუმი, 1997).

როცა პიესას „ხიდი“ დგამდნენ რუსთაველის თეატრში, ეროსი უნდა ყოფილიყო ქალაქის პროკურორის, ირაკლი რაზმაძის როლის შემსრულებელი, მწერალი იუმორით იხსენებს: „ჩემს პიესაზე მუშაობდა რუსთაველის თეატრი, დგამდა მას თვითონ მიხეილ თუმანიშვილი, მონაწილეობდნენ შესანიშნავი მსახიობები, მათ შორის ეროსი მანჯგალაძე! რა სედუქსინი და სარაჯიშვილის მიქსტურა უშველიდა ჩემს უძილობას“ (ჩხაიძე ალექსანდრე, ,,მიხეილ თუმანიშვილის გვერდით'', გ. ,,აჭარა“. N 205-206. ბათუმი, 1997).

ამ დროისთვის „ხიდი“ უკვე დაიდგა ბათუმში, რუსთავში, მოსკოვშიც კი, მაგრამ ავტორისთვის რუსთაველის თეატრი მაინც სხვა იყო, მაშინ მას „სამეფო თეატრს“ ეძახდნენ. აღსანიშნავია, რომ 70-იანი წლების დამდეგს კანონიერებასა და კანონზე, უფრო მეტიც, უკანონობაზე აზრის გამოთქმა, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელყოფა, მსუბუქად რომ ვთქვათ, არარეკომენდებული იყო. ყოვლად დაუშვებელი. ამ ყველაფრის ფონზე კი, მარტივი წარმოსადგენია თუ ამ დადგმით რამხელა პოლიტიკურ მანქანასთან აპირებდნენ დაპირისპირებას. საოცარია ის, რომ ამ სპექტაკლით საგასტროლოდაც ჩავიდნენ მოსკოვში, ქალაქში, საიდანაც მოდიოდა ყველა ის მანკიერება, რაზეც ასე თამამად საუბრობდა ავტორი. მაყურებლები გააოცა დრამატურგის ასეთმა სიმამაცემ, დარბაზი სულგანაბული უყურებდასცენაზე მიმდინარე თითოეულ მოქმედებას.

მწერალი ანა დუნდუა, შოშია ჩაიძისთვის მიძღვნილ სტატიაში ამბობს: ,,თქვენ ის პიროვნება ბრძანდებით, რომელმაც დაწერა 33 პიესა, ,,ჩინარის მანიფესტი“, ,,შთამომავლობა’’, ,,თავისუფალი თემა’’, ,,ხიდი’’. ეს ის პიესებია, რომლებშიც ნათლად დაგვანახეთ ვინ რა ,,რკინის მკვნეტელი’’ იყო. დღეს ჩემი მეგზურია უთქვენობით გამოწვეული სევდა და მეხსიერებას სადარდოდ შემორჩენილი თქვენი სახელი. რამდენი ლამაზი დღე მახსოვს თქვენს ოჯახში გატარებული, ბათუმის ინტელიგენციასთან ერთად. თქვენს სიახლოვეს მყოფნი, ეროვნული კაცის სუნთქვას ვგრძნობდით. თქვენი გამჭრიახი თვალი ბევრ ისეთ რამეს ხედავდა, რასაც ჩვენ ვერ ვხედავდით, ან არ გვინდოდა დაგვენახა ჩვენი უნიათობის გამო. სააქაოში დატოვებულ თქვენს სახელს ველოლიავებით, იმ შემოქმედებას ველოლიავებით, უკვდავება რომ ჰქვია’’ (დუნდუა ანა, ,,ჩვენო ტკივილო და მონატრებავ’’, გ. ,,აჭარა’’. N40, ბათუმი, 2004).

ალექსანდრე ჩხაიძემ გაზარდა ქართული დრამატურგიის მასშტაბები და ამავე დროს გააფართოვა ქართული დრამატურგიით, საქართველოთი დაინტერესებული ქვეყნების გეოგრაფიაც. მის მიერ შექმნილი პიესები, არა მარტო ქართველ მაყურებელს იპყრობდა, არამედ მსოფლიოს არაერთ ქვეყნის მაყურებლის გულებიც მოინადირა. თუმცა, დრამტურგისთვის შემოქმედებითი ცხოვრება უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე პოპულარობა. მისთვის საზოგადოებრივი საქმიანობა უფრო ფასეული გახლდათ, ვიდრე ცნობადობა და სახელის მოხვეჭა.

ქართველმა რეჟისორებმა გიგა ლორთქიფანიძემ, მიხეილ თუმანიშვილმა, ბადრი კობახიძემ, ნუგზარ გაჩავამ, გოგი ქავთარაძემ და სხვებმა, გადაიღეს თანამედროების ამსახველი შესანიშნავი სცენური ნამუშევრები ალ. ჩხაიძის შემდეგი პიესებით - ,,შთამომავლობა’’, ,,ხიდი’’, ,,ჩინარის მანიფესტი’’, ,,როცა ქალაქს სძინავს’’ ,,თავისუფალი თემა’’.

,,ასე ცხოვრება არ შეიძლება!’’ ეს პიესიდან, ,,შთამომავლობა’’ აღებული ფინალური რეპლიკაა, რომელიც ნათლად გადმოსცემს მწერლის

დამოკიდებულებას არსებული სინამდვილისადმი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდებოდა. მისი ყოველი პიესა, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელი პიესის, ,,შთამომავლობის'' ეს უკანასკნელი ფრაზა გახდა მარადიული შეგონება, მისი როგორც დრამატურგიის ამომავალი წერტილი, გარდაექმნა ცხოვრება, დაეხვეწა იგი და მოეწესრიგებინა ადამიანთა სულიერი ყოფა (ჩხაიძე, 2009: 226).

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტორი თავისი პერსონაჟებით ებრძოდა და აკრიტიკებდა საბჭოურ იდეოლოგიას, როგორც ადამიანის შემოქმედებითი თუ ფიზიკური შესაძლებლობების გამანადგურებელს. იმ დროიდან მოყოლებული, არა ერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი სტატია დაწერილა დრამატურგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, საგაზეთო ნომერი, ჟურნალი, რეცენზია გამოქვეყნებულა, რომლებშიც გამოვლინდა შოშია ჩხაიძის ცხოვრებისეული მიზნები და მოქალაქეობრივი მრწამსი, ავტორისათვის დამახასიათებელი იუმორისტული პასაჟები, საუბრის მანერა, თხრობის სტილი, რაც მიჩნეულია მისი შემოქმედების სამკაულად, მაგრამ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, თუ რამდენად თანადროულად შეძლო და ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა აჭარაში და ზოგადად, საქართველოში მიმდინარე პროცესები.

შოშია ჩხაიძეს ერთგან ხუმრობით უთქვამს, როცა კაცი მოკვდება, დიდი მნიშვნელობა აქვს ეპიტაფიაზე რას დააწერენ - ,,სამუდამოდ დარჩები მეხსიერებაში'', ,,დიდხანს დარჩები'' თუ ,,ნაყოფიერად განვლე შენი ცხოვრება''. ალბათ დამეთანხმებით, მის ეპიტაფიას ბოლო მინაწერი განსაკუთრებით დაამშვენებდა. მან, როგორც თეატრსა და ლიტერატურაზე უანგაროდ შეყვარებულმა ადამიანმა, შეძლო მაშინდელი საქართველოს ყველა ტკივილი და მანკიერება ეჩვენებინა.

IIთავი

ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის დრამატურგია

დრამატურგია მწერლის დრამატულ პიესათა ერთობლიობას წარმოადგენს. დრამატულ ნაწარმოებში მოქმედებით მიმდინარეობს ამბის თხრობა და ავტორის ოსტატობაზეა და მოკიდებული, თუ როგორ შეძლებს დიალოგებითა თუ მონოლოგებით თემის გაშლას და სახასიათო სახეების შექმნას. სწორედ მწერლისეულმა ოსტატობამ განაპირობა შოშია ჩხაიძის პიესათა პოპულარობა, მას შეეძლო ერთი კონკრეტული სახე ან მოვლენა აეყვანა ზოგად ხარისხში და ამით განზოგადებული იდეა ექადაგა. სწორედ ასეთი სახასიათო სახეებითა და მოვლენებით ამხილა დრამატურგმა საბჭოთა მმართველობის მანკიერებები, რაც დიდ ოსტატობასთან ერთად უდიდეს გამბედაობას მოითხოვდა, რაც მხოლოდ ერთეულებს შეეძლოთ. საოცარი კი ის არის, რომ ამ სითამამის მიუხედავად მამხილებელი პიესები იდგმებოდა სბჭოთა სცენაზე და იმ ეპოქის მმართველები საკუთარ პროტოტიპებს დარბაზიდან უცქერდნენ, დასცინოდნენ ან აკრიტიკებდნენ.

დრამატურგს თავის პიესებში თავმოყრილი აქვს ყველა ის პრობლემა, ზნეობრივი და იდეოლოგიური ტენდენციები, რომელიც საბჭოთა ეპოქის თანამდევი იყო. მკაფიოდ წარმოჩინდა საბჭოთა ოფიციოზის ფასეულობების კრიზისი. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა შოშია ჩხაიძის ისეთი პიესები, როგორებიცაა ,,ხიდი'', ,,როცა ქალაქს სძინავს'', ,,შთამომავლობა'', ,,თავისუფალი თემა'', ,,ჩინარის მანიფესტი'', ,,ჩემი ეიფელის კოშკი'', ,,სამიდან ექვსამდე'', ,,მიკროფონი'', რომლებმაც ავტორის სიცოცხლეშივე მოუპოვეს პოპულარობა, ხოლო მისმა რეალურმა პერსონაჟებმა შექმნეს პატიოსნების, ზნეობის და სამართლიანობის მაგალითები.

ალექსანდრე ჩხაიძის პიესები გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ არსებული რეალობის ალეგორიული აღწერა, ისინი ეროვნულიცაა და უნივერსალურიც. ვიდრე ვისაუბრებდეთ იმ გამორჩეულ პიესებზე, რომლებმაც

დრამატურგს განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა. ნაშრომის ამ ნაწილში სწორედ მის დრამატურგიაზეა საუბარი და ცალკეული პიესების ანალიზის საფუზველზე წარმოდგენილი მწერლის შემოქმედების ის სფერო, რომელმაც განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა მას. პიესა **„მიწის ყივილი“** (სათაურის ინსპირაციაც ქართულ ლიტერატურაში უნდა ვეძებოთ), რომელიც სცენაზე არ გადატანილა, ფართო საზოგადოებისთვისაც ნაკლებად გახლავთ ცნობილი, მაგრამ საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეეძლო ავტორს უბრალო, ბანალური ამბავი ექცია აქტუალურად და შეფარვით, თუმცა მკაფიოდ გაეკრიტიკებინა არსებული ხელისუფლება.

1983 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის პიესა „მიწის ყივილი“, რომელიც არცერთ მის კრებულში არ არის შეტანილი. ეს გახლავთ პიესა ორ მოქმედებად, რომელიც ერთი შეხედვით ყოველდღიურ, არაფრით გამორჩეულ ისტორიას გვიამბობს, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვან პრობლემებს წამოწევს და ამათრახებს კიდეც საბჭოთა მმართველობით სისტემას. ამ ტექსტში ავტორი ჩვეული წერის მანერით ცდილობს კიდევ ერთხელ გვიჩვენოს თანამედროვეობის მანკიერებანი, რაც პროტესტის გამოხატვაც გახლავთ ტოტალიტარული მმართველობის ეპოქაში.

პიესა იწყება 18 წლის ცოტნე ცოტაძისა და რაიკომის მდივან გავაშელის შეხვედრით, როდესაც ჭაბუკი კაბინეტში უცერემონიოდ მიაკითხავს მაღალჩინოსანს და დიდი საქმის სათავეში ჩაყენებას მოთხოვს. ერთი შეხედვით შეიძლება ამბიციურად მოგეჩვენოთ ახალგაზრდის სურვილები, მაგრამ დიალოგშივე ბევრ ისეთ საკითხს წამოწევს ავტორი, რაც კომუნისტური მმართველობის მანკიერებებს ააშკარავებს.

კითხვაზე სცადა თუ არა ინსტიტუტში ჩაბარება ჭაბუკი პასუხობს „ვიცოდი წესიერი გზით ვერ მოვხვდებოდი“ (ჩხაიძე1983:136) და თავს სოფლის თავმჯდომარედ წარმოისახავს, რადგან „აი, ღამით რომ დავწვები, ხშირად ვფიქრობ ცხოვრებაზე, სოფელზე, საქმეზე და თავს წარმოვიდგენ

თავმჯდომარედ, ჩემებურად ვგეგმავ, როგორ გავაკეთებდი ამა თუ იმ საქმეს“ (ჩხაიძე 1983:136). არგუმენტირებულად გვაწვდის ავტორი ცოტნეს თავმჯდომარეობის სურვილის გაჩენის მიზეზს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ სოფელ ჯიქეთს ბოლო წლებში 7 თავმჯდომარე გამოუცვლია და არაფერი შეცვლილა. მეორე დღეს კი კიდევ ერთის მოხსნა და ახლის დანიშვნა იყო გადაწყვეტილი. საგულისხმოა ახალგაზრდის არგუმენტი, რომ თუკი რაიკომის მდივანი მას მხარს დაუჭერს, ხალხიც მასზე გააკეთებს არჩევანს. აქ კიდევ ერთხელ იკვეთება ხელმძღვანელების მოხსნა-დანიშვნის მანკიერი პრაქტიკა, რაშიც პარტიულობა კიდევ ერთი აუცილებელი პირობა გახლდათ, მხოლოდ კომუნისტური პარტიის ბილეთი შეიძლება ყოფილიყო განმსაზღვრელი და არა საქმის კეთების სურვილი.

ავტორი საინტერესო ვერსიას გვთავაზობს, როდესაც რაიკომის მდივანი არაორდინალურ გადაწყვეტილებას იღებს და ახალგაზრდა, გამოუცდელ ცოტნე ცოტაძეს ჯიქეთის თავმჯდომარედ ნიშნავს. სოფლის ცხოვრებაში იწყება ახალი ეტაპი. პირველ ჯერზე ახალგაზრდა თავმჯდომარე წინამორბედებს შეკრებს (მათ შორის მამას), რომ მათგან რჩევები მიიღოს, მაგრამ მას არ აღიქვამენ სერიოზულად და თითქოს უარყოფენ კიდეც, თანატოლებიც კი არ უცხადებენ თანადგომას. ერთგვარი საყვედური და ამავე დროს გადაწყვეტილების მთავარი არგუმენტი იკითხება ახალგაზრდა თავმჯდომარის სიტყვებში „მე შეიძლება თქვენი სახელით და თქვენი იმედით დავდექი აქ, რომ დავუმტკიცო ამ ხალხს, რომ ახალგაზრდობასაც რაღაც შეუძლია. არადა აღარ მოგბეზრდათ, რომ გვთათხავენ გაზეთებში, კრებეზე?!“,(ჩხაიძე 1983:142) აქ არა მარტო პიესის მთავარი გმირის, არამედ ავტორის გულისტკივილია საზოგადოებაში არსებული ნიჰილისტური განწყობის გამო, იმ ახალგაზრდების გამო, რომლებისთვისაც სულ ერთი გამხდარა ერთიანი საქმე და ყოველდღიურ რუტინაში ჩაკარგულა.

„ასეთი იყო ჩემი პირველი დღე, ამას მოჰყვა სხვა დღეები და ყოველი მათგანი ჩემთვის იყო არაჩვეულებრივი თავისი სიახლით, სიძნელით, პატარ-

პატარა სიხარულითაც. სოფელი თანდათან ეჩვეოდა, თითქოს აღარც უკვირდა თვრამეტი წლის კაცის თავმჯდომარეობა, მაგრამ მე სწორედ ეს მაწუხებდა, რომ მათთვის გავხდი ჩვეულებრივი თვმჯდომარე, ჩემს წინამორბედებზე ცოტათი უკეთესი, ან ცოტათი უარესი. ჯიქეთი და ჯიქეთელები ჯერჯერობით ვერაფერ სიახლეს ვერ გრძნობდნენ. სოფელი ძველებურად ცხოვრობდა. ამის გამო თითქოს დამცინავ საყვედურსაც ვხედავდი მათ გამოხედვაში, გავაშელთან შეხვედრის დროსაც ვგრძნობდი ამას. მაგრამ ველოდებოდი და ეს დღეც დადგა...“(ჩხაიძე 1983:143)

თამამია ავტორი მაშინ, როცა ტექსტში საბჭოთა სახელმწიფოს უმთავრეს ეკონომიკურ საფუძველს, ე.წ. ხუთწლედის გეგმაზე საუბრობს და კრიტიკასაც აფიქსირებს ამ სახელმწიფოებრივი ანომალიის მიმართ. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი ხომ სწორედ ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებული შესრულება ითვლებოდა, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ მოჩვენებითი იყო.

სწორედ კოლექტივის და ხუთწლიანი გეგმის კრიტიკა იკვეთება, როცა ახალგაზრდა თავმჯდომარე კოლექტივის საკუთრებაში არსებული ბაღებიდან აღებულ კერძოსგან შედარებით მცირე მოსავალზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა ხალხი ამას დამკვიდრებულ რეალობად მიიჩნევს და არაფრის შეცვლა არ სურს. თამამია ახალგაზრდა თავმჯდომარის პოზიცია „უარი ვთქვათ ზემოდან დაშვებულ ხუთწლიან გეგმაზე და ხვალინდელ კრებას განსახილველად წარვუდგინოთ უფრო პერსპექტიული და მომგებიანი პროგრამა“(ჩხაიძე 1983:144), რომელსაც დამსწრენი ეწინააღმდეგებიან შემდეგი არგუმენტებით: „სახელმწიფო გეგმა ჩვენთვის კანონია“, „ხელმძღვანელობა ამას ჩვენზე უკეთესად ხედავს“, თუმცა ამ არგუმენტებს ცოტნე ცოტაძე პირდაპირ პასუხობს: „ მაგრამ ტრიბუნასთან ნათქვამი სიტყვა ოდესღაც საქმედ ხომ უნდა იქცეს?!“(ჩხაიძე1983:144) ამ მცირე დიალოგშიც შეძლო ავტორმა ეჩვენებინა კომუნისტური მმართველობის მანკიერი მხარე და თავისი მართალი სიტყვით კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ როგორ შეეძლო ჩვეული პირდაპირობით

დაეფიქსირებინა პოზიცია და არ შეშინებოდა საბჭოთა იდეოლოგიური ჩარჩოების მსხვრევას.

საინტერესოა კრების შემდგომი მსვლელობა. ახლაგაზრდა თავმჯდომარე ცდილობს დაუმტკიცოს ხალხს, რომ თუკი უარს იტყვიან მთავრობის ხუთწლიან გეგმაზე, იმოქმედებენ თავისი, ჯიქეთისათვის სასარგებლო გეგმით შეძლებენ მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევას, მართალია შეიძლება ამას 6-7 წელი დასჭირდეს, მაგრამ ეს იქნება სოფლის გამარჯვება. კითხვაზე თუ რატომ უნდა დაიწყოს ეს რევოლუცია მაინცდამაინც ჯიქეთიდან ცოტნე ამაყად თვლის, რომ ეს მათი გამარჯვება იქნება. მისმა თავდაჯერებულობამ შედეგი გამოიღო და გამგეობის წევრი სამსონი, რომელიც პირველივე კრებიდან სკეპტიკურად იყო განწყობილი ახალგაზრდის მიმართსიტყვას ითხოვს და შემდეგს აფიქსირებს: „ვუყურებ ახლა მე ამ ბიჭს... მაპატიე, ევტიხოვიჩ, დღეს რატომღაც ასე მინდა გიწოდო და თან გითხრა, რომ მშურს ახლა მე შენი... ალბათ, ამათაც, ვინც შენამდე ყოფილა თავმჯდომარე. აი იმ პირველ დღეს რომ შეგვკრიბე... ვერ გამოგვივიდა მაშინ ის შეხვედრა და თუ გინდა ბოდიშსაც მოგიხდი ამ ხალხის წინაშე. ... ცოტა გვშურს კიდეც შენი, რადგან ყოველ ჩვენგანს უღიტინებდა ეს აზრი თავის დროზე გულსა და ტვინში, მაგრამ ან ჭკუა არ გვეყო ამისთვის, ან გამბედაობა და ამიტომაა, ალბათ, ასე რომ ფრთხილობს ჩვენი ლადო, ამიტომაა იგი სწორედ პარტკომის მდივანი, მე კი ჩემდა თავად ორივე ხელი ამიწევია თანხმობის ნიშნად და მიგულე შენს თანამოაზრედ ამ საქმეში“.(ჩხაიძე1983:145) სამსონის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ როგორ ახშობდა კომუნისტური რეჟიმი საღ აზრს და ადამიანებში საქმის კეთების სურვილს. თუმცა ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებსაც ძალუძთ ამ ჯადოსნური წრის გარღვევა და საბედნიოროდ ისინი ხდებიან სხვათა ქმედების ინსპირატორები. ასე მოხდა სამსონის შემთხვევაში, რომლის სიტყვამაც კიდევ უფრო ბევრი თანამოაზრე გაუჩინა ახალგაზრდა თავმჯდომარეს.

მწერალმა საინტერესოდ წარმოგვიდგინა რაიკომის მდივნის გავაშელის სახე, ხელმძღვანელისა, რომელმაც გაბედა და უპარტიო, გამოუცდელ ახალგაზრდას ანდო სოფლის თავმჯდომარეობა. მისთვის მოულოდნელი გახდა ჯიქეთიდან წარმოდგენილი გეგმა, ისიც, რომ მისმა პროტეჟემ მისგან დამოუკიდებლად გამოიყენა მისი სახელი. საინტერესოა სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის, ლაშხისა და გავაშელის დიალოგი, რომლითაც ავტორმა ბევრის დამალული სათქმელი თამამად გამოიტანა სააშკარაოზე. ოქმში ამოკითხულ ცოტაძის ფრაზაზე „ჩირგვებში თავჩარგულ სირაქლემას დავემსგავსეთო“ ლაშხი საინტერესოდ პასუხობს: „კარგად უთქვამს, უფრო მხატვრულად, მაგრამ დრო იყო იმის ხმამაღლა თქმა, რომ კერძო სექტორი უფრო მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე საზოგადოებრივი, აკრძალული იყო, ასე თვითდინებით მიდიოდა საქმე. ვკმაყოფილდებოდით საერთო ციფრებით, საერთო გეგმის შესრულებით და ვივიწყებდით საქმის მორალურ მხარეს. ასეთმა წაყრუებამ დანაშაულებამდეც მიგვიყვანა. გლეხი საკოლმეურნეო ნაკვეთებისათვის განკუთვნილ სასუქს საკუთარი ბაღისთვის იყენებს, ზოგჯერ არც იმას თაკილობს, საზოგადო სექტორიდან აღებული მოსავალი საკარმიდამოდან მოწეულს წაუმატოს. საბოლოოდ კი აქამდე მოვედით; ჩვენს რაიონში ხუთი ათასი ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაციიდან თითქმის ნახევარი საკარმიდამოზე მოდის. პროცენტული შეფარდება თითქმის ასეთია: ოთხმოცი-ოცზე კერძო სექტორის სასარგებლოდ. რა თქმა უნდა ჩემი თავმჯდომარეობის დროს ეს შეფარდება ასეთი იყო: სამოცი - ორმოცზე, ეს იცის ყველამ. თქვენც, უფრო ზევითაც, ყველა ტრიბუნიდან გავიძახით, რომ ეს არანორმალურია, მაგრამ ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად პრაქტიკულად თითქმის არაფერი კეთდება“(ჩხაიძე 1983:149) ამ ამონარიდში ავტორმა მთლიანად გააშიშვლა კომუნისტური რეჟიმის მანკიერი მხარე და შეძლო ამ მცირე მონაკვეთში ეჩვენებინა საბჭოური ყოფის სრული კოლაფსი. საინტერესოა რომ მოსაუბრენი აღიარებენ ცოტაძის სითამამეს, ღირსებასა და სურვილს რაღაც შეცვალოს, რომ ის გულუბრყვილოცაა, რადგან „უფრო წინ იხედება, ვიდრე უკან, რადგან წინ დიდი გზა უდევს და ეს გზა მისი

გასავლელია“. თამამია რაიკომის მდივნის გულახდილობაც„ასეთი ხალხი რომ ყოფილიყო თავის დროზე კოლმეურნეობის სათავეში, როგორც ცოტაძეა, და არა მარტო კოლმეურნეობის, ალბათ, დღეს არ აღმოვჩნდებოდით ასეთი თავსატეხის წინაშე. და ის საზღვარგარეთული მარცვლეულით დატვირთული გემებიც აღარ იდგომებოდა ნავსადგურში“(ჩხაიძე1983:149).

ასეთია ავტორის თვალით დანახული რეალობა. თუმცა სრულიად განსხვავებულია დასკვნა, რომელზეც ორივე მოსაუბრე თანხმდება, რომ ეს მხოლოდ ორი ადამიანის გულწრფელი საუბარია, რომელიც რადიკალურად განსხვავებული იქნება ოფიციალური პოზიციისგან, კიდევ არის ის, რომ ცოტაძე არ ემორჩილება რაიკომის მდივნის დაბარებას და იქეთ იბარებს სოფელში. პასუხად კი ლაშხი მიიღებს დავალებას, რომ სოფელში თავად ჩაატაროს მეორე დღეს კრება და გაათავისუფლოს ცოტნე ცოტაძე. მოგვიანებით ცოტაძე დაასკვნის, რომ პირველ მდივანს შეეშინდა სოფელში ჩამოსვლის, ხალხთან შეხვედრის შეეშინდა.

შემდეგი დიალოგი, რომელიც საყურადღებოა ლაშხსა და ცოტნე ცოტაძეს შორის იმართება კრების დაწყებამდე, რათა იპოვონ გამოსავალი, თუ როგორ მიაწოდონ ხალხს ცოტაძის მიერ დაშვებული შეცდომა. ახალგაზრდა თავმჯდომარე ადასტურებს, რომ შეუძლებს სოფელს უჩვენოს საჭიროებები და დაადასტუროს, რომ მის მიერ წარმოდგენილი პროექტი არ ეწინააღმდეგება კოლმეურნეობის იდეას. ამის საპასუხოდ ლაშხი ამბობს, რომ დადგენილებები რომ სრულდებოდეს, საქმე სხვაგვარად იქნებოდაო, აქვე აჟღერებს ავტორი საქმის კეთებით გულანთებული ცოტაძის არგუმენტს, რომ სოფლის მიღებულ დადგენილებას სოფელი აუცილებლად შეასრულებდა. აქ მმართველობის არასწორი სისტემის კრიტიკა იკვეთება, როცა ისე ხდებოდა დადგენილებების და სხვა სახელმწიფოებრივი დოკუმენტების მიღება, რომ გათვალისწინებული არ იყო ხალხის ინტერესი.

აქ მინდა მოვიტანო ამონარიდი პიესიდან, რომელიც მართალია სულ სხვა ეპოქაზე, სულ სხვა პოლიტიკურ რეალობაზე გვესაუბრება, მაგრამ იგი

იმდენად აქტუალურია, რომ თითქოს დღეს დაიწერა: „ჩვენ მხოლოდ საკუთარი თავი დავარწმუნეთ, რომ ჩვენც და მიწასაც მეტი შეუძლია. ხდება უცნაური ამბავი, გლეხი აღარ რგავს მცენარეს, რომელმაც ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ უნდა მისცეს ნაყოფი, ასე თანდათან იგი მიწას მოსწყდა, რომელიც ყოველთვის მისი ერთადერთი მარჩენალი იყო. მიწამ და გლეხმა დაკარგეს ერთმანეთისადმი ნდობა. გლეხი მარტო თითით კი არა, უპირველეს ყოვლისა, გულით უნდა იყოსსაზოგადოებრივი საქმის მხარეზე“(ჩხაიძე 1983:151) და თითქოს გამოჩნდა ნათელი წერტილი, როდესაც დიმიტრი ლაშხი იცვლის პოზიციას და იგი ცოტაძის თავმჯდომარეობის მომხრე ხდება.

რაიკომის მდივანი გავაშელი მაინც ჩადის ჯიხეთში, კიდევ ერთხელ ესაუბრება ცოტნე ცოტაძეს, კიდევ ერთხელ რწმუნდება მის პირდაპირობასა და ენთუზიაზმში, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მას შეუძლია საკუთარ პოზიციაში სხვები დაარწმუნოს. საინტერესოა პიესის დასასრული, ცოტნე ცოტაძეს გავაშელი უნარჩუნებს თავმჯდომარეობას და შიშის გარეშე მიდის ღია ცის ქვეშ შეკრებილ ხალხთან სასაუბროდ.

ასეთი გახლავთ ხელმძღვანელის სახე, რომელიც ავტორმა გავაშელის სახით დაგვიხატა. ხელმძღვანელისა, რომელსაც არ ეშინია სიახლეების, შეუძლია დაინახოს ნიჭი და თავდადება და წინააღმდეგობის მიუხედავად დაიჭიროს პრინციპული პოზიცია, რომელიც ხალხის კეთილდღეებისაკენ იქნება მიმართული.

როგორც ამ ერთი ნაკლებად პოპულარული პიესიდანაც ჩანს, ალ.ჩხაიძის ჯანსაღი კრიტიკა პირდაპირ აშიშვლებს საბჭოთა მანკიერებებს და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ რამდენად აქტუალურ მწერალთან გვაქვს საქმე. სწორედ ამ პირდაპირობამ, სათქმელს მორგებულმა სიტყვამ განაპირობა მისი პოპულარობა, მისი დრამატურგიის მნიშვნელობა და აქტუალობა, რამაც არაერთი პიესის პოპულარობა განსაზღვრა.

ამ თვალსაზრისით პიესას **„ხიდი“** განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როგორც ალექსანდრე ჩხაიძის შემოქმედებაში, ზოგადად ქართულ

დრამატურგიაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს პიესა ავტორის პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მრწამსის სრულყოფილად წარმოჩენის, შემოქმედებითი თვითმყოფადობის ნიმუშია, ამიტომაც შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ამ პიესით ინტერესდებოდნენ საქართველოსა და სხვა მრავალი ქვეყნის თეატრები. თუმცა, პირველი რეჟისორი, ვინც ეს ნაწარმოები სცენაზე გააცოცხლა, გიგა ლორთქიფანიძე გახლდათ. მანსწორად დაინახა ავტორისეული აქცენტები და თავადაც უდიდესი გაბედულება გამოიჩინა, როდესაც მისი სცენაზე გადატანა განიზრახა, ამ პიესით ისინი ფაქტობრივად კომუნისტურ ხელმძღვანელობას სახალხოდ ასამართლებდნენ.

საინტერესოა ისიც, რომ მარჯანიშვილის თეატრში ამ სპექტაკლის პრემიერას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა, პლენუმის მონაწილე ყველა რაიკომის მდივანი დაასწრო, რითაც პარტიული ელიტა დრამატურგისა და რეჟისორისაგან თამამ და მართალ სიტყვას მოისმენდა. ამის შემდეგ, ძალიან მალე „ხიდი“ რუსთავის თეატრმაც (რეჟისორი ნუგზარ გაჩავა) დადგა და მოსკოვშისაგასტროლო რეპერტუარშიც ჩაისვა. საბჭოთა კავშირის გულში წარმოდგენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოსკოველმა კრიტიკოსებმა „ხიდის“ მთავარი გმირის სახედეკაბრიტებსაც კი შეადარეს.

პიესა ,,ხიდი'' ავტორისათვის დამახასიათებელი ჯანსაღი იუმორისა და ისტორიზმის საინტერესო შერწყმით შექმნილი ნაწარმოებია.ავტორის განსაკუთრებული ხელწერისა და პირდაპირობის შედეგია მისი ასეთი პოპულარობა. თავის სამწერლო მრწამსზე როცა საუბრობს ავტორი, აქცენტს სწორედ სათქმელის პირდაპირ და შეუფერადებლად ნათქვამზე აკეთებს. ერთგან წერს იგი: „არც შექსპირს, არც ილია ჭავჭავაძეს მემუარები არ დაუწერიათ, მაგრამ არ დაქცეულა ქვეყანა. სულმნათ ილიასაც დიდ პატივს ვცემ, გენიალურ პუშკინსაც, მით უფრო ჩემს კოლეგა შექსპირსაც, მაგრამ მე მაქვს ერთგვარი უპირატესობა - არც ერთ მათგანს არ უცხოვრია მეოცე საუკუნეში, თანაც იმდენი რამე ვნახე და გადავიტანე, ადამიანთა ისეთი ჟლეტა, განუკითხაობა,

ერთმანეთის გაყიდვა, ქრისტეს ათივე მცნების ფეხქვეშ გათელვა, რასთანაც ვერც თერგდალეულთა ეროვნული მოძრაობა, ვერც იორკის სამეფო კარის ინტრიგები და ვერც პუგაჩოვის „ბუნტი“ ახლოს ვერ მივა. თანაც ისე ვაბურთავეთ ისტორია, ისე გავაუკუღმართეთ და ჩავჩქმალეთ, მოსარგები მოვირგეთ, გასანადგურებელი გავანადგურეთ, რომ ამ ლაბირინთიდან თავდასაღწევად ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ, რომ ამით მაინც შევუმსუბუქოთ ცხოვრება მომავალ თაობებს. რომელთაც ისედათ უამრავ თავსატეხს ვუტოვებთ. მაგრამ ამისათვის ძალიან ცოტა დრო გვრჩება. ყველამ თავისი წილი სიმართლე უნდა თქვას. მის სათქმელს სხვა ვერავინ იტყვის, თუკი ჩემს თაობას კიდევ შემორჩა ამის უფლება და უნარი, თუ ჩვენი გზები საბოლოოდ არ გადაგვარდა. მე ამისათვის კალამი მარგუნა ბედმა“ (ჩხაიძე ალექსანდრე, „მიხეილ თუმანიშვილის გვერდით“, გ. ,,აჭარა“. N 205-206. ბათუმი, 1997).

მწერალი რამაზ სურმანიძე იხსენებს, რომ შოშია ჩხაიძის პიესა ,,ხიდი“ პირველი ქართული პიესა იყო გერმანულ სცენაზე, ამიტომაც განსაკუთრებულად ღელავდნენ მასპინძლებიც და მსახიობებიც. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელ მსახიობთაგან არც ერთსენახა საქართველო, არც მის კულტურას იცნობდნენ სათანადოდ, მათმა შესრულებულებამ მაინც უმაღლესი შეფასება და კრიტიკოსების მოწონება დაიმსახურა. ავტორი იხსენებს, რომ ჩვენს ჩასვლამდე ,,ხიდი“ უკვე რამდენჯერმეც ეთამაშათ. მაყურებელი კმაყოფილიაო, გვეუბნებოდნენ. ქართულის შესანიშნავმა მცოდნემ - ჯულიამ სახელდახელოდ გაზეთებში დაბეჭდილი რეცენზიებიც წაგვიკითხა. ძალიან ვისიამოვნეთ მომდევნო წარმოდგენით“ (ჩხაიძე, 2009: 5).პიესით აღფრთოვანებული მაყურებელიკი ემოციებს ვერ ფარავდა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ავტორის გამორჩეულობასა და პროფესიონალიზმს.

პიესაში ,,ხიდი'' დრამატურგმა წინა პლანზე წამოწია ყველაზე მთავარი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის საკითხი, თანასწორობა, სამართლიანობა, კანონისა და ეთიკური ნორმების დაცვის აუცილებლობა .

ეს თემა შესაძლოა ერთი შეხედვით არ იყო აქტუალური, თუმცა სამწუხაროდ ბევრისთვის პირადი პასუხისმგებლობა საყოველთაო საქმისადმი, ხშირად პირად ბედნიერებაზე გადიოდა. ადამიანებს უწევდათ არჩევანის გაკეთება მოქალაქეობრივი ვალდებულებების პირნათლად შესრულებასა და ოჯახისა და პირადი ბედნიერებას შორის. ამ ორი, სრულიად განსხვავებული ცხოვრებისეული პოზიციების მხილება-დაპირისპირების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს პიესის ის ნაწილი, სადაც ახალგაზრდა სპეციალისტ, არჩილ სავანელსა და მარიკა ჩოდრიშვილს შორის გამართული დიალოგია მოცემული.

,,არჩილი: მარიკა ხმას ნუ იმაღლებ. მე აქ ბრალდებული არა ვარ და არც შენ ხარ ბრალმდებელი!

მარიკა: ვარ მე ბრალმდებელი. მე ამ საქმეს ვარკვევ არა ევგენიძისა და სხვათა დასასჯელად, მე მინდა დავიცვა ამ ქალაქის ღირსება. დაგიცვა შენ, სხვები. თვითონ კი ამ დროს გვერდიდან მეცლები იმიტომ, რომ შენ ყოველთვის მიგაჩნდა უსამართლობად ის, რაც პირადად გიშლიდა ხელს წინსვლაში, სხვებს კი კისერიც უტეხიათ!

არჩილი: მთელი ქვეყნის პატრონობა ჩვენთვის არავის დაუვალებია!

მარიკა: დაგვავალეს! იმიტომ, რომ მთელი ქვეყანა ჩემთვის ეს ქალაქია, სადაც მე და შენ დავიბადეთ, გავიზარდეთ, საიდანაც გავემგზავრეთ სასწავლებლად და ისევ დავბრუნდით პატრონებად!“ (ჩხაიძე, 2009: 57).

მოცემული ეპიზოდი ასახავს ორი განსხვავებული ცხოვრებისეული პოზიციის დაპირისპირებასა და მხილებას. ახალგაზრდა სპეციალისტმა, არჩილ სავანელმა იცის ხიდის ჩანგრევის რეალური მიზეზი, თუმცა გავლენიანი პირების დარიგებით დათმო პოზიციები, რაც პროკურორის თანაშემწესთან, მარიკა ჩოდრიშვილთან ვერ შეძლეს. სწორედ აქ ჩანს მწერლის მოქალაქეობრივი პოზიცია და პრინციპულობა.

მარიკა ჩოდრიშვილი პროკურორის თანაშემწე და პიესის ,,ხიდი“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, რიგითი ახალგაზრდა ქალბატონი საბჭოელებისათვის უჩვეულო, უცხო და ერთობ მიუღებელ პრინციპულობას იჩენს. პროფესიული კეთილსინდისიერება კარნახობს და ზემდგომი ორგანოებიდან ზეწოლის მიუხედავად, მაინც სწორი, მართალი გზით მიჰყავს პატარა ქალაქის ხიდის ჩანგრევის გამოძიების საქმე. უდანაშაულო მშენებელს მხსნელად და იმედად მოევლინება და მის ნაცვლად საბრალდებო სკმაზე დასვამს ქალაქის გავლენიან ხელმძღვანელს. ასეთი მონოლითურად მტკიცე და ურყევი ხასიათის დახატვა, ხოლო შემდეგ მისი სცენაზე გადმოტანა, საბჭოთა ეპოქაში გმირობის ტოლფასი იყო. თამამია მთავარი გმირის სიტყვები: ,,ჩვენს სიტყვაზეა დამოკიდებული კანონისა და სახელმწიფოს ავტორიტეტი. თუ გამრუდდა ეს სამართალი, მაშინ ხალხი დაკარგავს რწმენას ყველაფრისადმი... რადგან ადამიანმა უნდა დაინახოს კანონიერება არა ლოზუნგებზე, არამედ ცხოვრებაში“(ჩხაიძე, 2009: 62).

მაყურებელს აოცებდა სცენაზე გაცოცხლებული რეალობა და აკვივებდა შოშია ჩხაიძის ასეთი გაბედულება. პროკურორის ახალგაზრდა თანაშემწის, მარიკა ჩოდრიშვილის ყოველი მონოლოგი კი უფრო დიდ აღტაცებას იწვევდა მათში: ,,მე უკვე ვხედავ პროცესს, ცხადშიც, სიზმარშიც... ორად გაყოფილი დარბაზი; ერთ მხარეს მსაჯულები, ხოლო მეორე მხარეს - ხალხი. ისინი შემოგვყურებენ ჩვენ და ელიან, თუ როგორ განვსჯით მტყუანსა და მართალს. ჩვენს სიტყვაზეა დამოკიდებული კანონისა და სახელმწიფოს ავტორიტეტი, რომლის სახელითაც მართლმსაჯულებას გამოაქვს განაჩენი. თუ გამრუდდა ეს სამართალი, ხალხი მაშინვე დაკარგავს რწმენას ყველაფრისა, რისკენაც მოვუწოდებთ'' (ჩხაიძე, 2009: 62).

,,ხიდი“ ერთგვარი შეხსენებაა სიყვარულის, სამართლიანობის, საქმის პირნათლად შესრულებისა და მეგობრობისა. ავტორი ნათლად და მკაფიოდ, სევდიანად და მისთვის სახასიათო იუმორითაც გადმოსცემს ყველა იმ ცხოვრებისეულ ამბავს, რამაც განაპირობაპიესის შექმნა. მისი პერსონაჟების

მეშვეობით დაგვიხატა შეუვალი, პრინციპული ხასიათები: ირაკლი რაზმაძე - ქალაქის პროკურორი, მარიკა ჩოდრიშვილი - პროკურორის თანაშემწე, გერონტი სართანია - ინჟინერი და სხვანი.

ძლიერი, სამართლიანი, შეუვალი პერსონაჟია ქალაქის პროკურორი ირაკლი რაზმაძე. თითქმის დასრულებულ საქმეს კვლავ გახსნის და მარიკა ჩოდრიშვილთან ერთად ეძიებს სიმართლეს. მისი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ სიმართლის აღიარების არ ეშინია და სხვებისგან განსხვავებით საქმეს დახურულად არ თვლის. მიუხედავად იმისა,მასქალაქის დირექტორებისა და, უფრო მეტიც, მინისტრების დადანაშაულება მოუწევს, მაინც ახალგაზრდა თანაშემწის ეთიკურობას უჭერს მხარს და უდანაშაულო მშენებლებს ეხმარება.

სამართლიანობის დაცვა, კანონისა და კანონიერების აღდგენა, ისედაც მათი მოვალეობა იყო, თუმცა საბჭოეთში კანონიერებას და მოვალეობებს ფასი დაკარგული ჰქონდა, ირაკლი რაზმაძისა და მარიკა ჩოდრიშვილის ასეთი თამამი, გაბედული ნაბიჯები კი ღირსებაზე მეტყველებს. სწორედ ამ ღირსებებს განასახიერებდა თავად ავტორიც.

პიესაში ამგვარად განვითარებული მოვლენები და იდეა ხელისუფლების პირველი პირის ზნეობრივი პასუხისმგებლობების შესახებ დღესაც აქტუალურია. ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომა გაცილებით საშიშია, რადგან უმაღლესი ნდობით აღჭურვილი ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო დიდი და ღრმაა, მიტომ ხელმძღვანელმა ყოველი ნაბიჯი ფრთხილად და მოზომილად უნდა გადადგას.

პროფესორი იური ბიბილეიშვილი საუბრობს რა ალ.ჩხაიძის პიესებზე, შენიშნავს: ,,ეს პიესები, გამოიერჩეოდა არა მხოლოდ კრიზისში მყოფი საზოგადოების მძაფრი კრიტიკით, არამედ იმ მარადიულ ღირებულებათა წინ წამოწევითაც, რომელთაც ურთულეს სიტუაციაში, ისტორიის ყველაზე ძნელ პერიოდშიც კი, ადამიანში უნდა გადაარჩინოს პიროვნება, ხოლო ერში - მარადიული სული. ალექსანდრე ჩხაიძის პიესები, რომლებიც თანამედროვე ადამიანის უმწვავეს ტკივილებს ეხება, სიკეთისა და პატიოსნებისათვის

ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს''... (ბიბილეიშვილი იური, ,,ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძე - 80", გ. ,,აჭარა''. N40, ბათუმი, 2004).

ამ სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის შემცველ პიესაში, ავტორმა წარმოადგინა ის მწვავე საკითხები, რაც დღესაც აქტუალურად ჟღერს.

კრიტიკოსმა კონსტანტინე შჩერბაკოვმა პიესის ,,ხიდის'' ნახვის შემდეგ, სირანო დე ბერჟერაკს, დეკაბრისტებსა და მარიკა ჩოდრიშვილს შორის რაღაც საერთო დაინახა და რეცენზია ასე დაასათაურა: ,,დონ-კიხოტი და სხვები", საგასტროლო სპექტაკლების განხილვისას კი რეჟისორმა ბორის ლვოვანოხინმა თქვა: ,,ეს ის სპექტაკლია, რომელიც ქართველებს კი არ უნდა ჩამოეტანათ, ჩვენ უნდა დაგვეხვედრებინა მოსკოვში" (ჩხაიძე, 1998: 86).

ავტორმა პიესის უმთავრეს იდეად კანონის უზენაესობა დაისახა, ხელმძღვანელი, განურჩევლად თანამდებობისა, კანონიერების დაცვის ფარგლებში უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს. ამ პიესით ,,ხიდი'' შოშია ჩხაიძეს ქართული თეატრის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის. დრამატურგს არასოდეს უღალატია საკუთარი ცხოვრებისეული კრედოსთვის, მაღალი მოქალაქეობრივი თუ ზნეობრივი პოზიციებისთვის. მან ამ პიესით სრულყოფილად წარმოაჩინა თავისი სათქმელი, ცხოვრებისეული პოზიცია თუ მძაფრი კრიტიკული მოსაზრება.

ავტორის ეს პიესა საქართველოს თითქმის ყველა თეატრში დაიდგა და ასეთივე უდიდესი წარმატება ხვდა წილად საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების არაერთ სცენაზე.

დრამატურგი თავისი პიესებით მკითხველს დაწვრილებით მასალას აწვდის ადგილისა თუ პერსონაჟების მოქმედების შესახებ, მათ პორტრეტებს ზედმიწევნით გვიხატავს, რითაც საშუალებას გვაძლევს მოვლენები მთელი სიზუსტით აღვიქვათ. გამონაკლისი არც პიესა **„სამიდან ექვსამდე"** გახლდათ, რამაც განაპირობა კიდეც მისი პოპულარობა. არაერთი სატელევიზიო გადაცემა, ჟურნალი თუ პოლიტიკური პირი განიხილავდა პიესის ავკარგიანობას, მაგრამ

მთავარი ის იყო, რომ მაშინდელმა ,,თავისუფალმა“ მიმომხილველებმა (როგორც უწოდებდნენ საკუთარ თავს) დრამატურგის ჩანაფიქრი სწორად დაინახეს და მიიღეს მისი მამხილებელი, კრიტიკული პათოსი. პიესის სცენაზე გადატანა საფრთხის შემცველი იყო და აუცილებლად გამოიწვევდა ზემდგომთა რისხვას, მაგრამ სპექტაკლი მაინც შედგა არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებსაც გასცდა. ეს თეატრალური წარმოდგენები დასაწყისი უნდა გამხდარიყო ახალი ეპოქისა, რომლის შესახებაც თავად ავტორი დასძენს: ასეთი მამხილებელი პიესის გამოჩენა, თეატრების დაინტერესება, პოპულარულ ჟურნალში მისი გამოქვეყნება, ალბათ იმის შედეგია, რომ სახელმწიფოს სათავეში ანდროპოვის მოსვლით, ახალი ერა იწყება საბჭოთა კავშირში“ (ჩხაიძე, 1998: 154).

პიესას ერთი გამოკვეთილი პერსონაჟი არ ყავს. ავტორი სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანების პრობლემებს აღწერსდა ამით გვიჩვენებს თუ რამდენად არაეფექტურია საბჭოური მმართველობის სისტემა. პიესაში ვხვდებით ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ პერსონაჟებს - ახალდაქორწინებულ წყვილებს, პენსიონერ აქტივისტებს, მოდავე მეზობლებს, პატარა ფეხბურთელებს, ცირკის დირექტორს, ჟურნალისტებს, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს და სხვებს, რომელთა პრობლემების მოსმენა ქალაქის საბჭოში ერთ სამუშაო დღეში შეუძლებელი ხდება.

ქალაქის საბჭოს შენობის წინ, საბავშვო ბაღის აღსაზრდელები საპროტესტო აქციას საბავშვო ბაღის შენობის ავარიული მდგომარეობის გამო მართავენ, გუნდური შეძახილებით კი ,,ძირს ბიუროკრატები!'' ,,ძირს აღმასკომი!“, ,,ძირს თავმჯდომარე!'' უმოქმედო ხელმძღვანელობის გამოფხიზლებას ცდილობენ. ავტორი იხსენებს რა ამ პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს, რომელიც არაერთ სცენაზე დადგმულა, წერს: „პიესაში გაჟღერებული შემდეგი ორი წინადადება - ,,ძირს თავმჯდომარე“, ,,ძირს აღმასკოვი!“ ამოიღეს სასცენო რეპერტუარიდან. რაც ნაკლებად გასაკვირია, ვინაიდან, მაშინდელი პარტიის ლიდერს, ამავდროულად, საბჭოთა კავშირის

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანამდებობაც ეკავა. ამდენად, ეს ლოზუნგები პირდაპირ მისი მისამართით გამოსროლილი სიტყვები იქნებოდა, ამიტომ შეიკავეს თავი და მსგავსადცენზურის მითითებისა, თეატრალურ წარმოდგენებში აღსაზრდელების ეს მოწოდებააღარ უხსენებიათ“ (ჩხაიძე, 2009:108).

ავტორი საინტერესო გადასვლას აკეთებს, როდესაც ათასობით მომჩივანი ადამიანის პრობლემებით გადატვირთულ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე რამაზ ავალიანთან ვინმე შალამბერიძე მადლიერების გამოსახატავად შემოჰყავს. პიესის უამრავ მომჩივან პერსონაჟს შორის, შალამბერიძე ერთადერთი მადლიერი მოქალაქეა. მთელი სამსაათიანი ლოდინის შემდეგ მადლობის გადახდის მეტი სათხოვარი რომ არ აქვს, რაც ერთი მხრივ აკვირვებს თავმჯდომარეს და ამასთანავე საგონებელშიც აგდებს, ვინაიდან საზოგადოებაში გამეფებული ეგოისტური დამოკიდებულების ფონზე მადლიერების გრძნობის გამოხატვა ადამიანებს დავიწყებული ჰქონდათ.

პიესაში ჩადებული ეს ავტორისეული იდეა, დამერწმუნებით, სევდიანი და გროტესკულიცაა. მანკიერებების დღის სინათლეზე გამოტანა, ასე თამამად გაშუქება მიუღებელი იყო საბჭოთა მმართველობისთვის,მაგრამ რამდენადაც მწარე გახლდათ საბჭოთა რეალობა, იმდენად მწვავედ აქვს დრამატურგს თავის პიესებში გაკრიტიკებული.

ავტორი პასუხისმგებლობას მხოლოდ თავმჯდომარეს არ ეკისრებს, მმართველობის სხვა რგოლებსაც თავისი კუთვნილი პასუხისმგებლობა აქვთ, ეს კი ერთიან ჯაჭვს ქმნის და მისი გარღვევა შეუძლებელი ხდება.ავტორი ამას რამაზ ავალიანის მონოლოგით ააშკარავებს: ,,ხედავთ იმ მილს, შავი ბოლი რომ ამოდის და არემარეს წამლავს. კაბინეტის ფანჯრები ვერ გამიღია ამის გამო - ვერც სხდომათა დარბაზის, დეპუტატები რომ არ გაიმურონ. ორჯერ მივიღეთ დადგენილება მის გასაუქმებლად. არცერთხელ არ შესრულდა, იმიტომ, რომ ამ მილის ქვემოთ თანდათან გაჩნდა საქმე, ამ საქმეში ჩადებული ფული, რომელიც ათმაგადაა ამოსაღები, შემდეგ, ყოველივეს ეს სახელმწიფო გეგმად იქცა, გეგმა

კი კანონია, მინისტრიც კი ჩაერია მათ დასაცავად და ჩვენ ვეღარ მოვერიეთ. ასე იქცა შეცდომა გადაულახავ უკანონობად, შეცდომის დაშვება კი უფრო ადვილია, ვიდრე მისი გამოსწორება, რასაც ჩვენ მემკვიდრეობად ვუტოვებთ შთამომავლობას''(ჩხაიძე, 2009:149).

პერსონაჟის ამ მონოლოგით ავტორმა ფარდა ახადა ყოველი პრობლემის არსს. ქვეყანაში, სადაც მმართველობის სისტემური ხარვეზებია მოსახლეობაც პრობლემებით დატვირთულიცხოვრობს. ხელმძღვანელის პოზიციაარ გულისხმობს მშვიდ ცხოვრებას, მაშინ, როდესაც თანამდებობის პირისთვის ზნეობრივი ღირებულებები ფასეულია. ასეთია რამაზ ავალიანი, რომელსაც ერთი ზარით შეუძლია შვილის პრობლემა მოაგვაროს, მაგრამ ეთიკური ნორმები არ აძლევს უფლებას სამსახურეორივი პოზიცია პირადი ინტერესებისათვის გამოიყენოს. ამ პოზიციით დრამატურგს სურდა ეჩვენებინა ღირსეული ხელმძღვანელის სახე.თუმცა პიესის დასასრული თითქოს ამ იმედსაც კლავს. პიესის დასარულს ავალიანითავის კაბინეტში მარტო, მოუგვარებელი პრობლემებთან ერთად რჩება და ისმის სკოლის დირექტორთან განხორციელებული ზარი: ,,სკოლაა? ქალბატონი თამარი ბრძანდებით? გამარჯობათ. ავალიანი ვარ...“ მართალია მათი დიალოგი არ მოგვცა ავტორმა, თუმცა ლოგიკურია, რომ ის შვილის პრობლემას აგვარებს.

როგორც ვხედავთ, პიესას ტრადიციული დასასრული არ აქვს. დრამატურგი მას ისეთივე გროტესკულობით ასრულებს, როგორიც თავად პიესაა. მკითხველისთვის უცნობია თუ რას შეეხება ქალაქის საბჭოს თავმჯდომარისა და სკოლის დირექტორის დიალოგი, მაგრამ ავტორმა ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ ერთი მხრივ პრინციპების უარყოფა, ხოლო მეორე მხრივისეთი ხელმძღვანელის მმართველობა, რომელსაც ვერც ოჯახში და ვერც საზოგადოდ ვერ მოუგვარებია პრობლემები, საბჭოთა მმართველობის რეალობაა, რაც ვერასდროს იქნება პროგრესული. საბოლოო პოზიციის ჩამოყალიბებას ავტორი მკითხველს აკისრებს და ეს პოზიცია მნიშვნელოვანია

იმდენად, რამდენადაც, მიუხედავად ეპოქალური განსხვავებისა, ეს თემა დღესაც აქტუალურია.

თამამი მამხილებელი პათოსის გამო ავტორს არაერთი ქვეყნიდან მიუღია სამადლობელო წერილი მისი გამორჩეული ხელწერისა და მებრძოლი კრიტიკის გამო. კინორეჟისორი და კინო თეორეტიკოსი სერგეი ეიზენშტეინი ამბობდა: ,,ხელოვანი - წინასწარმეტყველი უნდა იყოს, იგი უნდა გრძნობდეს როგორ განვითარდება ისტორია, რა მოხდება ამ სამყაროში''. ჩვენი მოსაზრებით შოშია ჩხაიძის პიესების მოვლენათა თანმიმდევრულობით ის ერთგვარად აყალიბებს მომავალი ცვლილებების გარდაუვალობას და პროგრესული მმართველობის კოდექსს.

საზოგადოებაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პიესამ **,,თავისუფალი თემა''**, რომლის მთავარი პერსონაჟები არიან მეათეკლასელი მოსწავლეები, მათი მშობლები და პედაგოგები. საზოგადოებამ იხილა ახალი თაობის გმირი - მეათეკლასელი ცირა გელოვანი, რომელმაც შეძლო და ხმა აღიმაღლა განათლების სისტემაში არსებული მანკიერებების წინააღმდეგ, პროტესტი კი იმდენად ძლიერია, რომ ახალგაზრდა გოგო ვერანაირმა წინააღმდეგობამ დააშინა.

ალექსანდრე ჩხაიძის პიესების მთავარი გმირები ძირითადად ახალგაზრდები არიან, პრინციპულები, მიზანდასახულები, სწორედ მათი იმედი ჰქონდა ავტორს, რომ დამყაყებულ სისტემას შეცვლიდნენ, მხოლოდ მათი შემართებით იყო შესაძლებელი უკეთესი მომავლის შექმნა. სწორედ ამ დამოკიდებულებამ განსაზღვრა „თავისუფალი თემის“ იდეაც. ამის შესახებ ავტორი წერს: ,,ბავშვი და მისი სამყარო დაკავშირებულია ხელოვნებისა და ლიტერატურის უმთავრეს დარგებთან. ეს სულისკვეთება და იმედი თან სდევს საზოგადო მოღვაწის შემოქმედებას“ (ჩხაიძე, 1998: 136). პიესა იმდენად აქტუალური გახდა, რომ მისი ინსცენირებით დაინტერესდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის, შემდგომ უკვე საზღვარგარეთის თეატრებიც. ზედიზედ იდგმებოდა იგი ბათუმში, ქუთაისში, თბილისში, ბაქოში, ერევანსა და სხვა

მრავალ თეატრში. ეს პოპულარობა კი განპირობებული იყო, პიესაში წამოწეული აქტუალური თემებით, მანკიერი მხარეების სააშკარაოზე გამოტანით, რომლებიც ყველასთვის ნაცნობი იყო, მაგრამ მათზე ხმამაღლა საუბარს ბევრი ვერც კი ბედავდა. საინტერესო გახლდათ ის ფაქტიც, რომ ბულგარეთში ,,თავისუფალი თემის" მთავარ პერსონაჟს, ცირა გელოვანსპიესის „ხიდი" მთავარი გმირის მარიკა ჩოდრიშვილისახელი უწოდეს. და ეს არა იმიტომ, რომ ,,ცირა" სათანადოდ კარგად არ ჟღერდა, არამედ იმიტომ, რომ ცირა გელოვანი მარიკა ჩოდრიშვილის ახლაგაზრდობად მიიჩნიეს.ერთ-ერთ გოგონას, რომელსაც თეატრში ეს პიესა უნახავს, სინანულით ასეთი რამ უთქვამს: ,,რა ცუდია, რომ სკოლა უკვე დავამთავრე. ეს სპექტაკლი რომ ექვსი თვით ადრე მენახა, მეც ცირა გელოვანივით მოვიქცეოდი''- რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საკითხის სიმწვავეს.

ცირა გელოვანი პიესის მთავარი გმირია, მეათე კლასის მოსწავლე, ოქროს მედლის კანდიდატი, რომელიც დასკვნით გამოცდაზე საწერად თავისუფალ თემას ირჩევს და ბედავს ათი წლის მანძილზე ერთხელ მაინც იყოს ბოლომდე გულახდილი, დაწეროს სიმართლე და ხმამაღლა თქვას სათქმელი. ამის დადასტურებაა ეს სცენა: ,,მამაჩემი ყოველთვის მეუბნებოდა, რომ მე ვარ მისი ყოველი წიგნის გმირი, რომ ისინი იზრდებიან. კლასიდან კლასში გადადიან ჩემთან ერთად. მაგრამ მე ახლა ვეჭვობ, რომ ისინი ტყუობდნენ და უღირსად ცხოვრობდნენ ჩემთან ერთად. ცირა თაროდან იღებს და იატაკზე ყრის მამის წიგნებს. ყოველივე ამას ხედავს და ისმენს კარებში შეჩერებული ელიზბარ გელოვანი. მამა და შვილი უხმოდ შესცქერიან ერთმანეთს'' (ჩხაიძე, 2009:287).

ცირას ამგვარი პროტესტი შემთხვევითი არ ყოფილა. იგი იზრდებოდა სხვა სულისკვეთებით და სკოლაში საბოლოო გამოცდაზე სრულიად სხვა რამ მოსთხოვეს, მოსთხოვეს ტყუილი, თვალთმაქცობა, რაც მისთვის მიუღებელი იყო. სწორედ ამის პასუხად, ცირა ყველას გასაგონად აცხადებს: „მე მძულდა ყველანი, მასწავლებლებიც, ამხანაგებიც. მძულდა სიყალბისათვის, თვალთმაქცობისათვის. მე მძულდა საკუთარი თავიც, რადგან სიცრუე უნდა

დამეწერა. თითქოს ექიმობაზე ვოცნებობდი. მე ხომ გაჭრილი თითის დანახვაზეც გული მიმდის? მე გონების თვალით გადავხედე განვლილ ათ წელიწადს და შემაშინა, რაც დავინახე. შევეცადე ერთხელ მაინც, სკოლიდან წასვლამდე ვყოფილიყავი გულწრფელი, დამეწერა სიმართლე, რაც ხდება ჩემ გარშემო, ვინ ვარ და როგორი მინდა ვიყო“ (ჩხაიძე, 2009: 300).

მოცემული ეპიზოდი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ საბჭოეთში ადამიანებს შეზღუდული ჰქონდათ სიმართლის თქმა, არ ჰქონდათ უფლება ემოქმედათ თავისუფალი ნებითა და სურვილით, სულ მცირე, პროფესიის არჩევის დროსაც კი. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ მხოლოდ მათი ქმედება კი არა, ფიქრებიც კონტროლდებოდა, პროკრუსტეს სარეცელზე მოქცეულებს მხოლოდ არსებული რეჟიმის ინტერესებით უნდა ემოქმედათ.

სწორედ ამან განაპირობა ცირა გელოვანის პროტესტი, დაუმორჩილებლობა, განათლების სისტემის კრიტიკა, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ყველა შეცდომას, რასაც უფროსი თაობა მარტივად ეგუებოდა. მართალია მისი ასეთი თამამი განცხადებითსაკუთარი მომავალი ეჭვქვეშ დააყენა, მაგრამ მაინც არ შეშინდა, ყველასათვის შესაშური გამბედაობით დირექტორი და მასწავლებლები არსებულ რეალობაზე დააფიქრა.

ერთ შეხვედრაზე, რომელიც აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა, დრამატურგისთვის ასეთი რამ უკითხავთ: ,,გინახავთ ცხოვრებაში ასეთი გმირი?“ (ცირა გელოვანი). ამ კითხვაში იგულისხმებოდა ისიც, თუ რამდენად რეალური იყო ასეთი თამამი ადამიანები, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ დრამატურგი თავისი პიესის გმირებს, ყოველთვის რეალური ცხოვრებიდან იღებდა, სახელები და საქმიანობა შეიძლებოდა შეეცვალა, დანარჩენსკი თითქმის უცვლელად ტოვებდა. ამდენად, თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ცირა გელოვანის პერსონაჟი რეალური ცხოვრებიდან აქვს აღებული.

თუკი ჩავთვლით, რომ ავტორს რეალურად არ შეხვედრია ისეთი გოგონა, როგორიც ცირა გელოვანი იყო, გულახდილი და გულწრფელი, იდეა -

სიმართლეზე დაუფარავად, ღიად საუბარი უკვე მნიშვნელოვანი ფაქტია. ისეთი სითამამე, რასაც მეათეკლასელი გოგონა იჩენს, ყველასთვის მისაბაძია. ავტორის სათქმელი ერთი კონკრეტული შემთხვევის ჩვენების სურვილით არ შემოიფარგლება, იგი უფრო მასშტაბურია.

ალ. ჩხაიძის თითოეული პიესის შინაარსი, ფორმა, აგებულება, პერსონაჟთა სამეტყველო ენა, მათი პორტრეტები, ირონიისა და იუმორის ოსტატურად შერწყმა, გამორჩეული ხელწერა, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს დრამატურგის პროფესიონალიზმში. ავტორს ჩვეულებრივი ამბები უმაღლეს ხარისხში აჰყავს და მკითხველსა თუ მაყურებელს საოცარი მუხტით ავსებს.

მიუხედავად ეპოქალური განსხვავებისა შოშია ჩხაიძის პიესები, თანამედროვე ადამიანების უმძაფრეს ტკივილებსაც ეხმიანება. განვმეორდებით და ვიტყვით, რომ მწერალი თავისი დრამატურგიით საბჭოთა სინამდვილეში არსებულ სიმახინჯეებს დაუპირისპირდა და ეს, არც თეატრის კრიტიკოსების ყურადღების მიღმა დარჩენილა. მაგრამ ავტორისთვის მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი, მისი მიზანი პერსპექტივის დანახვა იყო. საინტერესოა პიესა **„ჩემი ეიფელის კოშკი"**, რომელიცსვამს კითხვას - ,,გვჭირდება თუ არა დღეს დონ-კიხოტი?" და თავად ავტორი პასუხობს, რომ დონ-კიხოტები საზოგადოებას ყოველ დროში სჭირდება. ისინი გვიმახვილებენ სმენას, გრძნობებს, შეგრძნებებსა და გვარწმუნებენ იმაშიც, რომ ცხოვრება ვერ იქნება სრულყოფილი პოეზიის, სრული სილამაზისა და ამაღლებული გრძნობების გარეშე. პიესაში ,,ჩემი ეიფელის კოშკი'' ავტორს ესთეტიკურ კატეგორიამდე აჰყავს მეოცნებე კაცის სახე, რომელსაც ,,ადამიანების ცხოვრებაში შემოაქვს პოეზია, სილამაზე და სიკეთის ესთეტიკა'' (ბიბილეიშვილი იური, ,,ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძე - 80", გაზეთი ,,აჭარა''. N40, ბათუმი, 2004).

საკითხის ამგვარად, ასე ნათლად დაყენება, მეტი პრინციპულობისა და მორალურ-ზნეობრივი საკითხების წინ წამოწევის სურვილი, ადამიანს ფსიქოლოგიურ-მორალურად აძლიერებს, ავსებს ენერგიითა და სიცოცხლის

ხალისით ისე, როგორც ,,ჩემი ეიფელის კოშკის'' გმირი, გიორგი (გია) ლეშკაშელი.

პენსიონერი კომუნისტი გიორგი ლეშკაშელი სოფელ უნაგირაზე გადაწყვეტს ქარის წისქვილის, იგივე ეიფელის კოშკის აშენებას, რის უფლებასაც არ აძლევენ ადგილობრივი ხელმძღვანელები, არქიტექტორები. ამ საქმის კეთილად დაგვირგვინების იმედით გულანთებული გმირი კი უკან დახევას არ აპირებს და მეგობრებთან ერთად, მტრებსაც შეიძენს. მეგობრები გერასიმე გუმბერიძე, გოგიტა და ციცინო მართალია ამხნევებენ,მაგრამ დროდადრო, ჩანაფიქრზე უარის თქმისკენაცმოუწოდებენ. მტრებად კი ადგილობრივი ხელისუფლება, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებიქცეულან, რომლებიც ყველანაირ ხერხს მიმართავენ, რათა ხელი შეუშალონ გიორგი ლეშკაშელს კუთვნილ მიწაზე ააშენოს უწყინარი ქარის წისქვილი, რომელიც ფუნქციური იქნება და, ამავდროულად, ძეგლის სტატუსის მატარებელიც.

მართალია პიესა მეოცნებე ადამიანზე მოგვითხრობს, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან მისიას ატარებს. პიესის არსი მდგომარეობს არა იმაში, თუ რა სურს მთავარ პერსონაჟს, არამედ კომუნისტურ წყობაში, თუ რამდენად შეუძლია დაანგრიოსარსებულმა უსამართლო რეჟიმმა ადამიანის ოცნებები, რამდენად გაურთულოს მათ ცხოვრება და პრიმიტიულ, უმნიშვნელო დონეზე დაიყვანოს ყოველიველდღიურობა.

როგორც ავტორის სხვაპიესებში, აქაცკანონის სახელით გაბატონებულ უსამართლობაზეა საუბარი. კერძოდ, გიორგი ლეშკაშელის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი სახელმწიფომ სრულიად მოულოდნელად, უკანონოდ ჩამოართვა,რითაც მფლობელის უუფლებო მდგომარეობაზე მიგვანიშნა.

ამ კონკრეტული პიესის მაგალითზე დრამატურგი ხაზს უსვამს არა მხოლოდ ერთი ოჯახისა და ერთი სოფლის ამბავს, არამედ ამით საყოველთაოპრობლემაზესურს საუბარი. საბჭოეთი, არა მხოლოდ, ბოროტებისა

და უსამართლობის იმპერია გალხდათ, არამედ, თავადვექმნიდა ამ ყველაფრის საფუძველს. შოშია ჩხაიძის პიესის გმირების მისია კი არსებულ რეჟიმიმთან ბრძოლა გახლდათ.

პიესის სიუჟეტში გამოიკვეთა ის სირთულეები, რომლებიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეიძლებოდა შეხვედროდათ, მაგრამ მხოლოდ ოპტიმისტებს, სულიერად ძლიერ და ზნეობრივად სუფთაადამიანებს შეეძლოთ გამარჯვება. სწორედ ასეთი თვისებების მატარებელია პიესის მთავარი გმირი, მოხუცი გიორგი ლეშკაშელი.

ასეთი რთული ვითარების წინაშე აღმოჩნდა გიორგი ლეშკაშელი, თუმცა უკან დახევის სანაცვლოდ, საქმის ბოლომდე მიყვანას გადაწყვეტს და შეძლებს კიდეც, მაგრამ სიცოცხლის ფასად. პიესის დასასრულს პერსონაჟის მოულოდნელი სიკვდილით ავტორი მისთვის სახასიათო უჩვეულობას იჩენს და გვეუბნება, რომ სიმართლის, მიზნებისა და ოცნებების შესასრულებლად ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სიბნელე, რომელიც ასე მძლავრად გამეფებულა ქვეყანაში, უფრო მეტად გაიზრდება და საბოლოოდ ყველა ჯანსაღ აზრს, სამართალს სრულიად გადაწონის.

გიორგი ლეშკაშელის სიკვდილი გახდა უკეთესი ცხოვრების არსებობის იმედის ნაპერწკალი. მეოცნებე ადამიანის სურვილს, გაიდიალებული ცხოვრებისაკენ სიარულს ყოველთვის მოაქვს შედეგი. შოშია ჩხაიძე იმედის ნაპერწკალის უფრო დიდ ცეცხლად გადაქცევის ჭეშმარიტებაში ასეთი სიტყვებით გვარწმუნებს, რომელსაც პიესის ყველაზე ახალგაზრდა პერსონაჟს, გოგიტას ათქმევინებს: ,,მე ახლა ვნახე როგორ მოკვდა ადამიანი... მე პირველად ვნახეროგორ კვდება ადამიანი და მივხვდი, ეს არც ისე ძნელი ყოფილა თურმე. იგი წავიდა ამ ქვეყნიდან უცებ, უხმოდ, ისე, რომ სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, მაგრამ მის სახეზე, მის თვალებში ტანჯვასთან ერთად, მე დავინახე კმაყოფილებაც და მივხვდი, ამ ქარის წისქვილმა, ეიფელის კოშკმა გაუადვილა სიკვდილი. გიორგი ლეშკაშელს არაფერი უთქვამს ჩემთვის, მაგრამ მე ვიცი რასაც მეტყოდა იგი. მხოლოდ ის მოასწრო რომ დაგვლოცა მე და ციცინო... ჰო,

ჰო, ჩვენ უნდა დავრჩეთ აქ და უნდა მივხედო, რომ მუდამ იბრუნოს ამ ქარის წისქვილმა!'' (ჩხაიძე, 2009:390).

ამ პიესით ავტორმა შეძლო და ლეგენდას ხორცი შეასხა, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და ყოველთვის გამოჩნდებიან შენი საქმის გამგრძელებლები.

ალ.ჩხაიძე ყოველ პიესაში თავისი პრინციპების ერთგული რჩება. ამ მხრივ გამონაკლისს არც პიესა **,,ჩინარის მანიფესტი"** წარმოადგენს. მისი მთავარი გმირი, თვრამეტი წლის ბადრი ლომიძე, სოფლის კოლმეურნეობას ჩაუდგება სათავეში. იგი ლენინური კომკავშირის აღზრდილია და იმ პლეადას ეკუთვნის, რომელსაც მოვალეობის პირნათლად შესრულება სისხლში აქვს გამჯდარი. იგი თავის ყოველ ქმედებას ზნეობრივ-მორალური საზომით განსჯის, მისთვის მნიშვნელოვანი ის კი არ არის, თუ რამდენ ხანს იცოცხლებს ადამიანი, არამედ როგორ იცხოვრებს იგი.

პიესით თავიდანვე დაინტერესდნენ რეჟისორებიც და იგი მალევე გახდა ბევრი თეატრის რეპერტუარის მთავარი შემადგენელი. პიესას შეგონებად გასდევდა ავტორისეული სიტყვები: ,,...თითოეული ადამიანის ცხოვრებაში არის ერთი ყველაზე რთული დღე, როცა იგი გზაჯვარედინზე დგას, ამ წუთებში მან არავის უნდა ანდოს არჩევანის უფლება... მან თავისი ბედი უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ გულისა და სინდისის კარნახით, რა ძნელიც უნდა იყოს ეს...''. (გასტროლები თბილისში, ,,ალექსანდრე ჩხაიძის პიესა სტავროპოლის სცენაზე'', გ. ,,თბილისი'', N167 (9185), თბილისი, 1983). ამ პათოსით მოქმედებენ არა მხოლოდ პიესის გმირები, არამედ ეს გახლდათ თავად მწერლის ცხოვრებისეული კრედო.

მოცემული პიესის მთავარი სათქმელი არა მხოლოდ ადამიანური ღირსებების ხაზგასმაა, არამდე სახელმწიფო მოღვაწის მიერ გაკეთებული საქმის სანდოობისა და სამართლიანობის არსებობის მნიშვნელობაა, ვინაიდან, სახელმწიფო პირისათვის დაკისრებული ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულება განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს. თითოეული ამ პრობლემის

წამოწევის სურვილით შეიქმნა პიესა ,,ჩინარის მანიფესტი'', სათაური კომუნისტური მანიფესტის ერთგვარ ირონიას წარმოადგენს.

ახალგაზრდების თემას განავრცობს ალ.ჩხაიძე პიესაში **„შთამომავლობა“.** ავტორი მასში აგრძელებს მანკიერებების მხილებას და ისევ მომავალ თაობას აკისრებს მათი გამოსწორების მისიას. ამ პიესაში წარმოჩენილი აქვს ერთი კომუნისტი ოჯახის ცხოვრება, რომელსაც განაზოგადებსმთელი მისი ავკარგიანობით.

რამდენ სიყალბესა და სიცრუეს ვხვდებით გაიოზ გომელაურის ოჯახში, რომელიც მთელს ქალაქში ერთ-ერთი სამაგალითო ოჯახის სტატუსით იწონებს თავს. დრამატურგი გვიჩვენებს, რომ საკმარისია არსებულ მდგომარეობას შემოვაცალოთ ერთი თხელი ფენა და დავინახავთ, რომ მთელი დეკორუმი აშენებულია გაუფასურებულ ღირებულელებზე, სიყალბესა და იმედგაცრუებებზე.

გომელაურების პატივსაცემი ოჯახი, სწორედ ამ მანკიერებებით შენიღბული ოჯახია. საკმარისი გახდა მხოლოდ ერთი მართალი სიტყვა, ხმის ამოღება და ლამის დაინგრა ისტორიული ტრადიციების მქონე საუკუნოვანი სახლი. სიმართლემ, ოჯახურმა გულახდილობამ დაარღვია ამ ოჯახის „ერთსულოვნება“. ავტორისვამს კითხვას გაუმკლავდებაკი ეს ოჯახი ასეთ გამოცდას და მოქმედებათა თანმიმდევრულობით გვთავაზობს პასუხსაც. სათაურიც თავიდანვე გვაძლევს მინიშნებას იმაზე, რომ მამათა და შვილთა დაპირისპირება, ახალი თაობის განსხვავებული ხედვა და შემართება ცვლის დაპაუზებულ, თითქოს სტაბილურ, მაგრამ შინაარისგან დაცლილ ცხოვრებას. ასეთი გმირია გურამ გურიელი, რომელიც ყველაზე გულახდილი პერსონაჟია, კრიტიკულად გამოთქვამს მოსაზრებას და სურს მის სიტყვას რეალური საქმე მოყვეს, დანერგოს სიახლე, მომავალი თაობებისთვის გააკეთოს რაიმე ღირებული. გურამი აუჯანყდება გამეფებულ უსამართლობას, რის გამოც უსამართლოდ ციხეში ხუთწლიან სასჯელს მოიხდის. მიუხედავად ამისა, თავისი პრინციპებით, იგი კვლავინდებურად აგრძელებს ცხოვრებას და არ

აპირებს შეეგუოს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ყალბ ფასეულობებს. მისი აზრით, ახალმა თაობებმა ახალი შედეგებიც უნდა მოიტანონ. ასეთია მისი პოზიცია მშობლის მიმართ: „მთავარი კი ის არის, რომ უზარმაზარი, ახალგაზრდული ენერგია იხარჯება უმიზნოდ. შინაგანად ისინი შეიძლება გრძნობდნენ კიდეც, - რომ ასეთნაირად ცხოვრება არ შეიძლება, რომ ფულის შოვნის გარდა კიდევ არსებობს ადამიანური ღირსება, სინდის-ნამუსი, თუ გნებავთ, ეროვნული სიამაყე, მაგრამ როგორ უნდა იცხოვრონ სხვანაირად, მათ ეს არ იციან, თქვენგან არ უსწავლიათ, ამიტომ ეს ენერგია იფლანგება უაზროდ, დალევა, ნარკოტიკი, ზოგჯერ კი - დანაშაული... აი, ეს მქონდა მხედველობაში, როცა მთვარეზე ვლაპარაკობდი და რაც ვერ ამოვიკითხე შენს დისერტაციაში''... (ჩხაიძე, 2009:183).

დამეთანხმებით, გურამ გომელაურის კრიტიკა ლოგიკურია და სამართლიანი, ვინაიდან ყოველი ახალი თაობა, როგორც თავად ამბობს, ახალია მანამ, სანამ შეუძლია განახლებული იდეების მოტანა და ცხოვრების წესის შეცვლა. ცოტა მკაცრია შეფასებაში გურამი, როცა ამბობს რომსამწუხაროდახალი თაობა უფროსთა ნასუფრალით საზრდოობსო და განვითარებისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნია მომავალ თაობის შესაბამისი ცოდნითა და უნარით აღჭურვა, რათა მათ დამოუკიდებლად, ღირსეულად წარმართონ თავიანთი ცხოვრება.

ამის დასტურია გურამისა და გაიოზის დიალოგი:

„გურამი - თქვენ ჩემგან ითხოვთ ფრიადზე სწავლას, დანა-ჩანგლის სწორად ხმარებას, იმას, რომ არ მოვხვედრილიყავით ცუდ წრეში და, უკეთეს შემთხვევაში, გამოვსულიყავით კარგი ექიმები, ინჟინრები, გეოლოგები, როგორც ამას სადღეგრძელოში ამბობენ, სამშობლოს ღირსეული შვილები, და არა იმას, რომ გაგვეახლებია ეს ცხოვრება, რომელიც ძალზე გაწყობთ, ვინაიდან იგი თქვენი შექმნილია და რაღაც სიძნელეების მიუხედავად, საკმაოდ ჩინებულად გრძნობთ თავს.

გაიოზი - ჩვენი თაობა ამ ცხოვრებისთვის თავს სწირავდა, ომობდა, შიმშილობდა, აშენებდა...

გურამი - სამაგიეროდ ახლა ჩვენ ვცხოვრობთ უზრუნველად და ამას ამართლებთ მავნე ფილოსოფიით, თუკი ამას საერთოდ ფილოსოფია შეიძლება ეწოდოს, აქაოდა, ისიც საკმარისია, რაც ჩვენ ამდენი სიძნელე და გაჭირვება გადავიტანეთ, შვილებმა მაინც იცხოვორნ დალხინებულად, ესე იგი, ადვილად, მზამზარეულზე, რომელიც ნასუფრალს ჩამოგავს'' (ჩხაიძე, 2009:182).

ავტორი პიესაში მწვავედ სვამს მორალური ღირებულებებისა და ზნეობრიობის საკითხს. გურამის ასეთი კატეგორიული დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, მათი ნების საწინააღმდეგოდ სიარული, მხოლოდ თავის დაღუპვის ტოლფასი შეიძლებოდა ყოფილიყო განსაკუთრებით მაშინ, როცა მას ოჯახთანაცუწევდა დაპირისპირება. პიესის მთავარ გმირსა და მის გარემოცვას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. მათი საუბარი მუდმივ გაუგებრობაში, უთანხმოებასა და ოჯახურ კამათში გადადის, იწვევს უსასრულო კონფლიქტს.

შთამბეჭდავია გურამ გურიელის გულწრფელი და სამართლიანი აღსარება: ,,იცით რამ გამაკვირვა? მე არავინ მიყურებდა ზიზღით (ციხეში), სიძლვილით არავინ მაქცევდა ზურგს, არავინ აცხადებდა პროტესტს ჩემი საზოგადოებაში ყოფნის გამო, მე მათთვის არ ვიყავი დამნაშავე, ბოროტმოქმედი. პირიქით, ისინი ინტერესით შემომცქეროდნენ, ოჯახებში მეპატიჟებოდნენ და სულ ცდილობდნენ, რომ აქაური ამბები მოესმინათ ჩემგან... საზოგადოებამ დაკარგა ზიზღისა და სიძულვილის გრძნობა დანაშაულისადმი, ბოროტმოქმედებისადმი, უზნეობისადმი. ერთ მაგიდას ერთდროულად უსხედან პატიოსანი ადამიანებიცა და ბოროტმოქმედნიც, მოსამართლეცა და ნაციხარიც. და ვითომც არაფერი...'' (ჩხაიძე, 2009: 169).

როგორც უკვე ვახსენეთ დრამატურგი თავის პიესებში ქალებს განსაკუთრებულ როლს აკისრებს. ,,შთამომავლობის" ერთ-ერთი ასეთი მეტად გამორჩეული, გაიდიალებული პერსონაჟი ფატი გურიელია, რომელიც სცენაზე

დიდმა ვერიკო ანჯაფარიძემ გააცოცხლა. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ მსახიობმა ფატი გურიელის მარადიული სახე შექმნა, რომლის მიერ წარმოთქმულმა ფრაზამ ,,ასე ცხოვრება არ შეიძლება“, მაყურებელში განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. ავტორმა მთავარი სათქმელი სწორედ ფატი გურიელს ათქმევინა. ჩვენი ღრმა რწმენით, დრამატურგისთვის განსაკუთრებული, გამორჩეული ქალი პერსონაჟი, სწორედ ფატი გურიელია. მისი კდემამოსილებით იგი განსაკუთრებულ ელფერს სძენსროგორც გურილების ოჯახს, ასევე ქალაქს. იგი სიმართლის, სიკეთის, სამართლიანობისა და ზნეობის ერთგვარი სიმბოლოა.

მაყურებელი ყოველთვის შეჩვეული იყო ვერიკო ანჯაფარიძის პათეტიკურობას, ფატი გურიელის როლიკი გახლდათ პირველი შემთხვევა, როდესაც რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ და მაყურებელმა გენიალური მსახიობის ინტონაცია ბუნებრივად მიიღო. 80 წლის ფატი გურიელი მხრებზე დაწოლილი წლების სიმძიმის ნაცვლად, ახალგაზრდული ენთუზიაზმითა და გზნებით მიუყვება ცხოვრების გზას და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სიმშვიდე, ურთიერთგაგება და თანაცხოვრების კულტურა დაამკვიდროს გაცივებულ ოჯახში, რომლის წევრებსაც ჰგონიათ რომ თითქოს სახელმწიფო საქმეებსა კეთებენ, სინამდვილეში კი ერთმანეთის ატანაც უჭირთ,უფრო მეტიც, ერთმანეთთან სიახლოვე ხელსუშლით თანაცხოვრებაში.

ფატი გურიელი პიესაში ზნეობრივი ღირებულებების მქონე ქალბატონის ღირსეულ მაგალითს წარმოადგენს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საკვანძო მომენტი, ოჯახური ყრილობა და მათი უკანასკნელი საუბარი, სწორედ მისი დაბადების დღეს შედგა. ყველანაირი საფიქრალ-საზრუნავით დატვირთული გურიელების ოჯახის წევრებს სულ გადაავიწყდათ ბებიას 80 წლის იუბილე. ეს არ არის შემთხვევითი, ავტორმა ამით ხაზი გაესვა გურიელების ოჯახის წევრთა გაუცხოებას, ოჯახური ღირებულებების დევალვაციას. ფატი გურიელისთვის კი ოჯახიდანიწყება სამშობლოს სიყვარული, რაც მისი მთავარი საფიქრალი იყო. ამიტომაც ადარდებდა ამ ოჯახის მოჩვენებითი ღირებულებები,

არამყარიფასეულობები, რომელსაც ეწირებოდა მათი ოჯახური იდილია.მისი სიტყვები: ,,თქვენ ფინჯანი ჩაი ყველას სხვადასხვანაირი გინდათ და ცხოვრება გენდომებათ ერთნაირი?“ ძალიან დამაფიქრებელი და აქტუალურია დღესაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ფატი გურიელი უჯახურ კამათს ჯერ მშვიდად, აუღელვებლად უსმენს, ერთმანეთის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს,მიუხედავად დიდი ტკივილისა, უპასუხოდ ტოვებს, ბოლოს კი ამბობს, რომ მთავარი ის კი არ არის, თუ რისი დათმობა ან არ დათმობა შეგიძლია, მთავარია იცოდე ცხოვრებაში ყველას კუთვნილი ადგილი როგორ მიუჩინო. ოჯახსა და პატიოსნებას არაფრით არ უნდა ანაცვალო არცერთი მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი კეთილდღეობები. მისთვის საამაყოა, რომ გურიელების ოჯახის ხშირი სტუმრები ხომ ქართველი ერის გამოჩენილი შვილები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დუტუ მეგრელი იყვნენ, მაგრამ სხვებისთვის ამასაც დაუკარგავს ფასი:

,,ფატი - ამ ოჯახის გარშემო ერის ბედი წყდებოდა.

გაიოზი - მას შემდეგ საუკუნე გავიდა, ქალბატონო ფატი.

ფატი - რა არის ცხოვრებაში საუკუნე?

გაიოზი-ძალიან ბევრი.შეიცვალა დრო, საზოგადოებრივი ურთიერთობები, მოისპო ადამიანისაგან ადამიანის ექსპლუატაცია.

ფატი - ექსპლუატატორთა სახელით მინდა მოგახსენოთ, რომ ამ მაგიდასთან ისხდნენ გენერლებიც და რევოლუციონერებიც, თავადიც და გლეხიც, სხვადასხვა კლასისა და პარტიის წარმომადგენლები. ისინი კამათობდნენ, ერთმანეთს ებრძოდნენ, მაგრამ ყოველ მათგანს ქვეყანა უყვარდა თავისებურად. ეს სიყვარული კი ოჯახიდან უნდა იწყებოდეს. აქ უნდა წყდებოდეს ყველა სამამულო საქმე. ოჯახის წევრები არა ვიღაცის, ან რაღაცის, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთის წინაშე უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი“ (ჩხაიძე, 1998: 156).

გურიელების ოჯახის მნიშვნელობა ისტორიას ჩაბარდა, ინგრევა მათი ურთიერთობა, სიყვარული, პატივისცემა, ღირებულებები, რომლითაც ერთ დროს ასე იწონებდნენ თავს. სასტიკია იმედდაკარგული ფატი გურიელისსაბრალდებო დასკვნა: „ეს არ არის სახლი, ეს არ არის ოჯახი, ეს არის კედლებით გადატიხრული ოთახები, სადაც ყოველი თქვენგანი ფიქრობს, რომ სახელმწიფო საქმეს აკეთებს, სინამდვილეში მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობთ და ვეღარ იტანთ ერთმანეთს იმიტომ, რომ ხელს უშლით ცხოვრებაში. თუ ეს ცხოვრებაა და არა თავის გატანა“ (ჩხაიძე, 2009: 225).

ამ პიესას კიდევ ერთი ქალი პერსონაჟი ამშვენებს, ოჯახის ყველაზე პატარა წევრი - ნატო გურიელი. იგი მუდამ ოთახშია ,,გამოკეტილი'' და საოჯახო საქმეებს ჩამოშორებულია. უფროსები ამით თითქოს მის დაცვას ცდილობენ. თუმცა, ამ შემთხვევაში ისინი კვლავ ცდებიან, რადგან ნატო ასაკთან შედარებით იმაზე ბევრს ხედავს, ვიდრე მათ ჰგონიათ. სწორედ, ყველასათვის თვალების ასახელად, ის რისი ბოლომდე აღიარებაც ფატი გურიელს გაუჭირდა და უთქმელი დატოვა, დრამატურგი ნატო გურიელს ათქმევინებს. გაბრაზებული ყველას მიმართავს: ,,არა ვარ პატარა, არა! ყველაფერი მესმის და ვხედავ იმაზე უფრო მეტს, ვიდრე თქვენ გგონიათ! ყველაფერს ვხედავ, ვიცი რატომაც ეჩხუბებით გურამს, რატომ წავიდა ლამარა, რატომ დადის სახლში ასე იშვიათად მამა, რატომ მიწერენ კარგ ნიშნებს სკოლაში, მე ისიც ვიცი სად წავიდა იმ ღამით ბონდო ლანჩავა და რატომ ჰქვია მას ღამურა, თქვენ კი ვერაფერს ხედავთ და არაფერი იცით. თქვენ მარტო ის იცით, როგორც კი სიმართლის თქმაზე მიდგება საქმე, იმ წუთშივე ჩემს ოთახში გამისტუმროთ. რაც გურამმა გითხრათ, ყველაფერი სიმართლეა. მე ზოგჯერ მგონია და მეშინია, რომ ძველებურად აღარ მიყვარხართ. ზოგჯერ მძულხართ კიდეც. თქვენ კი ვერაფერს ხედავთ და არაფერი იცით, თქვენ ისიც კი არ იცით, რომ დღეს ბებიას დაბადების დღეა, მას 80 წელი შეუსრულდა”(ჩხაიძე, 2009: 228).

შოშია ჩხაიძის ,,შთამომავლობა'' ერთგვარი შეხსენებაა ზნეობის, ერთიანობის, ოჯახური ერთობისა და მეგობრობის საჭიროებისა. დრამატურგი პიესაში ძალიან კარგად, ნათლად, სევდიანად და იუმორნარევი მომენტებითაც გადმოსცემს თითქმის ყველა იმ რეალურ ამბავს, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო ოჯახის, ქვეყნის ბედსაც. არამარტო ფატი გურიელის, არამედ ნატო გურიელის ასეთი თამამი, გამოსაფხიზლებელი სიტყვაც დროულია. ამით ავტორმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ შთამომავლობა უკვალოდ არ ქრება და ღირებულებები ადრე თუ გვიან აუცილებლად იჩენენ თავს.

ოჯახური კომუნიკაციის, საერთო აზრისა და ინტერესების ნაკლებობის შედეგია ყოველივე ის, რაც პიესას კიდევ უფრო დრამატულს ხდის. ფატი გურიელის მიერ დასმული საკითხი, რომ ეს სახლი ოჯახი კი არა, კედლებით გადატიხრული სახლია, შეხსენებაცაა ყველა თაობის ადამიანისთვის, რომ არ დავკარგოთ თანაზიარობა საკუთარი თავისა და ოჯახისწევრების მიმართ, ფატი გურიელის სახე კი ყველაზე შთამბეჭდავი მხატვრული სახეა. იგი მთელი ძალით ბროლის საფერფლესაც კი ანარცხებს იატაკზე იმისთვის, რომ უსიცოცხლო ოჯახი გამოაფხიზლოს: ,,მე მინდა ვიცოდე, რა ხდება ამ ოჯახში! ჩვენც კი გვქონდა, ბატონო, საქმე, მაგრამ კი ვნახულობდით იმის დროს, რომ საღამოობით მოგვეყარა თავი... სხვათა შორის, აი, ამ მაგიდასთან ლოტოს ვთამაშობდით, ჩაის ვსვამდით, სულერთია, რას ვაკეთებდით, მთავარია, რომ ოჯახის წევრები ვიკრიბებოდით და სიტყვას ვეუბნებოდით ერთმანეთს'' (ჩხაიძე, 2009:161). ეს სიტყვები მისი უსაზღვრო ტკივილის და იმედგაცრუების დასტურია.

დრამატურგმა ამ პიესით, ერთი ოჯახის მაგალითზე აჩვენა თაობათა ურთიერთობა და იგი განზოგადებულ თემად აქცია.შოშია ჩხაიძე ამასთან დაკავშირებით გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ წერს: ,,ავტორი პიესას ძირითადად მაინც იგონებს, პერსონაჟებსაც, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ისინი ცხოვრებას არიან მოწყვეტილი. პირიქით, პიესის გმირი წარმოადგენს რამდენიმე ადამიანის ნაკრებს, გარკვეული თაობის სათქმელს რომ ამბობს'' (გ.

,,აჭარა''. N40, ბათუმი, 2004) დრამატურგის ეს სიტყვები მეტყველებს იმაზე, რომ ის რეალურ თემებზე წერს და ცდილობს საზოგადოებას მისცეს მსჯელობის საგანი, დაფიქრების საშუალება.

გურიელების ოჯახი ერთმანეთთან გაუცხოებულან. მათ აღარ გააჩნიათ არც საერთო ენა და არც აზრი. მეტიც, მათ არ შეუძლიათ ერთმანეთის გაგება, აღარ ესმით ერთთმანეთის. ირგვლივ მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობაა გაბატონებული, რომელმაც სრულ გაუცხოებამდე მიიყვანა ისინი. თუმცა, ფატი გურიელს მომავალზე ფიქრი და უკეთესობისაკენ სვლის იმედი არ დაუკარგავს და მისი ასეთი შემართება გადამდები ხდება.

პიესას ,,შთამომავლობა'' საზოგადოების დიდი ინტერესი მოჰყვა, გურამ გურიელის, ბონდო ლანჩავასა და სხვა პერსონაჟების პირადი ისტორიები გულგრილად ვერ ტოვებდნენ მკითხველს, სწორედ მას აკისრებდა ავტორი დასკვნის გამოტანას, საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებას. ფაქტია ისიც, რომ ალექსანდრე ჩხაიძე ის შემოქმედი გახლლდათ, რომელსაც მიუხედავად მკაცრი კონტროლისა და კრიტიკისა, მაინც არ დაუკარგავს თავისი ცხოვრების მიზანი, სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა დრამატურგიას და ჭეშმარიტი შემოქმედის ცხოვრებით იცხოვრა.

იცავდე სიმართლეს არსებული რისკების მიუხედავად, მეტად საამაყოა. ასეთივე პრინციპებით გააცოცხლა მან პიესის ,,შთამომავლობა'' პერსონაჟებიც.

ალ. ჩხაიძეს ადამიანებთან ურთიერთობის უნიკალური ნიჭი ჰქონდა. მისი ხასიათის, იუმორისა და ნიჭიერების გამოხატულებაა პიესა **,,როცა ქალაქს სძინავს''**, რომლის მიხედვით გიგა ლორთქიფანიძემ ფილმიც კი გადაიღო. დრამატურგი სხვა პიესების მსგავსად, ამ პიესითაც უკომპრომისოდ უპირისპირდება ცხოვრების სოციალისტური წესის მოჩვენებით და ყალბ კეთილდღეობას, ფორმალიზმს, კეთილშობილებით შეფუთულ ტყუილს, რაც პიროვნების გაორებას იწვევდა.

პიესა ,,როცა ქალაქს სძინავს“ იწყება პარტიული მუშაკის, სერგო ხავთასის ბინაში გამართული წვეულების აღწერით. თუმცა ჩვეული ტრადიციისა და განწყობის მიუხდავად, მაინც იგრძნობა დაძაბულობა. შორეული ნაოსნობიდან ახლადჩამოსული გიორგისათვის საიდუმლოს დამალვის მცდელობა უშედეგოა. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ მათ საერთო მეგობარს, ვიქტორ ავალიშვილს ადანაშაულებენ თაღლითობასა და სახელმწიფო საქმეების პირადი ინტერესებისთვის გამოყენებაში. მიუხედავად ძლიერი მეგობრობისაჩნდება უნდობლობა, რაც საბჭოური ცხოვრების შედეგია, ერთმანეთის ნდობა, პატივისცემა, მეგობრობა და სიყვარული სახელმწიფო ინტერესებს ეწირება. ავტორი გაბედულია, რადგან დასვა სოციალურ-ზნეობრივი დამწვავე, მოუგვარებელი საზოგადოებრივი პრობლემები.

პიესაში ავტორმა არაერთი პერსონაჟი დაგვიხატა, მაგრამ მას მთავარი გმირი არ ჰყავს. კრიტიკოსი შეფასებისას აღნიშნავს: ,,პიესაში ,,გმირი'' არ იკვეთება, თითქმის ყოველი მათგანი ,,დამნაშავეა''. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გავიხსენოთ სალვადორ დალის ცნობილი სურათი ,,საიდუმლო სერობა''. უწინდელ ცნობილ ფერწერულ ტილოზე დამნაშავე იყო მხოლოდ ერთი - იუდა, დალის სურათზე ქრისტეს წინ ყველა მახარობელს, როგორც ყველა დამნაშავეს, თავი ისე აქვს დახრილი...'' (კანკავა: 1985:279).

მოცემული მსჯელობის დასამტკიცებლად, რომ ყოველი პერსონაჟი დამნაშავეა, მხოლოდ დალის სურათი არ კმარა. პიესაში სულ სხვა დრამა ვითარდება. ყველა მოქმედი პირი დამნაშავეა, რის მიზეზიც საზოგადოებაში საყოველთაოდ მიღებული და დამკვიდრებული უწესობა იყო, რომლის მსხვერპლნიც პიესის პერსონაჟები გამხდარან. ამდენად, დამნაშავეები ამავდროულად მსხვერპლნიც არიან. სერგო ხავთასი, ჯანიკო ქვარიანი, პარმენ კამკამიძე, გიორგი ლეჟავა, ვიქტორ ავალიშვილი - მათ კონკრეტული სახელები ქვიათ, თუმცა ისინი ზოგად სახეებს წარმოადგენენ.

ისმება კითხვა თუ რაში გამოიხატება მოცემული პიესის კონფლიქტი? ისევ საბჭოური სისტემისთვის დამახასიათებელი ელემენტების განხილვით,

რომელიც გულისხმობს დიდი წარმოების მართვის კომპლექსურობას, ოფიციალური, ბეჭდიანი ფურცლებით მიწერ-მოწერას, საკანცელარიო თუ ადმინისტრაციული დოკუმენტაციის შედგენას, მშენებლობათა მასშტაბურ მმართველობას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში შეუსაბამო და ბევრად რთულია, ვიდრე ზემოდან მომდინარე ინსტრუქციების მოთხოვნის შესაძლებლობა. მოცემული ვითარების შეუსაბამობა ოფიციალურ ქაღალდებსა და რეალურ ფაქტებს შორის იწვევს ერთგვარ ანარქიას და ეჭვქვეშ აყენებს კანონის სიმტკიცის არსებობას. ამას ადასტურებს ვიქტორ ავალიშვილის სიტყვები:

,,თქვენ რა გგონიათ, ყველაფერი, რაც ამ ქალაქში კეთდება ასე მზამზარეულად მოდის, დაგიგეგმავენ და მიიღებ, დაავალებ და შეასრულებენ?! დიახ, მე დამთავრებულად ვუჩვენე პირველი თორმეტსართულიანი სახლები. და იცით, რატომ? როცა ლიფტები დროზე ვერ მივიღე და კაცი გავგზავნე ციმბირში საქმის დასაჩქარებლად, გამოირკვა, რომ არა თუ ლიფტების გამოშვება, იმ ქარხნის მშენებლობაც კი არ იყო დაწყებული... ჩემი კაცი ციმბირიდან ბალტიისპირეთში გავგზავნე, რომ იქ მოეგვარებინა ლიფტების საქმე. ხოლო, როცა ორი მანეთი და სამოცი კაპიკი გეძლევა დღიურად, ძნელია ასეთი საქმის მოგვარება... მე კი ხელი მოვაწერე, რადგან სხვა გზა არ გვქონდა. ეს რომ არ მექნა, ალბათ პირველივე ბიუროზე გამომიძახებდი და სასტიკ საყვედურს მომაკერებდი, თუმცა, ეს საერთოდ არ მიაჩნია სასჯელად ჯანიკო ქვარიანს და სამაგიეროდ გაროზგვის შემოღებას გვთავაზობს...'' (ჩხაიძე, 2009:247).

ამ პიესის უმთავრესი თემაგამხდარა კანონის დაცვა და საქმის კეთება, რომზნეობრივი პრინციპების გარეშე, სწორად ფუნქციონირებადი საწარმო ვერ იარსებებს. პიესის სიუჟეტიდან იკვეთება, რომ საზოგადოება მოკლებულია მორალური პასუხისმგებლობით შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებები და ამავე დროს დაიცვას კანონი.

პიესის მთავარი სათქმელი, კონცეპტუალური ნაწილი, დრამატურგმა ჯანიკო ქვარიანის მონოლოგში მოგვცა: ,,შენ აშენებ ქალაქს, მაგრამ ანგრევ უფრო მეტს და ძვირფასს, ვიდრე ის კინოთეატრი, ან კიდევ ის თორმეტსართულიანი

სახლია. ასეთნაირად ცხოვრება კი არ უნდა ლომინაძეს, სხვებს, ძალიან ბევრს, უმეტესობას, ვინაიდან, როდესაც ეს გრძელდება დიდხანს, წლების მანძილზე, როდესაც ცხოვრების ასეთი წესი კანონდება, იწყება გულის გატეხვა, რწმენის დაკარგვა. რწმენის დაკარგვა კი რაიმე ნივთის დაკარგვა არაა, რომელსაც მეორე თვის ხელფასით ისევ შეიძენ. ჩვენ უარი ვთქვით ღმერთსა და რელიგიაზე, დავგმეთ პიროვნების კულტი, ვიწამეთ ადამიანი, მისი იმედით ვსახავთ გრადნიოზულ მიზნებსა და გეგმებს. არ მიყვარს ეს სიტყვა - ესტაფეტა, მაგრამ ეს ასეა. არ შეიძლება პერიოდულად თვალი არ მოავლო განვლილ გზას და ადანაშაულო სხვა ვიღაც, როცა პირველ რიგში, ჩვენ ყველანი ვართ დამნაშავე...'' (ჩხაიძე,2009: 261).

თითოეული პერსონაჟი მოვალეობების შესრულების მსხვრეპლი ხდება. მორალურად და ფიზიკურადაც დაუძლურებულებს, ცხოვრების ხარისხიც შეეცვალათ. მთელი პიესა აგებულია ერთსიუჟეტზე, თუ როგორ ცდილობენ გაარკვიონ რა მოტივით და როგორ შეიძლება მოგვარებულიყო ან გართულებულიყო საქმე. მთავარი პერსონაჟი სერგო ხავთასი ობიექტურ პოზიციას იჭერს და ინტერესდება არა მხოლოდ შედეგებით, არამედ ფაქტებითაც, თუ რის საფუძველზე მივიდა საქმე აქამდე. ეჭვი, რომელიც უკვე გაჩნდა და ადრესატამდეც მიაღწია, საშუალებას აღარ აძლევს თვალები დახუჭოს მომხდარ მოვლენებზე. დრამატურგი ხავთასისა და ვიქტორის პერსონაჟებით გვეუბნება, რომ პირადი ინტერესები და მოვალეობები ერთმანეთისგან ყოველთვის უნდა გაიმიჯნოს, მიუხედავად იმისა, ემსხვერპლება ამას რომელიმე ჩვენგანის ცხოვრება თუ - არა. სწორედ ამ მთავარი მოტივითა და სულისკვეთებით დაგვიხატა დრამატურგმა თავისი გმირები.

საინტერესო პარალელი შეგვიძლია გავავლოთ შოშია ჩხაიძისა და გურამ დოჩანაშვილის მოთხრობასთან ,,კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა", მთავარი მსგავსება კი მათ ანტისაბჭოურ მსჯელობაში იკვეთება. ავტორები ყვებიან მსუბუქად, ირონიისა და სარკაზმის მხატვრული შერწყმით, ყვებიან ისე, რომ მხოლოდ საბჭოთა ადამიანის ტრაგიზმსაც მთლიანად არ უსვამენ

ხაზს. მართალია, მთავარი სათქმელი ეპოქალური პრობლემების გადმოცემაა, მაგრამ სხვადასხვა ცხოვრებისეული ღირებულებების წინ წამოწევასაც არ უვლიან გვერდს. მსგავსი განცხადების გაკეთება და ამ თემაზე საჯაროდსაუბარი, ძალზე სარისკო საქმე იყო.

ორივე მწერალმა თითქმის ერთნაირად, ერთი სულისკვეთებით წარმოაჩინეს ხელმძღვანელობის პრობლემები. ისინი განსხვავევულად, თუმცა მსგავსი იუმორისა და ირონიის შერწყმით საუბრობენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების უდიდეს ტრაგიზმზე. მათ ოსტატურად შეძლეს აღეწერათ არსებული მმართველობის დამკვიდრებული ნორმები, როდესაც ხელმძღვანელი პირები უფრო დაბალ საფეხურზე მყოფთა მიმართ ავლენდნენ, თუ როგორ ცდილობენ ისინი სხვების დამცირებას, სახელმწიფოსა და ხალხის ხარჯზე ხელის მოთბობას.

ურთულესი ვითარების ფონზე, შოშია ჩხაიძეს ძალიან მარტივად შეეძლო საბჭოთა რეალობის გამათრახება. მიუხედავად კრიტიკისა, მაინც შეეძლო ავტორს თამამად წერა და წარმატებაც არ აყოვნებდა. ამის დასტურია ისიც, რომ მართალია პიესა ,,შთამომავლობა''იდევნებოდა, მაშინდელმა ცენზურამ დრამატურგი მოღალატედაც კი შერაცხა ამის გამო, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი მისი პოპულარობისთვის და ბევრი წარმატებაც არ აყოვნებდა.

დრამატურგია რომ მწერლისთვის უმთავრესი იყო ადასტურებს თავად შოშია ჩხაიძე ერთ-ერთ ინტერვიუში: „ჩემი უახლესი შემოქმედებითი გეგმებია ისევ პიესა და ისევ თეატრი, რომლისთვისაც მე ვწერ ყოველ ახალ პიესას, რომლის მხარდაჭერის იმედი ყოველთვის მქონდა და მუდამ მექნება. როცა ამას ვამბობ, მე მახსენდება ერთი ფრაზა ცნობილი სიმღერიდან „მთებზე უკეთესი, მხოლოდ მთებია“. მართლაც, რა შეიძლება იყოს თეატრზე უკეთესი, ისევ თეატრი“ (ალექსანდრე ჩხაიძე, ,,მიხეილ თუმანიშვილის გვერდით'', გ. ,,აჭარა''. N205-506. ბათუმი, 1997).

ამ სიტყვებში იკვეთება მისი, როგორც შემოქმედის დამოკიდებულება და საოცარი სიყვარული იმ საქმისადმი, რომელსაც მუდამ გულანთებული

ასრულებდა. მისთვის თეატრი იყო ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ავსებდა როგორც მორალურად, ისე იდეურადაც. ეს ყოველივე აისახა მის შემოქმედებაშიც, რომელიც არაერთხელ გამხდარა აღფრთოვანებისა და ქების ღირსი.

შოშია ჩხაიძემ ქართული თეატრის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის, მან თავისი შემოქმედებით ფუნდამენტური ცვლილებები შეიტანა კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესშიც კი.

ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს პიესა **„მომავალ შეხვედრამდე“**.იგი იწყება ელიზბარ თორაძის მშობლიურ ქალაქში დაბრუნებით. პენსიაში გასვლის შემდეგ, ელიზბარი თავისი ოჯახით, მეუღლითა და ვაჟით ბრუნდება მშობლიურ სოფელში, მთისძირში. წარმატებული კარიერის შემდეგ, პოლკოვნიკობიდან გადამდგარი, უკვე პენსიონერი ელიზბარ თორაძე, ქალაქში ჩასვლისთანავე, რაიონში რაიკომის მდივნის, ძველი მეგობრისა და ბავშვობის ამხანაგის, მირიან გავაშელის მოსანახულებლად მიემართება. თუმცა მას სოფელში ჩავლისას სულ სხვა სურათი ხვდება. რაიკომის მდივანი მოწყდა ხალხს და ეს ფაქტი მას საერთოდ არ აწუხებს. მისთვის უმთავრესი საგანი გამხდარათუ რას იტყვიან ,,ზემოთ''. მექრთამეები ყველა დროში იყვნენ და სამომავლოდაც იქნებიან, თუმცა საბჭოთა კავშირში მათ არსებობას თითქოს რაღაც გამართლება თუ რომანტიკა გასდევდა ფონად. ეს ხომ ის ქვეყანა იყო, სადაც ყველასათვის მოიძებნებოდა სამუშაო ადგილი, სადაც კოდექსში ნებადართულია, გამართლებულია თაღლითებისა და მძარცველების უფლებები. მაშინ როცა ამის პარალელურად იჭერდნენ და აპატიმრებდნენ სრულიად უდანაშაულო, უბრალო მოქალაქეებს.

ამ მიზეზთა გამო სოფელში ფეხი მოიკიდა მექრთამეობამ, მლიქვნელობამ, გამყიდველობამ, დანაშაულებებმა, ბოროტმოქმედებამ. რასაც ამხელს კოლმეურნეობის ახალი თავმჯდომარე ელიზბარ თორაძე დამიუხედავად მეგობრობისა რაიკომის მდივანს ძალიან გაბედულადაც

ეპაექრება. ელიზბარის პერსონაჟისთვის დამახასიათებელი შეუვალი, პირდაპირი და მტკიცე ხაისათი გამოაფხიზლებს მირიან გავაშელს. სწორედ, ელიზბარ თორაძის მოცემული მონოლოგი ამის საუკეთესო მაგალითია: ,,მე ჩვენი კოლმეურნეობის საბუთები გადავჩხრიკე და არავითარი დასასვენებელი სახლი არ აშენებულა. რაღაც გრანდიოზული მოსავლის ზეიმი ჩაგიტარებიათ მხოლოდ იმისთვის რომ რამდენიმეწუთიანი გადაცემა მოწყობილიყო ტელევიზიით და ერთხელ კიდევ დაგემტკიცებინა, რომ ყველაზე უკეთესები ხართ რესუპლიკაში“ (ბიბილეიშვილი იური, ,,ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძე - 80“, გ. ,,აჭარა''. N40, ბათუმი, 2004).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სიუჟეტის გამძაფრებისთვის ავტორი ისეთი შეუვალი თვისებების მქონე პერსონაჟებს გვიხატავს, როგორიც ელიზბარია. მისი თვისებები საკმარისია გაუკუღმართებული საქმის სასიკეთოდ შემობრუნებისთვის. ელიზბარი მიმართავს გავაშელს, რომ ყველაფერზე თვალების დახუჭვა ვერ იქნება მოსაწონი. საჭიროა მოქმედება, რიგ შემთვევებში ხმის ამოღებაც და ყოველგვარ დაუმორჩილებლობაზე რეაგირება, მით უფრო მაშინ, როცა ხელმძღვანელობის მიმართ დაუმორჩილებლობას საზოგადოებაში ასე ძლიერად გაუდგამს ფესვები. ელიზბარი უფრო შორსაც მიდის და პარტიულ ხემძღვანელობას ხალხისგან დაშორებაშიც ადანაშაულებს: ,,შენ ხალხი არ გიყვარს, შორს დგახარ მისგან. შენ იმით კი არ განსხვავდები სხვებისგან, რომ მეტ ხელფასს იღებ, უკეთესი ბინა გაქვს, უფასოდ შედიხარ კინოში ან სტადიონზე... შენ სულიერად დაშორდი ხალხს, ადამიანებს აღარ სჯერათ შენი“ (ბიბილეიშვილი იური, ,,ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძე - 80“, გ. ,,აჭარა''. N40, ბათუმი, 2004).

ავტორის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყა ერთადერთ რამეს ემსახურება, რომ მთავარია არა ერთი დღით ცხოვრება, არამედ სინდისი იქცეს ისეთ თავისუფლებად, რომელიც კაცს შესაძლებლობას არ მისცემს, თვალი დახუჭოს ყოველგვარ მანკიერებასა და სიყალბეზე. ამასთან დაკავშირებით კი,

შოშია ჩხაიძის შემოქმედება მიიჩნევა ეროვნული სულისკვეთების სრულყოფის საუკეთესო ნამუშევრებად.

პიესაში ავტორს კარგად აქვს დახატული ხალხის სიყვარულის, მზრუნველობისა და პასუხისმგებლობის ქონის აუცილებლობა, საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ მართალ ადამიანად დარჩენის მნიშვნელობა. რაც განმსაზღვრელია ჯანსაღი სახელმწიფოსა და კონსტიტუციის არსებობისა. დრამატურგი ყოველივე ამ ღირებულ, საჭირბოროტო, უცილობელ საკითხებზე საუბრობს და სხვებსაც ამისკენ მოუწეოდებს.

სულხან საბა ორბელიანმა მხატვრულ ლიტერატურას ,,სიცრუე'' უწოდა, თუმცა სიტყვას გააჩნია სიბრძნეცა და მომხიბვლელობაც. შოშია ჩხაიძის პიესები აგებულია ტყუილისა და ფარისევლობის გამოსასწორებლად. ამიტომაც მისი პიესის პერსონაჟები სიცრუეს ამოფარებული ებრძვიან ეპოქის უდიდეს მტერს - ფარისევლობასა და უპრინციპობას.

პიესის ,,მომავალ შეხვედრამდე'' გმირები ტყუილში ცხოვრობენ, თითქოს მათი ხელმძღვანელობით ქვეყნისა და ხალხსითვის სასიკეთო საქმეს აკეთებენ, თუმცა ელიზბარი სრულიად საპირისპირო რეალობაზე მიუთითებს. მისი ბავშვობის მეგობრის, მირიან გავაშელის გადარჩენა განუზრახავს, მისი გამოფხიზლება და ილუზიებისგან გათავისუფლება სურს, ამიტომაცაა ასეთ რადიკალიზმს რომ იჩენს. ორი ერთმანეთისთვის ძვირფასი ადამიანი სხვადასხვა ღირებულებებით ცხოვრობს. ავტორს წარმოდგენილი აქვს სივრცე, სადაც ორი სრულიად განსხვავებული, გამონაგონი ამბავი უპირისპირდება ერთმანეთს, სადაც არ არსებობს იმის საშუალება, რომ ადამიანს ჰქონდეს გადარჩენისა და განვითარების რეალური შესაძლებლობები. ასეთ ადამიანებს კი, საბჭოეთში ,,შინაგან ემიგრაციაში'' მყოფ ადამიანებსაც უწოდებდნენ.

პიესა ,,მომავალ შეხვედრამდე" მთავრდებაელიზბარ თორაძისა და მირიან გავაშელის თანამდებობიდან გადადგომით. რითაც ავტორს სურდამკითხველისათვის შეეხსენებინა, რომ საბჭოთა პერიოდში საქმის ყოველთვის პირნათლად მოგვარება, შეუძლებელი იყო. ამიტომ დატოვეს

თანამდებობები და შემდეგი საქმეების კეთება ახალ თაობას მიანდვეს. თუმცა, სანამ სრულ პასუხისმგებლობას მოიხსნიდა, ელიზბარ თორაძემ ერთი ოჯახის სამართლიანობის აღდგენა მაინც შეძლო.

დრამატურგის ყოველი პიესა საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ გალაშქრების საუკეთესო სურათს წარმოადგენს. იქ, სადაც ყველაფრის მოგვარება შეუძლებელია, უნდა ვეცადოთ, სამომავლოდ მათი გამოსწორების გზები სწორად მაინც დავსახოთ. გავაშელის თანამდებობიდან გადადგომაც ამისი ნათელი მაგალითია. ალ. ჩხაიძის ამ პიესამ მკითხველზე მძაფრი შთაბეჭდილებები მოახდინა და ვფიქრობ, ისტორიული მოვლენების წარმოჩინების კონტექსტშიც უდიდესი როლი შეასრულა.

მსჯელობიდან ნათლად სჩანს, რომ შოშია ჩხაიძის პიესა ,,მომავალ შეხვედრამდე'' ყველა იმ აუცილებელ თემაზე გვესაუბრება, რომელიც ასეთი მტკივნეული იყო მწერლისთვის და არამარტო. ეს ტკივილი გამოჰყვა მწერალს ცხოვრების საასპარეზოდაც, რომელიც წლების განმავლობაში მის შემოქმედებით სულისკვეთებას ნამდვილად არ დაჰკლებია. ამ ყველაფერმა კი განაპირობა ის, რომ პიესა ,,მომავალ შეხვედრამდე'' გახდა საქართველოს ყველა თეატრის რეპერტუარის წარმატებული სპექტალი.

დრამატურგმა პიესაში **„დღის წესრიგშია ერთი საკითხი“**შეძლო და მკითხველამდე მოიტანა ის რეალური ვითარება, რომლის მიმართ ადამიანები ვერასდროს იქნებიან გულრგილნი. დრამატურგის ამგვარი საქმიანობა გახლავთ ჯანსაღი პატრიოტიზმისა და ეროვნული თვითშეგნების მაღალი გრძნობის გამოვლინება.

ამ პიესაზე მსჯელობისას კრიტიკოსი წერს: ,,განა მართლა მხოლოდ ერთი საკითხია ჩვენი ცხოვრების დღის წესრიგში? ასე რომ იყოს, მასაც მარტივად გადავწყვეტდით და კომუნიზმისაკენ მიმავალი შარაგზა უკან დაგვრჩებოდა. კომუნისტური საზოგადოების შენების მძიმე და საპატიო აღმართზე მრავალი საკითხის გადაჭრა უხდება ჩვენს თანამედროვეს და ვინც

ამას წინასწარ ფსიქოლოგიურად არ შეეწყობა, გაუჭირდება ალღოს აღება, დაიღლება, ეჭვია და უეჭვობის ჭიდილში გული გაუტყდება'' (ეგაძე, 1981: 55).

პიესა ,,დღის წესრიგშია ერთი საკითხი''ორი მოქმედებისგან შედგება. პიესის გმირები არიან ადამიანები, რომლებიც კვლავინდებურად ებრძვიან საბჭოთა სისტემის მიერ გაბატონებულ წეს-წყობილებას. მთავარი პერსონაჟები გერასიმე გარაყანიძე, გურამ ხელაძე და ევგენი დევდარიანი ცხოვრობენ ჩვეულებრივი ცხოვრებით, რომლებიც შეგუებულნი არიან ცხოვრების ყოველგვარ წესებს, კანონებსა და მმართველი პირების სურვილების უსიტყვოდ შესრულებას.

ავტორი ამ უკანასკნელ პიესაში, ერთი სოფლის მაგალითზე წარმოაჩენს საბჭოთა საქართველოს საზოგადოების საერთო დამკვიდრებულ პრობლემას. ავტორს პრეპარირებული აქვს ერთი ხელმძღვანელის სამოღვაწეო ცხოვრება და მისი სიავკარგის მიხედვით შესაბამის დასკვნებსაც გვაწვდის. რამდენ სიყალბესა და სიმრუდეს ვხვდებით მირიან გავაშელის ზედამხედველობით, რომელსაც შესაძლებელია შეეწიროს მისი ცხოვრება, ოჯახი და ბავშვობისდროინდელი მეგობრობაც კი.

პიესის მოკლე სიუჟეტი ასეთია: ქალაქის ერთ-ერთი მდინარიდან წყალსადენი გაჰყავთ. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ქალაქი წყალს ვერ მიიღებს, მაგრამ მშენებლობა მაინც გრძელდება, იხარჯება ფული, მასალა, რაც მთავარია ადამიანთა შრომა. მშენებლობის უფროსი მხოლოდ მოვალეობას ასრულებს, ხოლო ამას რა შედეგი მოჰყვება, ან რამდენად პროდუქტიულია, ამით ნაკლებად ინტერესდება. მიუხედავად იმისა, რომ იცის ამ საქმიდან არაფერი გამოვა, თუმცა თვითონ სოფელში დროებითაა გამოგზავნილი და ამით უფრო მარტივად დაიბანს ხელებს. მეორე ხელმძღვანელს სურს მშენებლობის შეჩერება, მაგრამ უკვე გახარჯული მასალისა და მილიონების გამო, პასუხისგების შიშით ჩუმადაა. მოხუცმა ტყის მცველმა გერასიმე გარაყანიძემ ყველაფერი იცის და სწორედ ეს ფაქტი არ ასვენებს მის მებრძოლსა და დაუღალავ სულს. იგი გადაწყვეტს, ყველაფერი ახალგაზრდა ჟურნალისტს

გაანდოს. მას კი შეუძლია, ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებლად, ადგილობრივ მოსახლეობას გააცნოს ყველაფერი და ასეც მოიქცა, რამაც ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, გაიფიცნენ მშენებლები, შეშფოთდნენ ხელმძღვანელები.

პიესაში საბჭოური სისტემის კრიტიკა მკაფიოდ და ხაზგასმითაა გადმოცემული გერასიმე გარაყანიძის სიტყვებით „მრუდე სახაზავით სწორი ხაზი არ გაივლება“, ხოლო ჟურნალისტი გურამ ხელაძე, რაიკომის მდივანთან კიდევ უფრო რადიკალურია. იგი სრული სერიოზულობითა და სითამამით მიმართავს რაიკომის მდივანს შემდეგი სიტყვებით: „ადამიანები გადაეჩვივნენ უფროსებთან შეკამათებას. ზოგს სჯერა თქვენი, ზოგიც წყენინებას ერიდება, ზოგსაც ადგილისა და მდგომარეობის დაკარგვის ეშინია. სახელმწიფო მილიონ წყალსაც წაუღია, ოღონდ იმ წყალსადენის მშენებლობიდან გაპარული მანქანა სავსე ხრეშითა და ცემენტით აიგოს ორსართულიანი სახლი და ქვითკირის ღობით შემოგაროს თავისი პატარა, კაცუნური ბედნიერება“ (ბიბილეიშვილი იური, ,,ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძე - 80“, გ. ,,აჭარა''. N40, ბათუმი, 2004).

თითოეული ხელმძღვანელი საზოგადოების ხარჯზე მხოლოდ საკუთარ თავსა და კეთილდღეობაზე ფიქრობს. ამის წინააღმდეგ იმაღლებს ხმას გურამი და განურჩევლად სტატუსისა, თავის სათქმელს ყველასთან გულღიად აცხადებს. ვინაიდან მობეზრდა ტყუილსა და უვიცობაში ცხოვრება. აღარ სურს მუდამ ვიღაცას უპირობოდ ეთანხმებოდეს ნებისმიერ საქმეში, რომელიც მხოლოდ მათი კაცუნური ბედნიერების საწინდარი გამხდარა.

გერასიმე პრობლემას არა მხოლოდ მშენებლობის დაწყებაში, არამედ სამომავლო გათვლებშიც ხედავს. აშენების შემთხვევაშიც არ გამოვა ამ საქმიდან არაფერი, რადგან ორ-სამ წელიწადზე მეტს მაინც ვერ იმუშავებს, უწყლოდ გამოიჟანგება ყველაფერი. სოფელს კი უფრო გრძელვადიანი პერსპექტივა ესაჭიროება. მისი აზრით, ადამიანი მხოლოდ ერთი დღით არ უნდა ცხოვრობდეს. მომავალზე და შთამომავლობაზე უნდა ზრუნავდეს. რაზეც მის შვილს შალვას ასეთი პასუხი აქვს: ,,ამქვეყნად ყველას თავისი საფიქრალი აქვს.

რაც არ დაუვალებიათ, თავს რატომ იწუხებ რომ არ ვიცი“. „ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, პატიოსნად ცხოვრება გვევალება'' - მოკლედ უბრუნებს სიტყვას გერასიმე. ცხოვრება მხოლოდ იმით განისაზღვრება, თუ რას ჩავდივართ და როგორ ვმოქმედებთ.

პიესას ,,დღის წესრიგშია ერთი საკითხი'', რა თქმა უნდა, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მისით დაინტერესდა და მოიხიბლა ბევრი ქართული თუ უცხოური თეატრი. თბილისში, სპექტაკლის პრემიერაზე მიწვეული შოშია ჩხაიძე წერს: ,,ბატონმა დოდო ალექსიძემ, რომელიც, იმ დროს, მარჯანიშვილის თეატრს ხელმძღვანელობდა, მითხრა, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიმდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი პლენუმი, რომლის თანამონაწილეებიც დღევანდელ სპექტაკლზე აპირებენ მოსვლასო. იმ საღამოს თეატრთან ავტობუსის მთელი კოლონა გაჩერდა... უცნაური სანახავი იყო, როგორ უხერხულად გადმოდიოდნენ საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან რაიკომის მდივნები, უდიდესი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, მინისტრები, დეპუტატები, ცენტრალური კომიტეტის მუშაკები. ისინი არაფრით ჰგავდნენ თეატრში საზეიმო განწყობილებით მოსულ მაყურებლებს.

- რას გვიპირებთ? - მკითხა ერთმა ნაცნობმა რაიკომის მდივანმა. რატომღაც, შეშფოთებული მეჩვენა.
- რას უნდა გიპირებდეთ, ახალ სპექტაკლს გიჩვენებთ.

ასევე მეკითებოდნენ სხვებიც, მათ შორის ბათუმიდან ჩამოსული ხელმძღვანელები, რომელთაც სხვა საფიქრალი ჰქონდათ - ჩვენზე ხომ არაა რაიმე პიესაშიო“ (ჩხაიძე, 1998: 121).

საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ერთ-ერთ სხდომაზე, ედუარდ შევარდნაძეს საბჭოს წევრებისთვის სრულიად მოულოდნელად გამოუცხადებია, ყველანი ერთად გავემგზავრებით მარჯანიშვილის თეატრისაკენ, სადაც დღის წესრიგში დგას ჩვენი საკითხიო. ბევრმა მათგანმა არც კი იცოდა ამ სახელწოდების პიესა თუ არსებობდა, ამიტომ ჩათვალეს რომ პლენუმის სხდომა თეატრში გაგრძელდებოდა. დრამატურგის მოგონებებიდან

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თურმე მთელი სპექტაკლის დროს, მთელი დარბაზი სამარისებურად დუმდა. ისეთი სიჩუმე იყო გამეფებული, გარკვევით გაისმოდა მხოლოდ თარჯიმნის ხმა და ედუარდ შევარდნაძის პერიოდული სიცილი.

სპექტაკლში გადმოცემული ყოველი მოვლენა, მხოლოდ ნამდვილი ამბებისგანაა ნაკარნახევი, რაც დარბაზში მყოფი ყოველი მაყურებლისთვის უცნობი არ დარჩენილა. ყველა კარგად ამჩნევდა და ხვდებოდა პიესის მთავარ სათქმელს, არსს იმისა, თუ რისთვის მოიყვანეს დღეს აქ, მაგრამ თავი ისე ეჭირათ, თითქოს ვერაფერს ხედავდნენ და არც არაფერი ესმოდათ. რაზეც, ედუარდ შევარდნაძემ ასეთი პასუხი გასცა: ,,ყველაფერს კარგად ხედავენ და კარგად ესმით. სწორედ ამიტომ სხედან ასე გაოგნებული. ახლა ისინი ხვალინდელ დღეზე ფიქრობენ, პლენუმი რომ გაგრძელდება, უმეტესობას, ალბათ, მოუხდება თანამდებობის დატოვება, სპექტაკლიც ამაზეა და სამხიარულოდ არა აქვთ საქმე“ (ჩხაიძე, 1998:122).

პიესა ,,დღის წესრიგშია ერთი საკითხი'' ნამდვილად აღმოჩნდა ის ნაწარმოები, რომელმაც შეძლო მაღალი თანამდებობის პირების გამოფხიზლება. ამ პიესამ რელობასთან პირისპირ შეახვედრა, თითოული მათგანი სამომავლო გეგმებზე დააფიქრა და ცოტა შეაშინა კიდეც.

საზოგადო კითხვაზე - რა ამოძრავებთ, რა აერთიანებთ შოშია ჩხაიძის პიესების გმირებს? პასუხი ცალსახაა, თითოეულ მათგანს საბჭოთა კავშირის ნგრევის მძაფრი სურვილი გასჩენიათ, რომელსაც ავტორმა სხვადასხვა პიესებში წარმოგვიდგინა, სხვადასხვა პერსონაჟების სახით, თუმცა მაინც ერთიანი მძაფრი სულისკვეთებით. ეს გახლდათ დრამატურგის ზე ამოცანა, შეექმნა ისეთი პიესები, რომლებშიც გადმოცემული იქნებოდა თავისუფალი ნებისა და ძალადობის წინააღმდეგ განწყობილი ადამიანების ისტორიები. მისი გონება-ფიქრები მიმართული იყო მხოლოდ ერთისკენ, რომ თავისუფლება არის პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობას კი სათანადო გამართლებაც ესაჭიროებოდა.

დრამატურგის შემოქმედებითი საქმიანობა, მისი პიესები მხოლოდ საზოგადოებისათვის დახმარების აღმოჩენას ემსახურებოდა. ავტორს ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა, საზოგადოება გამოეყვანა კრიზისული მდგომარეობიდან და თვალი აეხილა მათთვის, რომ ისტორიის ყველაზე ძნელ პერიოდშიც კი, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და ადამიანს სამართლიანობის დაცვის არასდროს უნდა შეეშინდეს.

შოშია ჩხაიძის პიესებმა შეძლო და საბჭოთა ისტორიის სრულმასშტაბიანი გადაფასება. ისტორიისაკენ მიბრუნება და თვალის გადავლება. ქართველი ხელოვანებისთვის არსებული შედარებით ლიბერალური რეჟიმი იძლეოდა შესაძლებლობას ისტორიის თემატიკაში ავად თუ კარგად, შეფარვით ანტისაბჭოური თემების გაჟონვას. შოშია ჩხაიძემ კი თავისი პიესებით სააშკარაოზე გამოიტანა ბევრი ისეთი თემა, რომლებიც მანამდე ქართულ დრამატურგიასა და ზოგადად ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ მინიშნებებით არსებობდა. ავტორის პიესების პერსონაჟების პროტოტიპები კი რეალური ცხოვრებიდან გახლდათ აღებული.

ჩვენი აზრით შოშია ჩხაიძის პიესები ორი თვალსაზრისითაა საინტერესო: პირველი- ის იძლევა სრული ისტორიული მოვლენების ამსახველ უტყუარ ფაქტებს, და მეორე - მისი პიესები აგებულია ჭეშმარიტი, ზნეობრივი ღირებულებების მქონე ადამიანთა ცხოვრებაზე. მათი კომბინაციით კი ქართულ ლიტერატურას უმნიშვნელოვანესი მემკვიდრეობა დაუტოვა. მოცემულ ისტორიულ მოვლენებში, რომელსაც ავტორი განიხილავს, მსხვერპლი კვლავ ქართული ინტელიგენციაა. ზღვარი ქართულ არისტოკრატიასა და ინტელიგენციას შორის, ფაქტობრივად გამქრალია. ინტელიგენცია ქართულ თავადაზნაურთა მემკვიდრე გამოდის. მარიკა ჩოდრიშვილი, ფატი გურიელი, გურამ გურიელი, გერასიმე გარაყანიძე და ავტორის სხვა პერსონაჟები არიან იმ ზნეობრივი ღირებულებების ბელადები, ერის სულიერი წინამძღოლნი, რომლებიც მკაფიოდ აფიქსირებენ და არაფრით არ თმობენ თავიანთ პოზიციებს.

დრამატურგის პიესების ისტორიული ნარატივი რომ განვმარტოთ, შეგვიძლია გამოვიყენოთ პასუხი ბრალდებაზე, რომ საქართველო იყო კომუნისტურიპარტიის საპატიო წევრი. ამასთან დაკავშირებით, ავტორის პიესები გვაძლევს შესაბამის ინფორმაციას, რომ ქართველები საბჭოთა კავშირის მსხვერპლი იყვნენ. სწორედ საბჭოთა კავშირს ემსხვერპლა ქართული ინტელექტუალური კულტურა (და მემკვიდრეობა). ყოველივე ეს მანამდე, მხოლოდ სამზარეულოში ჩურჩულით დისკურსის ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა ასე თამამად, ხმამაღლა და ოფიციალურად სწორედ ალექსანდრე ჩხაიძის პიესებში ითქვა.

სხვათა შორის, ამაზე მეტყველებს ფაქტიც, რომ საზღვარგარეთ არაერთხელ საგასტროლოდ ჩატანილი პიესების მაყურებელიც ამავე აზრს იზიარებდა და ერთ-ერთი პიესის ,,ჩინარის მანიფესტის'' ნახვის შემდეგ აფიშაც კი მიურთმევიათ ავტორისთვის წარწერითჩინარის მანიფესტი საუკეთესო მანიფესტია, კომუნისტური მანიფესტის შემდეგო.

ალექსანდრე ჩხაიძის პიესების გმირებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა მომავლისაკენ მიმართული დამაიმედებელი მზერა, მომავლის პროექცია. ამ მომავლის სიუჟეტის პროტაგონისტი პერსონაჟები არიან თავიანთი შეუვალი, პრინციპული თვისებების წარმოჩინებით, სითამამითა დაახალგზარდული ენთუზიაზმით იბრძვიან სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის დაცვისათვის.

პიესების სცენაზე ხილვისასმხოლოდ მართალ ცხოვრებას და ყალბ სინამდვილეს ხედავდა მაყურებელი, სცენიდან დანახული აზრების ჭიდილი, მოუგვარებელი პრობლემების კორიანტელი, დაბრკოლებები და ხელისუფლბის არასწორი მმართველობის ფაქტებით დატვირთული სცენური მოვლენების მონაწილე ხდებოდა დარბაზი.

სწორედ ასე იყო ბოლო შემთხვევაშიც, როცა პიესის დასასრულს, რაიკომის მდივანმა კიდევ ერთხელ გაიხსენა გერასიმე გარაყანიძის

ნამოქმედარი, მისი სიტყვები და სწორედ ამიტომ, თავისივე და სხვისი ბედი პარტიული სინდისის სასწორზე დადო:

,, - თხოვეთ ბიუროს წევრებს, ხელაძე შემოვიდეს. თურმე ათამდე დათვლა არ ყოფილა საკმარისი. დავიწყოთ. დღის წესრიგშია ერთი საკითხი'' - სიტყვით გამოდის მირიან გავაშელი.ავტორი მირიან გავაშელს იმასაც ათქმევინებს, რომ ,,გურამ ხელაძე მართალია, თავის მოქმედებაში და პარტიაში დარჩებაო''. წყალსადენის აშენების საშიშროებაში საბოლოოდ დაარწმუნა გურამისა და გერასიმეს აქტიურმა წინააღმდეგობამ, ამით კი შეძლეს დევდარიანისთვისაც ესწავლებინათ შეცდომის აღიარება, ამით იგი კი არ დამარცხდება, სიმართლის ორივე მაძიებელი, ერთ ჭეშმარიტებას პოვებს. სწორედ ეს არის პიესის არსი და მნიშვნელობა და ამაში მდგომარეობს მისი ოპტიმიზმიც. ს. ჭეიშვილი წერდა: ,,ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა - მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა!''.ამის საუკეთესო ნიმუში გახლავთ შოშია ჩხაიძის პიესები.

სოციალისტური თვალსაზრისის ყველაზე შესაბამის მაგალითის ძიების პროცესში შეგვიძლია პარალელი გავავლოთ შოშია ჩხაიძის პიესებსა და თენგიზ აბულაძის მხატვრულ ფილმ ,,მონანიებას'' შორის. თენგიზ აბულაძის ,,მონანიებაში'' ორი ძირითადი ფიგურაა გამოკვეთილი: ქეთი ბარათელი და არავიძეების ოჯახი. არავიძეების ოჯახის ყველაზე პატარა წევრი, თორნიკე, ბაბუამისის გარდაცვალებიდან უმოკლეს დროში სიმართლის გაგების შემდეგ ბაბუამისისავე ნაჩუქარი თოფით იკლავს თავს, ხოლო აბელი პროტესტის ნიშნად, თავისივე ხელით ამოთხრის მამის საფლავს და გვამს ხევში გადააგდებს.

აბულაძის ფილმში, მსგავსად შოშია ჩხაიძის პიესებისა, წარსულის ჰეროიკულ და მომავლის ოპტიმისტურ ვერსიას უპირისპირდება რეალური მხარე, რომელსაც ნაკლებად აქცევენ ყურადღებას და, რომელიცნაწილობრივ, უცვლის აზრს მთელ ცხოვრებას.

ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის პიროვნული ხასიათი ფონად გასდევს მთელ მის შემოქმედებას, რითაც უფრო მეტი ღირსება შესძინა მას. ქართულმა თეატრმა საბჭოთა საქართველოს ისტორიაშისწორედ იმით გაითქვა სახელი, რომ ავტორი თავის პიესებში შეეჭიდა და დაუპირისპირდა საბჭოთა სოციალისტურ მმართველობას.პიესებში გაბედულად გაცხადებული საკუთარი კრედო, მაღალი მოქალაქეობრივი თუ ზნეობრივი პოზიციები ნაწილობრივ აისახებოდა მისდამი არასასურველ დამოკიდებულებაზე, მაგრამ ეს არ მოქმედებდა იმაზე, რომ კვლავ დაეწერა, ემუშავა და შებრძოლებოდა საბჭოთა სისტემას.

საქართველო აღმოჩნდა ის ქვეყანა, სადაც მისი არსებობის პერიოდში საბჭოთა კავშირი სასტიკად გააკრიტიკეს. ასეთი მაღალი რისკების არსებობის მიუხედავად, დრამატურგის შემოქმედებითი საქმიანობა გახდა ისტორიული მოვლენა თეატრისა თუ ლიტერატურის ისტორიაში. მისი დრამატული ნაწარმოებები არაერთგზის დაჯილდოვდა სხვადასხვა პრემიითა და სიგელით. 1980 წელს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ალექსანდრე შოშია ჩაიძეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს დამსახურებული პრემიაც კი მიანიჭეს.

თავი III

ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის მხატვრული პროზა

§1. პუბლიცისტიკა, მოთხრობები, მხატვრული ნარკვევები

ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძემ, დრამატურგიასთან ერთად, მდიდარი პუბლიცისტიკური ნამუშევრებიც დაგვიტოვა, რომელშიც ისტორიული მოვლენებისა და მრავალფეროვანი ფაქტების ობიექტურ შეფასებასა და განსჯას წარმოადგენს. ფაქტია ისიც, რომ სამწერლო ასპარეზზე შემოქმედი თავდაპირველად პუბლიცისტიკით შემოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ის დრამატურგიას მიიჩნევდა თავისი ცხოვრების მთავარ გზად, არასდროს უთქვამს უარი შემოქმედის, პუბლიცისტის კალამზე და მუდმივად აქვეყნებდა მოთხრობებსა და წერილებს პრესის ფურცლებზე. შემოქმედის პუბლიცისტური მოღვაწეობის სფერო, მსგავსად დრამატურგიისა, ეროვნული მოტივებით გახლდათ განპირობებული. თავის პუბლიკაციებში, ავტორი სიმართლეს შეულამაზებლად ამხელდა. მწერალი საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების გამოსააშკარავებლად მთელ ენერგიასა და რესურსს არ ზოგავდა, რამაც თავისებურად გამოიღო შედეგი და ქართული საზოგადოება გამოფხიზლების გზაზე დააყენა.

შოშია ჩხაიძე თავის პუბლიკაციებში რეალურ მოვლენებსა და ფაქტებზე საუბრობდა, განიხილავდა პოლიტიკურ თუ თეატრალურ მოვლენებს, სხვადასხვა მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხს. აშუქებდა და განიხილავდა ყველაფერს, რასაც მისი ინტერესთა სფერო მოიცავდა. ავტორი კი, დამერწმუნებით, ძალზედ ფართო ინტერესთა სფეროთი გამოირჩეოდა.

ავტორის შემოქმედებაში მხატვრული ნარკვევიც გვხვდება, ეს ის მცირე ზომის ეპიკური ჟანრია, რომელსაც მეტ მხატვრულობას სძენს კონკრეტული მოვლენის ემოციურ-მხატვრულად გადმოცემა. ავტორს მასში ნაცვლად გამოგონილი ამბისა, მოყვანილი აქვს ისტორიულიმოვლენები, გულისხმობსიმას, რომ მწერალი გვაწვდის არა ფაქტების განზოგადებას, არამედ ისტორიული სინამდვილის ამსახველ სურათების მხატვრულ აღწერას.

ნარკვევის სახით, ისევე როგორც მის პიესებში მწერალმა აღწერა საბჭოური ყოფა, საზოგადოებრივი ცხოვრების სრული თანმიმდევრობა და რეალისტური ხედვა. ტიპიურის, ტრივიალურის შემოქმედებითად ასახვა და შემთხვევითი წვრილმანების ფერადოვნებით ცხოვრებისეული ხალიჩის ქსოვა მისი მხატვრული შემოქმედებითი ხელწერის ნათელი დასტურია.მისი მოსაზრებით გაზეთში გამოქვეყნებული თუნდაც სულ მცირე ინფრომაციაც კი, რაღაცით უნდა ეხმარებოდეს მკითხველს.

განსხვავება მოთხრობასა და ნარკვევს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი მოთხრობაში ცალკეული მოვლენებისთვის დამახასიათებელ თვისებებს აერთიანებს და კრებს მის მიერვე გამოგონილ ტიპობრივ სახეებში. ნარკვევის შემთხვევაში ავტორს არ უწევს გამოგონებაამა თუ იმ სიუჟეტის, არამედ თვით ცხოვრებიდან იღებს ერთ უშუალო მოვლენას, რომელიმე კონკრეტული მიზნისათვის.

ნარკვევში ავტორის ფანტაზია მეტად შეზღუდულია. მისთვის უმთავრეს საგნადაამიჩნეული ცხოვრებიდან აღებული ყოველი რეალური დეტალი. რა თქმა უნდა, ამით არ იდევნება მხატვრული გამონაგონი ელემენტები, თუმცა ავტორს ამავდროულად შეუძლია ნარკვევში დაამატოს ისეთი მოვლენები, რომლებიც სინამდვილის გადმოცემის სანდოობას ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით, ალექსანდრე ჩხაიძემ ნარკვევთა კრებულით, კიდევ ერთი ღირსება შესძინა თავის მდიდარ შემოქმედებას. მის ნარკვევებში ვხვდებით მოვლენებისა და პერსონაჟთა ხასიათების თითქმის უცვლელ პასაჟებს, რომლებიც, კვლავინდებურად, საბჭოური სისტემის ავკარგიანობას უსვამს ხაზს. დრამატურგმა თავისი ნარკვევებით საზოგადოებას დაუტოვა იმ სინამდვილის ამსახველი ფაქტები, რომელმაც მკითხველს შეუქმნა მდიდარი მასალა,განეზოგადებინათ ისტორიის აღქმის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ შოშია ჩხაიძისთვის თეატრი და თეატრალური ცხოვრება გახლდათ მისი შემოქმედებითი ასპარეზი, მისი მწერლური

ნიჭიერება მოთხრობებშიც გამოიკვეთა. ამ მხრივ ხაზგასასმელია მოთხრობების კრებულები: ,,ზღვისპირა ქალაქში'', ,,როცა მთავრდება ბავშვობა'', ,,უძლეველი'', ,,ქალაქში ერთი ეზოა'', ,,ზღვა და ოთხი ქალიშვილი'', ,,ჩვენებურები'' და სხვა მრავალი.

მისი პირველი მოთხრობა ,,მეგობრები'', რომელიც 1950 წელს გამოიცა, ქართველმა მკითხველმა თავიდანვე შეიყვარა. მას შემდეგ დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ავტორის ყოველ ნაწარმოებს. ალბათ იმიტომ, რომ შოშია ჩხაიძე ყველასთვის ახლობელ თემებზე საუბრობდა და განსაკუთრებულად დატვირთული იყო თანადროულობის მძაფრი შეგრძნებებითა თუ მორალურ-ეთიკური პრობლემატიკით.

მოთხრობათა კრებული ,,ზღვა და ოთხი ქალიშვილი'' 1980 წელს გამოქვეყნდა და მკითხველს შესთავაზა ისტორიებიმეორე მსოფლიო (სამამულო) ომის დროს ქართველი მეზღვაური ქალიშვილების სიმამაცეზე, რომლებმაც, მიუხედავად საზოგადოებაში გაბატონებული სტიგმისა, გაბედეს და მეზღვაურობა გადაწყვიტეს.

მოთხრობის მთავარი გმირები იულია ფაილოძე, შუშანა თუმანიშვილი, ვაიდე გვარიშვილი, ნინო კალანდაძე პრინციპულობას იჩენენ და საზღვაო აკადემიაში ჩაბარებას და სწავლას „ბედავენ“, შემდეგ კი სისხლისმღვრელ ომში მიდიან და თავისი გმირობით სამუდამო სახელს ტოვებენ ქვეყნის ისტორიაში. მათი შეუპოვრობა და პრინციპულობა მწერლისეული თვისებების ანალოგია და სწორედ ამან განაპირობა შოშია ჩხაიძის დაინტერესება მათი ისტორიით.

საზღვაო აკადემიის პრაქტიკების გავლის შემდეგ, გოგონების ოთხეული ორად ნაწილდება და სხვადასხვა გემზე აგრძელებს მუშაობას. ნინო და იულია მოსკოვში გაიგზავნა პრაქტიკაზე,შუშანა და ვაიდე კასპიის ზღვაზე. საინტერესოდ იკითხება გოგონების საინტერესო ისტორიები სან-ფრანცისკოს სანაოსნო მოგზაურობისას. მაგრამ საინტერესო თავგადასავალი მალევე სრულდება, რადგან შუა ზღვაში ყოფნისას მიიღებენ ამბავს ომის დაწყების

შესახებ, რაც თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ საზღვაო ფლოტიც უნდა ჩაბმულიყო ომში და თავისი წვლილი შეეტანა ამ ისტორიულ რეალობაში.

თავისი პათოსით გამორჩეულია გემის მეთაურის, კონტრ-ადმირალის სიტყვა: ,,ჩვენ ყველანი აღშფოთებული ვართ ჰიტლერის ასეთი ვერაგობით, იგი ძალიან გათამამდა და ჰგონია, რომ რუსეთსაც ისე ადვილად მოთრგუნავს, როგორც ევროპის სახელმწიფოებს. მე ვწინასწარმეტყველებ, რომ ფაშისტური გერმანია ისევე წააგებს ომს რუსეთთან, როგორც ნაპოლეონმა წააგო. დღეს მხოლოდ სტალინს შეუძლია ჰიტლერის განადგურება. ამ ბრძოლაში მთელი ცივილიზებული მსოფლიო თქვენს მხარეზეა, ბატონებო, და დარწმუნებული ვართ, ამერიკელი ხალხიც იტყვის თავის სიტყვას'' (ჩხაიძე, 1980:99).

ასეთი მოწოდება გავლენას ახდენს ქართველ პრაქტიკანტ გოგონებზე (საბჭოთა კავშირი ხომ ერთიანი მამულის განცდას წარმოადგენდა) და მამულის დაცვის აღტკინებული ქალიშვილებიც საომარ მოქმედებებში ჩაბმის სურვილს მაშინვე აფიქსირებენ, რაზეც კაპიტნისრეაქცია ასეთია: ,,კონტრ-ადმირალმა გაიღიმა, იულიას დაუკრა თავიდა ხმამაღლა თქვა - ჩვენი ტრადიციით ქალებს არა აქვთ უფლება ფეხი დაადგან სამხედრო ხომალდის გემბანს, მაგრამ ამჯერად გვინდა დავარღვიოთ ეს წესი და ამით გამოვხატოთ ჩვენი თქვენდამი განსაკუთრებული პატივისცემა და აღტაცებაც საბჭოთა ქალების გამბედაობის გამო''(ჩხაიძე, 1980:99).

ომის დაწყებამ გეგმების ცვლილება გამოიწვია და საომარ მოქმედებებში ჩასაბმელად სამზადისზე გადავიდა. თავდაპირველმა დაბნეულობა მალევე შეცვალა შემართებამ და სურვილმა მათი მცირეოდენი წვლილი შეეტანათქვეყნის გამარჯვებაში.

საომარ ბრძოლაში ჩართულმა ოთხივე ქალიშვილმა ქვეყნის დასაცავად საოცარი სითამამე და გამბედაობა გამოიჩინა. მათი თავგანწირმა არა ერთხელ გამხდარა სხვებისგან შეფასებისა და დაფასების ღირსი. მათი სიმამაცე და შემართება მთელ წიგნს გასდევს ფონად. მართალია ისინი სხვადასხვა გემზე,

სხვადასხვა ზღვებში ნაოსნობენ, თუმცა ერთმანეთის შეძლებისდაგვარად არ წყვეტენ ერთმანეთთან კავშირს.

წიგნის კულმინაცია ყველაზე სამწუხარო ამბავი ნინო კალანდაძის გარდაცვალებაა. ნინოს გარეშე ფრთამოტეხილი ჩიტივით დარჩენილია საუკეთესო ოთხეული. მისი მებრძოლი და მხიარული სული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლასეწირება. გემის კაპიტნის მონოლოგი ყველაზე კარგად წარმოგვიჩენს ომში გმირულად დაღუპული გოგონას სახეს: ,,დაიღუპა ნინო, ერთი გამოაკლდა ოთხეულს. მათ შორის ყველაზე გამბედავი, ყველაზე მხიარული. იგი ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა სიკვდილზე. არასოდეს ასე ცხადად არ უგრძვნია შუშანას ომი. ნინო იყო ყველაზე ახლობელი ადამიანი, რომელიც დაეცა ამ ბრძოლაში. შეიძლება სწორედ ძლიერთა ხვედრია თავგანწირვა? მსხვერპლის გაღება?'' (ჩხაიძე, 1980:163).

ავტორი ოთხი ზღვაოსანი ქალიშვილის ისტორიას ზედმიწევნით გვიამბობს და ხაზს უსვამს მათ გამორჩეულობასა და ერთგულებას მეზღვაურის პროფესიის მიმართ, რომელიც პრინციპულად აირჩიეს და გმირულად ემსახურეს. ოთხივე გმირზე ავტორი ომის შემდეგაც გვიამბობს და ხაზს უსვამს მათ ერთგულებას არჩეული პროფესიის მიმართ. მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებით დასრულების შემდეგ კასპიის ზღვიდან ბათუმში დაბრუნებულმა ვაიდე გვარიშვილმა ბათუმის ნავსადგურში, შუშანა თუმანიშვილმა ბაქოში სანაოსნო სამმართველოში, ხოლო იულია ფაილოძე საზღვაო სასწავლებელში აგრძელებს საქმიანობას. მათ არ უღალატიათ არჩეული პროფესიისთვის და უერთგულეს მას.

ამ წიგნით, რომელიც შოშია ჩხაიძემ ამ ოთხი არაჩვეულებრივი ქალიშვილის ცხოვრებას მიუძღვნა, ხაზი გაუსვა იმას, თუ როგორ შეიძლება იყო პრინციპული, აკეთო ქვეყნის საქმე და დატოვო შენი წილი სახელი შენს ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში ამ გოგონების ისტორია ყველამ იცოდა და გმირული ამბების ისტორიაში თავიდანვე ირიცხებოდა, მწერალმა შეძლო და ამ ისტორიების თხრობით სამუდამო ძეგლი დაუდგა. ავტორი

წიგნის ბოლოთქმაში ულამაზესი პასაჟებით გადმოგვცემს ოთხი ქალიშვილის განვლილი ცხოვრებისა და თავგანწირვის შეფასებას: ,,მართალია, ზღვის ზედაპირზე არ რჩება ნაკვალევი, მაგრამ მეზღვაურთა ნატერფალი უკვალოდ მაინც არ იკარგება'' (ჩხაიძე, 1980:218).

ბათუმი ზღვისპირა ქალაქია, სადაც მეზღვაურის პროფესია განსაკუთრებული პატივით სარგებლობს და არაერთი ამბავი უკავშირდება ამ პროფესიის ადამიანებს. მეზღვაური გოგონების ამბის თხრობის შემდეგ ალექსანდრე ჩხაიძემ გამოაქვეყნა მხატვრული ნარკვევი ,,ზღვისპირა ქალაქში'', რომელშიც წარმოადგინა სახელოვანი ქართველი მეზღვაურის, კაპიტან ელიზბარ გოგიტიძის ცხოვრება. მიუხედავად კონკრეტული პერსონაჟის ამბის თხრობისა, მწერალი თავისი პრინციპების ერთგული რჩება და გვიხატავს ადამიანის არსებობის კრედოს, თუ როგორ უნდა იცხოვროს ამ ქვეყანაზესიმართლისა და სამართლიანობის მუდმივ დარაჯად.

ამ წიგნში შოშია ჩხაიძემ გააერთიანა ნოველის ჟანრის დამახასიათებელი ისტორიები, რომლებშიც აღწერილია კაპიტან ელიზბარ გოგიტიძის ცხოვრების ამსახველი რეალური ფაქტები. კონკრეტულად კი მოთხრობა ,,ზღვის კაცი'', რომლის სათაურიც თავისთავად მიგვანიშნებს თავად შინაარსზე, სრულად ასახავს ამ გამორჩეული ადამიანის შთამბეჭდავ სახეს. აქ გვინდა კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი მწერლისათვის სახასიათო თვისებაზე ნაწარმოებებისათვის ზუსტი თემატური სათაურების შერჩევაზე. სხვა ღირსეულ თვისებებთან ერთად ავტორი მას ახასიათებს როგორც მშრომელ, მებრძოლ, დაუღალავ დარაც მთავარია თავისუფლად მოაზროვნე ადამიანად. კრებულში ელიზბარ გოგიტიძის გვერდით ვხვდებით სხვა რეალურ პერსონაჟებს, რომელთა ამბები არათუ პატარა მოთხრობებს, მარტივად შესაძლებელია ვრცელ რომანებსაც მორგებოდა. წიგნში გადმოცემული ყოველი ისტორია, ცხოვრებისეული დეტალი იმდენად საინტერესოა, იმდენად სახასიათოა მასში დახატული პერსონაჟები, რომელთაც ცხოვრებაში პროტოტიპები ჰყავდათ, იმდენად ზუსტად არის გადმოცემული ზღვისპირა

ქალაქის ცხოვრების წესი, რომ მკითხველის წინაშე ცოცხლდება მაშინდელი ბათუმის რეალური სურათი.

ავტორს თავის წიგნში ,,ზღვისპირა ქალაქში'' წარმოდგენილი აქვს ოთხი კრებული: ,,მეგობრები'', ,,ზღვისპირა ქალაქში'', ,,ქალიშვილი უკრაინიდან'', ,,თვალახელილი''. კრებულის პირველ მოთხრობას ,,მეგობრები'', 1952 წელს საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების კონკურსზე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პრემია მიანიჭეს.

ალექსანდრე ჩაიძე როგორც დრამატურგიულ შემოქმედებაში, ასევე ქართულ პროზაშიც ბოლომდე ახალგაზრდული თემების ერთგული რჩება. მწერლის დამოკიდებულება ახალგაზრდული სულისკვეთებისა და მომავალი მნიშვნელობისა, მუდამ წინა პლანზეა წამოწეული. კრებული ,,მეგობრები'' იწყება ორი სკოლის ფეხბურთელ მოსწავლეთა შერკინებით, ქალაქის თასის მოსაპოვებლად. პირველი სკოლის გუნდმა, ნუგზარ ჯაფარიძის მახვილგონივრული თამაშის დამსახურებით ქალაქის თასი მოიპოვა, თუმცა გუნდში ანზორ გეგლიასთან განხეთხილებამ, გაუგებრობამ მაინც იჩინა თავი. სწორედ, ამ მიზეზთა გამო, გამარჯვებული ნუგზარ ჯაფარიძის თვალში მეგობართან უთანხმოების გამო, სპორტულმა წარმატებამ ფასი დაკარგა. მოთხრობის მიზანიც სწორედ ეს გახლავთ, გაარკვიოს წინააღმდეგობის ვალიდურობა, რამდენად სამართლიანია ან მისაღები, ღირს კი ამად?!

მწერალი თვლის, რომ ერთ გუნდში თამაში და, მით უფრო, ერთ კლასში სწავლა მეგობრებს ურთიერთპასუხისმგებლობის, ურთიერთპატივისცემის შეგნებას უნდა უმაღლებდეს. სკოლის დირექტორიც სწორედ ასევე აყენებს საქმეს, მართალია ანზორი ბევრ საკითხებში ნამდვილად დამნაშავეა, თუმცა მისი სრული გარიყვა და დადანაშაულება უფრო დიდ დანაშაულად მიაჩნია: ,,რატომ მოხდა ისე, რომ ისეთ გულითად მეგობრებს, როგორიც არიან ნუგზარ ჯაფარიძე და ანზორ გეგელია, ერთი კარგა ხანია კომკავშირელია, უფრო მეტიც, კომიტეტის წევრია, მეორეს კი დღეს უარი უთხარით კომკავშირში მიღებაზე.

ჯაფარიძე წარჩინებული მოსწავლეა, ხოლო გეგელია ვინ იცის, შეიძლება იმავე კლასში დარჩეს“ (ჩხაიძე, 1954:38)

ამის პარალელურად, სკოლის დირექტორი, ურყევი პრინციპულობით მხარს უჭერს მოსწავლეთა შორის სიყვარულისა და მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდის საკითხებს და განაგრძობს: ,,ნუგზარ ჯაფარიძემ დღეს ალგებრაში ,,ხუთი'' მიიღო, გეგელიამ კი ცუდი ნიშანი. კარგ მეგობარს, ამ შემთხვევაში სინდისის ქენჯნა უნდა ეგრძნო... და საერთოდ, შეიძლება თუ არა ორ ახალგაზრდას მეგობრები ვუწოდოთ, როცა მათ არაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან იმის გარდა, რომ ერთ კლასში სწავლობენ და მეზობლად ცხოვრობენ?'' (ჩხაიძე, 1954:38).

მოთხრობის დასასრულს განვითარებული მოვლენები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სკოლის აღმზრდელობითმა სამუშაოებმა ნამდვილად მოახდინა ზეგავლენა მათი მეგობრობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ფორმირებაში. ნუგზარისა და ანზორის ურთიერთობითი შუღლი, რომელიც გაურკვეველი ჯიუტობის შედეგი უფრო იყო, ვიდრე არამეგობრული დამოკიდებულებისა, შეიცვალა ურთიერთპატივისცემისა და დახმარების აღმოჩენის სურვილებით.

მისი ყოველი დასრულებული ნაწარმოები, მხოლოდ და მხოლოდ, ცხოვრების ზედმიწევნით ცოდნისგანაა ნაკარნახევი. ამიტომაცაა მას კამათის, დისკუსიის არ ეშინია. ახლაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ,,მეგობრები'' მართალია მცირე მოცულობის ნაწარმოებია, თუმცა მასში გადმოცემული პრობლემატიკა მეტად მასშტაბურია. ახალგაზრდულ გაუგებრობებს არ უნდა ეწირებოდეს ურთიერთობები, ნამდვილი მეგობრობა, როგორიც ნუგზარსა და ანზორს ჰქონდათ. ამასთან დაკავშირებით, ალექსანდრე ჩხაიძის დამოკიდებულება უფროსების სწორი ჩარევითა და მაგალითის მიცემით შემოიფარგლება. ვინაიდან, მომავალი თაობის აღზრდის, ხასიათისა თუ ქცევების ჩამოყალიბების პროცესი, მხოლოდ სწორად წარმართული სასწავლო-აღმზრდელობითი საშუალებებით მიიღწევა.

მისი მოთხრობა ,,ზღვისპირა ქალაქში'' წარმოადგენს ახალგაზრდულ თემაზე შექმნილ სასწავლო-აღმზრდელობით მცირე ზომის ნაწარმოებს. იგი დაიწერა 1954 წელს და იმავე წელს დიდი გამოხმაურება და წარმატება ხვდა წილად. მისი წარმატების მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მასში წარმოდგენილია ახალგაზრდების ურთიერთობისა და შემეცნების ძირეული საფუძვლები, რომლებიც ხაზგასმით ეხმიანება მომავალი თაობების სრულფასოვნად ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესებს.

მოთხრობის მთავარი პერსონაჟები არიან რეზო ბლიაძე და გოგი მინდიაშვილი. ისინი სახელოსნო სასწავლებლის აღსაზრდელი მოსწავლეები არიან, რომლებიც ხარატობის ოსტატობის შესასწავლად დროსა და ენერგიას არ ზოგავენ. მოთხრობა აგებულია მათი მუშაობისა და ურთიერთობის თემაზე, ერთმანეთის მხარში დგომისა და მეგობრობის აღმოჩენის სულისკვეთებაზე. სასწავლო-აღმზრდელობით სკოლაში არსებული დისციპლინა მათი ცხოვრების უმთავრეს საგნადაა ქცეული. გოგიცა და რეზოც დირექტორისა და ქალაქის პოლკოვნიკის მიერ გასაიდუმლოებულ გამოძიებაში იღებენ მონაწილეობას და დიდ დახმარებასაც აღმოუჩენენ უფროსებს. რეზო ზღვის სანაპიროზე ყოფნისას შემთხვევით გადაეყრება მოსკოვიდან გამოქცეული კორესპონდენტის ფორმაში გადაცმულ დამნაშავეს, რომლებიც ცდილობენ გაარკვიონ, ეს პიროვნება ნამდვილად უკანონო გზით შემოპარული ბრალდებულია თუ არა.

ავტორი თავის მოთხრობაში ადამიანური და ზნეობრივი პრინციპების დაცვით გვიხატავს ისეთ პერსონაჟებს, რომელთა ქმედების საფუძველს სამართლიანი პიროვნების აღზრდა წარმოადგენს. ასაკის მიუხედავად, მოთხრობის მთავარი მოქმედი პერსონაჟები მორალურ-ეთიკური ნორმების სრული დაცვით მოქმედებენ, რაც მათი ასაკისა თუ უფროსებისთვისაც მისაბაძნი ხდებიან. ავტორი მოთხრობის ახალგაზრდა პერსონაჟების სახით გვიხატავს, როგორც ახალი ადამიანის პორტრეტს, რომელსაც ტყუილისა და უზნეობისათვის შეგნებულად უთქვამს უარი. სიმართლის აღიარებისა და სუფთა სინდისის მქონე ახალგაზრდა პერსონაჟი რეზო, თავის მეგობარსაც

აიყოლიებს და მისი დახმარების წყალობით, ქალაქისთვის დიდ საქმეს გააკეთებენ.

დრამატურგის, როგორც სხვა ნაწარმოებებში, ამ მცირე ზომის მოთხრობაშიც, საუკეთესოდ ვლინდება ახალგაზრდული სულისკვეთება. პატიოსნებისა და სწორი პრინციპების დაცვით ცხოვრების აუცილებლობა. მათი მახვილგონივრული შენიშვნები საქმის გამოძიების მსვლელობისას, უფროსებისგანაც დიდ მოწონებას იმსახურებენ. ავტორისეული თვალსაზრისით კი, რეზოს და გოგისთანა მომავალი თაობის აღსაზრდელები დიდი იმედი და დასაყრდენია ქალაქისა თუ ქვეყნის კეთილდღეობის სადარაჯოზე. რეზოს მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორებაზე, ზღვაზე უნებართოდ რომ წავიდა და დანაშაულის გამოსწორება სურს,დირექტორი ასეთპასუხს იძლევა: ,,კარგია, რომ თვითონ ხვდები დანაშაულს'', თუმცა რეზოს პასუხი ბევრად სანიმუშოა: ,,მაგრამ, მე მგონია, საკმარისი არაა მარტო დანაშაული შეიგნო, უნდა ეცადო გამოასწორო იგი, გამოისყიდო'' (ჩხაიძე, 1954:136).

სწორედ ეს ფინალური რეპლიკა აღმოჩნდა მოთხრობის უმთავრესი სათქმელი, ამაზე დაყრდნობით იკვეთება რეზოს, როგორც ზრდასრული, სრულფასოვნად ჩამოყალიბებული პიროვნების ღირსეული თვისებები და სწორედ ეს რეპლიკა მეტყველებს შემდეგზე, თუ როგორი თაობის ახალგაზრდები იზრდებიან ერთ პატარა ზღვისპირა ქალაქში.

შოშია ჩხაიძემ მხატვრული ნარკვევი ,,ქალიშვილი უკრაინიდან'' წმინდა ჟურნალისტური ჟანრით დაწერა. იგი ომისა და შრომის თემატიკაზე შემქნილი ნაწარმოებია, ქართველი რამაზისა და უკრაინელი ოქსანას ურთიერთობაზე. ქართველ ჟარისკაცს ომის ფრონტზე გადაარჩენს უკრაინელი ექიმი და ხანმოკლე შეხვედრის მიუხედავად, მათ შორის გაჩნდება მარადიული პატივისცემისა და მეგობრობის გრძნობა. გრძნობა მადლიერებისა და ადამიანურობის უმაღლესი გამოვლინება. ომის დასრულების შემდეგ, რამაზის სოფელში ჩამოდის უკრაინის კოლმეურნეთა დელეგაცია. მათ შორის

გაიმართება სოციალისტური შეჯიბრება. ხოლო, უკრაინის დელეგაციის წევრია ოქსანაც. მათი შეხვდერა არის დიდი ბედნიერება როგორც რამაზისთვის, ისევე ოქსანასთვისაც. ამასთან დაკავშირებით ავტორი წერს: ,,ხალხთა შორის მეგობრობას, მყარი ადამიანური საფუძველი გააჩნია''.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ,,ქალიშვილი უკრაინიდან'' დოკუმენტურ-მხატვრული ნარკვევის, უფრო კონკრეტულად, დოკუმენტური პროზის ჟანრს განეკუთვნება. ნარკვევს დოკუმენტური მხატვრულობის ფაქტის გარდა, ესთეტიკური ფუნქციაც აკისრებს. ავტორი მას მხატვრული განზოგადების წყაროდ აქცევს და დიდი გატაცებით მოგვითხრობს ორი ქვეყნის ორი შვილის ისტორიას.

და კიდევ, ის ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც ალექსანდრე შოშია ჩხაიძის ამ ნაწარმოებს კიდევ უფრო მეტ მხატვრულობას სძენს, ეს გახლავთ ის რეალური პიროვნებები, რომელთა სახეები ნარკვევში ტიპურ სახეებად არიან წარმოდგენილნი. ავტორი არც აქ ივიწყებს თავისი ცხოვრების კრედოს, აქაც აქსოვს მისთვის დამახასიათებელ ელემენტებს და აქაც მხოლოდ რეალობის აღქმის საჭიროებიდან გვესაუბრება.

შოშია ჩხაიძის შემდეგი მოთხრობა ,,თვალახელილი'' ომის შემდგომ პერიოდზე დაწერილი ნაწარმოებია, რომლის სიუჟეტი არა საქართველოში, არამედ ამერიკაში მიმდინარეობს. მარტინ ტომსონი და მისი ოჯახი, რომელიც ჩიკაგოში ცხოვრობენ, უდიდეს სიდუხჭირესა და გაჭირვებაში იმყოფება, ისევე როგორც ომის შემდგომი პერიოდში ,,უპატრონოდ'' დარჩენილი სხვა ოჯახები.

პოლიტიკური პოზიცია, ასეთი ფენის წამომადგენელთა მიმართ, მიკერძოებული და უსამართლოა. სამხედრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცებისა და ომის ვეტერანი ადამიანების ბედი საერთოდ არ ანაღვლებთ და გაუსაძლისი ცხოვრების პირობებისთვის, შიმშილისთვის ჰყავთ განწირული. ყველაზე დიდი ტრაგიზმი კი იმაში მდგომარეობს, რომ მარტინ ტომსონი ომის ფრონტზე დაბრმავდა და უსინათლობის შეპირებული ავანსიც აღარ ერიცხებათ. ოჯახი უკეთესი ცხოვრების იმედით პოულობს სანდომიან ექიმს, რომელიც ოპერაციის

შემდეგ მარტინს თვალს აუხელს, თუმცა ამ ფაქტით დაიმედებული მარტინი კიდევ უფრო დიდი იმედგაცრუების წინაშე აღმოჩნდება. მარტინ ტომსონი კვლავაც სიბრმავეს ნატრულობს, რათა სამოწყალოდ გასულმა ერთი-ორი დოლარის შოვნა უფრო მარტივად შეძლო, ვიდრე ჯანმრთელ, ძლიერსა და სამსახურს მოწყურებულმა ადამიანმა. ამ მოთხრობის წაკითხვისას ნათელია საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატების, „ლპობადი კაპიტალიზმის“ მიმართ. მწერალი მაინც ვერ გაექცა საბჭოთა იდეოლოგიას და ამ მოთხრობით კიდევ ერთხელ დავინახეთ, რო მიუხედავად შინაგანი პროტესტისა, რამდენად ძლიერი იყო საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა.

მოთხრობაში წამოჭრილი პრობლემა, რომელიც ავტორმა ტომსონების მაგალითზე აღგვიწერა, ასახავს ომის შემდგომ საყოველთაო რეალობას. ამიტომ, ვითარება იმდენად მძიმდება, რომ დემონსტრანტთა ჯგუფი ყალიბდება და სამართლიანობის აღდგენის ჟინით შეპყრობილები ერთიანდებიან. მოთხრობის ბოლოს ავტორი შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ტომსონი დემონსტრანტების რიგს უერთდება, რომლის შესახებაც ინფორმაციას სამსახურის ძიებისას შემთხვევით გაცნობილი ბილი ხიგენსისგან იღებს. მოთხრობის ფინალში ჩვენთვის უცნობია მარტინი შეუერთდება თუ არა დემონსტრანტებს, თუმცა ჩვენი ვარაუდებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მარტინი გადაწყვეტილებას იღებს ჩაერთოს საპროტესტო აქციებში, მხოლოდ და მხოლოდ, უკეთეს პირობებშიცხოვრების მიზნით.

ალ. ჩხაიძე თავის მოთხრობებს ასეთ მამხილებელ სათაურებს შეგნებულად ურჩევს. მისი ამ უკანასკნელი მოთხრობის სათაურიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მარტინის მხედველობის დაბრუნება პარალელის გავლებაა ოცნებაში მცხოვრები ადამიანისა, რომელმაც რეალობა სრული სიმძაფრით აღიქვა და ტყუილის ბურანიდან სამუდამოდ გამოერკვა. იგი ,,თვალახელილია'' არა მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ მას თვალები აეხილა გადატანითი მნიშვნელობითაც. მარტინ ტომსონმა შეიცნო და

დაინახა ცხოვრების ახლებური, თუმცა მაინც მიუღებელი რეალობა, რომელიც დაფუძნებული იყო სახელმწიფო პირების ინეტერსების დაკმაყოფილებასა და პირადი ცხოვრების გაუმჯობესების სურვილებზე. სწორედ ამ მოტივითაა განპირობებული, რომ ავტორი პერსონაჟების სამართლიანობის აღდგენის სულისკვეთებით ასრულებს მოთხრობას.

ავტორს ახალგაზრდობის, დამოუკიდებლობის, თავისუფლების, თვითმოქმედებისა და მუდმივი მაძიებლობის თემა ვრცლად აქვს გადმოცემული შემდეგ მოთხრობაში ,,როცა მთავრდება ბავშვობა''. მოთხრობის სიუჟეტი იწყება შემდეგით, ახალგაზრდა პედაგოგი, თინა გელოვანი მასწავლებლად იმავე სკოლაში იწყებს მუშაობას, სადაც თვითონ სწავლობდა. საკმაოდ რთულია, ხუდიოდე წლის წინ ვინც შენი მასწავლებელი იყო, დღეს მისი კოლეგის სტატუსს ატარებდე. თუმცა, სასკოლო ცხოვრება მუდმივ სიახლესა და განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ეს ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც საჭირო. ამდენად მწერალმა ასეთი თემის წინა პლანზე წამოწევით, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ყველა დროისთვის დამახასიათებელსა და აქტუალობას.

ნაწარმოებში ,,როცა მთავრდება ბავშობა'' გადმოსცემს თამაზ მინდაძისა და ზალიკო მენაბდის ურთიერთობას მშობლებთან, თანატოლებთან, მასწავლებლებთან და საკუთარ თავთანაც. იმის გათვალისწინებით, რომ თამაზ მინდაძე ძალზედ გონიერი, ზრდილი, წიგნიერი და პრინციპული ჭაბუკია, ის ასევე შემდგარი პიროვნებაცაა. მისი მსოფლმხედველობისა და გონიერების მეშვეობით, გააჩნია საკუთარი შეხედულებები ცხოვრებისა თუ ადამიანების საქმიანობის ავ-კარგიანობაზე. ამისი ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს მოთხრობის ის მონაკვეთი, როცა ისტორიის მასწავლებელი არღვევს პედაგიგურ ეტიკეტს, თამაზ მინდაძე კი პასუხობს: ,,მე მოვალე ვარ ვუსმინო მასწავლებელს, მაგრამ არა ვარ ვალდებული მოვითმინო შეურაცხყოფა".

მწერალი თამაზ მინდაძისა და ზალიკო მენაბდის პერსონაჟებით ხატავს რთულად დასამორჩილებელ სახეებს. ფაქტია, რომ სკოლაში ასეთი მოზარდები

ნაკლებად უყვართ, თუმცა ძლიერი ნებისყოფის, პრინციპული და წინააღმდეგობების დაძლევაში დიდი გაბედულებით გამორჩეული პიროვნებები, სწორედ ასეთი მოზარდებისგან ყალიბდებიან. საზოგადოებას ასეთი მოზარდები რომ არ ეზრდებოდეს, მათი სულისკვეთებისა და თავისუფლების მაძიებლობების სურვილის გარეშე, ცხოვრება ერთ ადგილას გაიყინებოდა.

სკოლა და ოჯახი, ეს გახლდათ დრამატურგის მოთხრობების მუდმივი, მთავარი თემა, სადაც იძერწება ადამიანის ხასიათები, ყალიბდება სრულფასოვანი მოქალაქე, ადვილი შესაძლებელია ყოველთვის სწორხაზოვანი და გამართული არ არის მათი ცხოვრებისეული ნაბიჯები, მეტ-ნაკლებად წინდაუხედავია მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. თამაზ მინდაძე, რა თქმა უნდა, ცდება, როცა ომის დამთავრებას ნანობს. მშვიდობიან ცხოვრებაში როგორ უნდა ისახელო თავიო, რომ გაიძახის. რა მოხდა მერე, თუ ერთ ეზოში გაზრდილმა ბიჭებმა თავიანთი შეუპოვარი ბრძოლის ფასად შეძლეს და მოაწყვეს მხოლოდ ერთი პატარა სპორტული მოედანი. ავტორი იმედს იტოვებს, რომ თამაზ მინდაძე და მისი მეგობრები მომავალი ინჟინრები, მეზღვაურები ან მეცნიერები გამოვლენ და, თუ საჭიროა, თავის გაწირვაც არ დაენანებათ საქართველოსთვის.

მთავარია მათ გააჩნდეთ ყველაზე ადმიანური უნარები, უნარი ოცნების, პატიოსნებისა და უსამართლობისადმი შეურიგებლობის უნარები. თუმცა, ჩვენთვის ცნობილია, რომ ასეთი მაღალადამიანური, ზნეობრივი უნარები თავისით არავისთან მიდის, ამ უნარებს, პირველ რიგში, მშობლები უნერგავენ ახალ თაობებს, ჯერ კიდევ მოზარდობის ასაკში მყოფებს, ისეთმა პედაგოგებმა, როგორებიც არიან თინა გელოვანი და დავით გავაშელი.

ალექსანდრე ჩხაიძე თავის ნაწარმოებებში ერთმანეთს უპირისპირებს საბჭოთა კავშირში დამკვიდრებულ იმდროინდელ ცხოვრების წესსა და მომავალი თაობისთვის აუცილებელ ცხოვრებისეული საჭიროებების არარსებობას. მაშინდელი სამთავრობო ორგანოები, სახელმწიფო პირები თუ

განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, თითქოს ერთვებოდნენ აღზრდის საქმეში, მაგრამ პრობლემის აღმოფხვრის ნაცვლად, მათთვის დაუმორჩილებელ, სხვანაირად მოაზროვნე მოზარდს იარლიყებს მიამაგრებდნენ და საქმეც მოგვარებულად ითვლებოდა. ,,ეს რთულად აღსაზრდელია'', ,,ეს დაუმორჩილებელი ახალგაზრდაა'', ,,ამისი გამოსწორება არ იქნება'' და სხვა ასეთი შენიშვნები, რის გამოც, ასეთი ბავშვები, სკოლისგან ნაკლებ პატივისცემასა და სიყვარულს იღებდნენ.

ასეთმა დამოკიდებულებამ ახალგაზრდობა იქამდე მიიყვანა, რომ ისინი სრულიად უნდობლები გახდნენ უფროსი თაობის, მასწავლებლების მიმართ, გაუცხოვდნენ. ნდობის ფაქტორი კი, დამერწმუნეთ, უფროს და უმცროს თაობას შორის განმსაზღვრელია.

ალექსანდრე ჩხაიძემ ამ ფაქტებით შეწუხებულმა ამ თემას არაერთი ნაწარმოები მიუძღვნა, რომელთა შორის ნამდვილად გამორჩეული ადგილი უჭირავს მოთხრობას ,,როცა მთავრდება ბავშვობა'', რომელსაც საბავშვო ნაწარმოებების საყოველთაო კონკურსზე, გამომცემლობა ,,ნაკადულის'' მიერ მიენიჭა პირველი პრემია. ეს მოთხრობა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში, სხვადასხვა ენაზე დაიბეჭდა. თბილისის მოზარდ-მაყურებელთა თეატრში, ამ მოთხრობის ინსცენირება წარმატებით შედგა.

ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის პროზაში ვრცლადაა ასახული ისეთი თემები, როგორიცაა დამოუკიდებლობის სურვილი, მუდმივი განვითარება, ახალგაზრდული თვითმოქმედება და თვითმყოფადობა. მისი პროზა მდიდარია თავისუფლების მოპოვების სურვილით, თემებითა და იდეებით. მწერლის თვალსაწიერი თითქმის ცხოვრების ყველა მიმართულებას სწვდება, მისი მახვილი მზერა მიმართულია მანკიერი, ფლიდი და დრომოჭმულის გამოვლინებების წინააღმდეგ გალაშქრებისკენ. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა შემდეგი მოთხრობებიც: ,,უგვირგვინო იუბილარი'', ,,ცივი შხაპი'', ,,საბრალდებო კადრი'', ,,კატასტროფა'', ,,სადიპლომო შრომა'' ,,ტყის დღე'' და სხვა.

მწერლის მიერ შემოთავაზებულ, განხილულ მოთხრობებში, ნოველებში ნათლად იკვეთება მეამბოხე ახალგაზრდების სულისკვეთება, მშრომელი, განვითარების სურვილით გულანთებული თაობების სახე. კერძო ადამიანების ბიოგრაფიები, სადაც ავტორი ადამიანური ღირსებისა თუ უღირსობის, ხასიათების წრთობის, ჩამოყალიბების, ადამიანის ფსიქიკის გარდაქმნისა და შეგნების ამაღლების ბევრ საგულისხმო ამბავს გადმოგვცემს.

მწერლის მოთხრობებში წარმოდგენილი პერსონაჟთა სახეები უაღრესად საინტერესეო და მრავალფეროვანია. ამ თვალსაზრისით, უდიდეს განსაკუთრებულ თვისებებს ატარებს თამაზ მინდაძისა და ზალიკო მენაბდის გმირების პროტოტიპები. ეს გულმართალი, სამართლიანი, ზრდილი და თავაზიანი მომავალი თაობის წარმომადგენელი ახალგაზრდები წარმოადგენენ საქართველოს მომავლისკენ გადადგმულ ნაბიჯებს.

ცოდნას მოწყურებული, სწავლაზე შეყვარებული, მაძიებელი ადამიანები. ამ თვისებებით ამკობს შოშია ჩხაიძე თავისი წიგნების პერსონაჟებს. მისი ღრმა რწმენით, ქვეყანას მხოლოდ ბობოქარი, დაუღალავი ადამიანები აშენებენ, რომელთა მისიაც სიკეთის, ცოდნის, განათლების გავრცელება გამხდარა. თუმცა, ასეთივე თვისებების მქონე შეუვალ, დაუღალავ, მეტად პრინციპულ ადამიანებსვე შეუძლიათ ქვეყნის განადგურებაც. სწორედ ამ კანონზომიერების გათვალისწინებით, ავტორი წარმოგვიჩენს პერსონაჟთა სხვადასხვა ხასიათს, მხატვრულ ელემენტს და არჩევანის გაკეთებას უკვე მკითხველს ანდობს, თუ ცხოვრებისთვის რომელი გზისკენ სიარულს გადაწყვეტს. იგი იმასაც გვკარნახობს, რომ ადამიანური რესურსი, ძალა, ენერგია და მთელი ბობოქარი ხასიათები, მხოლოდ და მხოლოდ, საზოგადოების, ხალხის სასიკეთოდ უნდა იხარჯებოდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მის შემოქმედებაში გადმოცემული ყოველი ბრძოლის სურათი დამაჯერებლად, ჭეშმარიტი მწერლური ოსტატობითა და პატრიოტული შემართებითაა გადმოცემული. ალექსანდრე ჩხაიძემ ქართული თეატრისა და დრამატურგიის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა,

თუმცა მისი წვლილი ქართული პუბლიცისტური დრამის განვითარებაშიც უმნიშვნელოვანესია.

ავტორი თავისი წიგნის წინასიტყვაობაში წერს: ,,ეს მოთხრობები ათიოდე წლის წინათ დაიწერა. მათი გმირები უკვე ცხოვრების დიდ გზაზე არიან გასული. ასე მიდის ცხოვრება წინ, მოდის ახალი თაობა, ახალი ფიქრებით, ახალი მიზნებით, იმისი მაღალი შეგნებით, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი უნდა იყოს გუშინდელზე'' (ჩხაიძე, 1973:1).

მოთხრობა ,,ქალაქში ერთი ეზოა'' იწყება ფეხბურთის მოთამაშეთა ბავშვების სურათის აღწერით. ისინი ცხოვრობენ, თამაშობენ ყოფითი, ჩვეულებრივი ცხოვრებით, რომლებსაც საზაფხულო არდადეგებზე ბურთით თამაშისას არაერთხელ ჩაუმსხვრევიათ მეზობლის ფანჯრები და რომლის გამოც, მუდმივი შენიშვნა და საყვედურიც მიუღიათ. რის გამოც, ეზოს ბავშვები უფროსებისგან დამოუკიდებლად გადაწყვეტენ მათთვის ფეხბურთის მოედნის აშენებას. ქალაქის თავმჯდომარისგან ითხოვენ ნებას, მთელი ზაფხულის არდადეგებს კი საფეხბურთო მოედნის ასაშენებლად გეგმების აწყობაში ატარებენ. ეზოს ბავშვების წამოწყებულ საქმიანობაში უფროსებიც დიდი სიამოვნებით ერთვებიან და ერთობლივი ენთუზიაზმით აპირებენ საფეხბურთო მოედნის აშენებას.

შოშია ჩხაიძის ეს მოთხრობა, ძირითადად ორიენტირებულია ბავშვების სურვილებისა და ოცნებების განხორციელებაზე. ბავშვური მისწრაფება და ოცნებები, რომლებიც მოთხრობაშია წარმოდგენილი, უფროსი თაობის ადამიანებისთვისაც მისაბაძია. ამის მტკიცებულებად შეგვიძლია განვიხილოთ მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟის, მძღოლის შემდეგი სიტყვები: ,,თქვენი ჭირიმე, ბიჭებო. ნეტავი რომელიმე თქვენგანი ოსტატებში მანახა'' (ჩხაიძე, 1973:226).

დრამატურგის სხვა ახალგაზრდული მოთხრობების მსგავსად, ეს მოთხრობაც აღზრდის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ამას გარდა, ავტორი თავის წიგნში ხაზგასმით წარმოდგვიდგენს ახალგაზრდული მისწრაფებებს,

დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებას, მიზნისკენ დაუღალავად სიარულს.

შოშია ჩხაიძემ თურქეთში მცხოვრები ჩვენებურების საინტერესო ლიტერატურული სახეები შექმნა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თურქი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ნაზიმ ჰიქმეთის ლიტერატურული სახე მოთხრობაში ,,ერთი დღე ნაზიმ ჰიქმეთთან", რომელშიც კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ავტორის პროფესიონალიზმი, ისტორიზმის პრინციპების დაცვა და პირადი განწყობის სიცხადე. ამ მოთხრობაში იგი აგრძელებს ისეთი რეალური გმირების ხატვას, რომელთაც რთული პერიოდის, სიძნელეების მიუხედავად არ დაუკარგავთ ღირსება, არ უღალატნიათ საკუთარი პრინციპებისათვის. სწორედ ასეთი რეალური გმირი პერსონაჟია, გამოჩენილი, დამსახურებული საზოგადო მოღვაწე ნაზიმ ჰიქმეთი, რომელსაც „რომანტიკულ რევოლუციონერს" უწოდებდნენ. ქართული გენი პოეტისა და დრამატურგის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას განაპირობებდა ქართველების მიმართ. პოეტი და დრამატურგი არაერთხელ დაუსჯიათ, მაგრამ მისი პრინციპები უცვლელი რჩებოდა. სწორედ ამ ღირებულებებმა განაპირობა შოშია ჩხაიძის ინტერესი შეექმნა თურქი მწერლის მხატვრული სახე.

ეს მოთხრობა ბიოგრაფიული გახლავთ და დოკუმენტური პროზის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს.ქართველმა მწერალმა სინამდვილის აღქმის ჭეშმარიტი უნარით შეძლო რეალური ფატქტებისა და მხატვრული ხერხების შერწყმით სრულად ეჩვენებინა ამ გამოჩენილი ადამიანის ღვაწლი.

ასე იხსენებს დრამატურგი ნაზიმ ჰიქმეთის ნაამბობს ბათუმზე: ,,ცხრამეტი წლის ვიყავი, ანატოლიიდან ბათუმში რომ ჩამოვედი. გემიდან გადმოსვლისთანავე თვალში მეცა სისფუთავე და სიმწვანე, უხვი მცენარეულობა, მომხიბლა ქალაქის ჭადრაკულმა განლაგებამ. ბათუმში რამდენიმე დღე დავრჩი. ქალაქი მთავარ მოედანზე გამართულ მიტინგშიც მიმიღია მონაწილეობა. ასეთი რამ არასოდეს მენახა. ტრიბუნიდან წარმოთქვამდნენ მხურვალე სიტყვებს ქართულ და რუსულ ენაზე. მე მათი

მნიშვნელობა არ მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი ხალხის გულისცემას. როდესაც მიტინგის მონაწილეებმა ,,ინტერნაციონალი'' წამოიწყეს, მე მათ ავყევი მშობლიურ ენაზე. ბათუმში გავეცანი პირველად ქართულ კულტურას. მას შემდეგ ყურადღებით ვადევნებ თვალს ქართველი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, მსახიობების საქმიანობას'' (ჩხაიძე, 1993:32)

მწერალი აშკარად მოხიბლულია თავისი გმირით და სწორედ ამ დამოკიდებულებას, განწყობას უზიარებს მკითხველსაც. დოკუმენტური პროზის შექმნა მეტად რთულია და ავტორის განსაკუთრებულ ხელოვანებას მოითხოვს, ვინაიდან ერთი მხრივ უნდა დაიცვას ისტორიზმის პრინციპები, მეორე მხრივ კი თითოეული ფაქტი როგორც მშრალი ფაქტი კი არა, საზოგადოებას მხატვრულად და საინტერესო თხრობით მიაწოდოს. უმთავრესი კი ის გახლავთ, რომ მთავარი გმირის ღირსებებიისე წარმოაჩინოს, რომ მკითხველში ინტერესი და სიყვარული მოაპოვებინოს.

ავტორმა შეძლო ნაზიმ ჰიქმეთის ბიოგრაფიულიდეტალები და პიროვნული თვისებების ისეთი პასაჟებით მოეცა, რომ მკითხველის მეხსიერებაში რჩება გამორჩეული პიროვნების შთამბეჭდავი სახე. ავტორმა შეძლო მისთვის სახასიათო წერის მანერით შეეკრა და გადმოეცა ნაზიმ ჰიქმეთის მოღვაწეობა, ხალხის სიყვარული, საყოველთაო პატივისცემა, საზოგადოებრივი შეხედულებები, პატრიოტიზმი, რითაც გამოირჩეოდა ღირსეული გმირი.

ვსაუბრობთ რა შოშია ჩხაიძის მხატვრულ პროზაზე ხაზს ვუსვამთ ავტორის განსაკუთრებულ ხელწერას და იმას, რომ მან შეძლო თავისი ნაწარმოებები ეპოქის მატიანედ ექცია. მისი ოსტატობისმაგალითია კრებული ,,კვალი დედამიწაზე'', რომელშიც ავტორს შვიდი დამოუკიდებელი მხატვრული ნარკვევი გაუერთიანებია. ეს კრებული იმითაა გამორჩეული, რომ ავტორმა მისთვის დამახასიათებელი გამბედაობითა და ოსტატობით გამოიყენა წერის პოლემიკური სტილი, რომელიც ისევ რეალური ყოფის

გასაკრიტიკებლად, მანკიერებების წარმოსაჩენად და საზოგადოების გამოსაფხიზლებლად გამოიყენა.

ავტორიწერს: ,,მწერლური და ჟურნალისტური ცხოვრების ბილიკებზე შევხვედრივარ ბევრ საინტერესო ადამიანს, რომლებსაც არა მარტო უცოცხლია ამ ქვეყნად, არამედ სიტყვით თუ საქმით რაღაც კვალი დაუტოვებია დედამიწაზე. რა თქმა უნდა, ყოველთვის ია-ვარდებით არ იყო მოფენილი მათი ცხოვრების გზა, რადგანასეთ ადამიანებს იოლად თავის გატანა არ შეუძლიათ. მომავლისადმი რწმენა მატებდა მათ ძალას, სულის სიმტკიცეს, შთამომავლობაზე ზრუნვა კი იყო მათი მთავარი მიზანი. მივიჩნიე, რომ ამ ადამიანების საქმე, ცხოვრება, სხვებისთვის იქნება სასარგებლო და საინტერესო, ამიტომ, გავბედე და ცალკე წიგნად შევკარი სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული და საგულდაგულოდ შერჩეული ნარკვევი, პუბლიცისტური წერილი თუ ტრიბუნიდან ნათქვამი სიტყვა იმ იმედით, რომ ისინი მკითხველის გულსა და გონებას შეეხმიანებიან'' (ჩხაიძე, 1977:2).

მწერალი ერთგვარ პოლემიკას ხსნის და თავის ნარკვევებში პრობლემების ანალიზს ორი მიმართულებით ავითარებს, მათთვის, ვინც კვლავ მოძველებულ, ყავლგასულ შეხედულებათა ტყვეობაშია მოქცეული დამათთვის, ვისაც (მწერალი, ჟურნალისტი) ევალება წინააღმდეგობა გაუწიონ,ე.წ. ტყვეობაში მოქცეულ ხელმძღვანელებს, თუმცა დუმილს ირჩევენ.

გარდა დრამატურგიისა, მხატვრული პროზისა და მხატვრული ნარკვევისა ალექსანდრე ჩხაიძემსაინტერესო პუბლიცისტიკაც შექმნა. გარდა პრესაში გამოქვეყნებული წერილებისა დაპუბლიცისტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიტანა წიგნებში: ,,ჩვენებურები“ (1991 წ.), ,,ერთხელ“ (1993 წ.), ,,ჩემი წილი საუკუნე“ (1998 წ.). მათში ავტორმა დოკუმენტური პროზისა და სხვადასხვა მხატვრული ხერხის გამოყენებით შეძლო მოეთხრო საინტერესო ისტორიები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ავტორი ლირიკული გმირის როლში გვევლინება და პირველ პირში მოგვითხრობს, რითაც სათქმელს უფრო დამაჯერებელსაც ხდის.

§ 2. მემუარისტული პროზა

ქართული მემუარისტიკა XIX საუკუნიდან იწყებს დამკვიდრებას. სწორედ ამ პერიოდიდან მოგვეპოვება ამ ჟანრის ლიტერატურული ნიმუშები. მემუარისტული ნიმუშები, რომლებიც ძირითადად ფაქტებისა და მოვლენების აღწერას ემსახურება. თუმცა აქაც საგულისხმოა იმ მოვლენების შეუცვლელად გადმოცემის სიზუსტე, რომელთა გაშუქებაც ავტორს მიზნად დაუსახავს. ავტორმა პირველ რიგში, მემუარები შეუცვლელი ფორმით უნდა გადმოსცეს, უნდა ასახოს ის სინამდვილე, რაც მის გარშემო ხდებოდა თუ მომხდარა. მან თავის მემუარულ წიგნში უნდა გამოკვეთოს ის ძირითადი მახასიათებლები, რომელთა მეშვეობითაც მკითხველს ინტერესს აღუძრავს და წარსულში მომხდარ ფაქტებს გააცნობს.

ალექსანდრე ჩხაიძემ ნამდვილად შეძლო და მისი მემუარისტული პროზა მკითხველისათვის საინტერესო ტექსტად აქცია. მის წიგნებში გადმოცემული თხრობის სტილმა, იუმორმა, პროფესიონალიზმმა და კრიტიკულმა ანალიზმა, მკითხველში ნამდვილად გამოიწვია დიდი ინეტერესი და განსაკუთრებული სიყვარული.

მწერალი ოთხი ათეული წელი მოღვაწეობდა დრამატურგიასა და ლიტერატურაში. თავისი შემოქმედებით ნამდვილად უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის განვითარებაში. ავტორმა ცხოვრებისეული გამოცდილებითა და მწერლური საოცარი ნიჭიერებით აღბეჭდილი ნაწარმოებები შექმნა. აქტუალობა და თანამედროვე პრობლემის წინა პლანზე დაყენება გამოარჩევდა მას, როგორც შესანიშნავ მწერალსა და პიროვნებას. მისი პიესებისა და მოთხრობების, ზოგადად მისი შემოქმედების პერსონაჟები არიან ზნეკეთილი, პატიოსანი პიროვნებები, რომლებიც მედგრად იბრძვიან ბოროტების წინააღმდეგ. იბრძვიან სიმართლის, პატიოსნების, სამართლიანობის დასამკვიდრებლად.

დრამატურგის მემუარისტული წიგნების სათაურები ცხადყოფს, თუ რამდენად თავსებადია ზემოთ განხილული ნაშრომის ფუნქციები. მის მიერ

შერჩეული სათაურები აკმაყოფილებს სათაურის ინტერპრეტაციისთვის განკუთვნილ ნორმებს, ავლენს ავტორისეულ ჩაფიქრებულ თავდაპირველი იდეის არსს, კითხვის დაწყებამდე გვიქმნის განცდას, თუ რისთვის უნდა ვიყოთ მზად, ან რას უნდა მოველოდოთ ამ ნაწარმოებების გაცნობამდე. სრულიად ბუნებრივ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ წიგნის დასრულების შემდეგ მკითხველიუბრუნდებოდება სათაურს და ეძებს ურთიერთმიმართებას წიგნის შინაარსსა და სათაურს შორის, რაც ბუნებრივია წიგნის დასრულების შემდეგ სათაურსა და შინაარსს შორის პარალელის გავლებისას. ამ მხრივ მის მიერ შერჩეული სახელწოდებები, მკითხველს ყოველთვის უქმნის წინასწარ განწყობას, მზაობას ტექსტის შინაარსობრივი მხარის გასაცნობად.

ძალიან საინტერესოა შოშია ჩხაიძის მემუარისტიკა, რომლის გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს ,,ჩემი წილი საუკუნე'', რომელიც ავტორისეული ირონიისა და გულწრფელობის ჰარმონიული შერწყმაა. მასში შემოქმედმა შეძლო არა მარტო ეპოქის სურათის ჩვენება, არამედ თავისი შეხედულებებიც ჩამოაყალიბა ცალკეული მოვლენების მიმართ.

ავტორმა წიგნს სათაურიც „ჩემი წილი საუკუნე“ სათანადოდშეურჩია, იგი თავიდანვე გვამზადებს მოვისმინოთ ამბავი ავტორის წილი ცხოვრების შესახებ. ამ მემუარულ წიგნში მან შეძლო დახვეწილად და ისტორიული თანმიმდევრულობით გადმოეცა30-იანი წლებიდან მოყოლებული ბათუმური ისტორიები. მათ შორის მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ფაქტები, ქალაქის კულტურული ცხოვრება, ბათუმის ახალი თეატრის გახსნა, მისი მოგზაურობებისა და სპექტაკლების, გასტროლების საინტერესო ისტორიები.

მიუხედავად არაერთი წიგნისა და კრებულისა დრამატურგი თავისიცხოვრების უმთავრეს წიგნად მაინც ,,ჩემ წილ საუკუნეს“ თვლიდა, რომლის გამოცემასაც, სამწუხაროდ, ვეღარ მოესწრო. წიგნის ხელნაწერი ვარიანტი მართალია რედაქციაში თავად მიიტანა, მაგრამ მალევე გარდაიცვალა. არადა როგორ უნდოდა წიგნის გამოცემას მოსწრებოდა. მისი გარდაცვალებიდან მალევე დაიბეჭდა ეს მემუარისტული წიგნი, რომელშიც

დრამატურგმათავისი განვლილი ცხოვრების ისტორიები ძალიან საინტერესოდ უამბო საზოგადოებას და კიდევ ერთხელ ნათელი გახადა თუ რამდენად საინტერესო და გამორჩეულ პიროვნებასთან გვქონდა საქმე.

შოშიას ქალიშვილმა, მარინა ჩხაიძემ, მამის გარდაცვალების შემდეგ, ,,აჭარის'' რედაქციას წიგნისათვის მანამდე უცნობი ხელნაწერებიც მიაწოდა, ურომლისოდაც ეს კონკრეტული წიგნი და ზოგადად ქართული მემუარისტიკა ბევრსაინტერესო, ისტორიას დაკარგავდა.

სხვა წიგნების მსგავსად ამ შემთხვევაშიც რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მიტანილი ხელმნაწერებში მაინც აღმოჩნდა ისეთი თავები,რომლებიც ცენზურამაკრძალა. ამიტომაც ვითარების შეცვლის იმედით, გაზეთის რედაქტორმა ხელნაწერი მასალის გამოქვეყნება სამომავლოდ გადადო და ვითარების სასიკეთოდ შემობრუნებისთანავე დაბეჭდა იგი. ამასთან დაკავშირებით კი მაშინდელი რედაქტორი ანზორ ზამბახიძე ასეთ კომენტარს აკეთებს: ,,ეს დრო-ჟამიც დადგა. ღმერთით, აწ უკვე ვერავინ დაბორკავს სიტყვას, მართალ სიტყვას ამაგდარი მწერლისა და მოქალაქის - მის, უდავოდ, საგულისხმო ნააზრევს, იმ წიგნის ერთგვარი დამატების სახით, ცალკე გამოცემად ვიხილავთ. მით უმეტეს, რომ წლევანდელი წელი ავტორისათვის საიუბილეოა - 29 თებერვალს 80 წელი შეუსრულდა მისი დაბადებიდან'' (ზამბახიძე ანზორ, ,,გამოუქვეყნებელი ფრაგმენტები წიგნისა „ჩემი წილი საუკუნე'', გ. ,,აჭარა''. N142, ბათუმი,2004).

მემუარისტული წიგნი ,,ჩემი წილი საუკუნე'' მსუბუქად საკითხავი, დამაფიქრებელი და საინტერესო მოგონებების კრებულია, რომლის ფურცლებზე შეხვდებით არაერთ ბევრისთვის საყვარელ ადამიანს, პოპულარულ ბათუმელებს, გამოჩენილ უცხოელ თუ ქართველ ხელოვანებს და რაც მთავარია, მწერალს დაემგზავრებით სხვადასხვა მოგზაურობაში. ასევე წიგნში გადმოცემულია ავტორის ცხოვრებისეული თუ თეატრალური შთაბეჭდილებები, გაეცნობით ავტორისეულ მოსაზრებებს ცხოვრებისეულ

საკითხებზე, იუმორისტულ ჩანახატებს, მოგონებებს იმ ადამიანებზე, რომლებმაც მის ცხოვრებას განსაკუთრებული ხიბლი მისცეს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ შოშია ჩხაიძის წიგნში არაერთი გამოჩენილი მანდილოსანი ფიგურირებს, მათ შორის ვერიკო ანჯაფარიძე, კლაუდია კარდინალე, ალისა ფრეინდლიხი, ულამაზესი პოლონელი მონაზონი. შოშია და ქალები ხომ ამოუწურავი თემაა. მისთვის ქალი განსაკუთრებული ფენომენი, უსაზღვროდ დიდი იყო და სწორედ ამ პატივისცემისა და სიყვარულის გამომისი პიესები მდიდარია ღირსეული ქალებით, რომლებიც ხშირად გადამწყვეტ როლსაც თამაშობენ.

ცირა გელოვანი, მარიკა ჩოდრიშვილი,ფატი გურიელი ის ქალბატონები არიან, რომლებიც გამორჩეულ ლიტერატურულ პერსონაჟებს წარმოადგენენ, ასეთივე წარმატებით ინაცვლებენ ისინი სცენაზე და დამამახსოვრებელ სცენურ სახეებს ქმნიან. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით თუ დავალაგებთ, ფატი გურიელის პერსონაჟი რიგით მესამეა შოშია ჩხაიძის ქალ პერნონაჟებს შორის, თუმცა ჩვენი ღრმა რწმენით, იგი ავტორის პირველი, ყველასგან გამორჩეული გმირი ქალბატონია - სამართლიანი, ზნეობრივად და სულიერად სრულქმნილი, ამაღლებული, უკომპრომისო, მებრძოლი. მართალია თითოეული ეს გმირი სხვადასხვა თაობის წარმომადგენელ, სოციალური წარმოშობის, შინაგანი განწყობისა და მაღალი იდეალების მქონე ქალბატონებს წარმოადგენენ, მაგრამ ამასთანავე ეროვნული ტრადიციების სიმტკიცით, სიწმინდით გამოირჩევიან.

ის, რომ ქალების მიმართ განსაკუთრებული მოწიწება ჰქონდა ავტორს, შემდეგი ამონარიდიდანაც კარგად ჩანს: ,,ჩემი ცხოვრების მანძილზე ოთხი ქალი იყო ჩემს გვერდით. ამ წიგნზე მუშაობას რომ მოვრჩი და ხელნაწერს გადავხედე, უპირველეს ყოვლისა, გამაოცა იმან, რომ სწორედ მათ შესახებ არაფერი მქონია ნათქვამი. ვერ შევძელი თუ ვერ გავბედე. არადა, ოთხივემ მე მომიძღვნა მთელი თავისი ცხოვრება. მე კი მათ ვუძღვნი ამ წიგნს, ესე იგი მთელ ჩემს ცხოვრებას. დედაჩემს, მეუღლეს ჩემსას - ეთერს, დედამისს -

ქალბატონს ცაცას და ჩემს ქალშვილს- მარინას. შეიძლება, არც დამთავრებულიყო ეს წიგნი, კიდევ ერთი ქალი რომ არ გაჩენილიყო ჩემს ცხოვრებაში - შვილიშვილი ნინა, რომელმაც მთლიანად შეცვალა, შეიძლება, გამიხანგრძლივა კიდეც ცხოვრება“ (ჩხაიძე, 1998:5).

ყველაფერთან ერთად, შოშია ჩხაიძე ,,ჩემ წილ საუკუნეში'' ქართული თეატრის შემოქმედებითი საქმიანობის ფართო პანორამას გვიხატავს. ათობით თეატრში გააცოცხლეს მისი პიესების ეპიზოდები. იგი პირველ პირში გვიამბობს უჩვეულო ამბებს, ბალტიის ზღვიდან ჩინეთის დიდ კედლამდე. წიგნში ასევე ვხვდებით უამრავ გამოჩენილ მწერალს, ხელოვანს, საზოგადო მოღვაწეს, პოლიტიკოსსა თუ რიგით მოქალაქეს.

დრამატურგი განსაკუთრებული გრძნობით, მადლიერებითა და სიყვარულით საუბრობს მისი პიესების მსახიობ შემსრულებლებზე, მათ შორის ისეთ გამორჩეულ ადამიანებზე,როგორებიც იყვნენნ ვერიკო ანჯაფარიძე, ეროსი მანჯგალაძე, დოდო ალექსიძე, გიგა ლორთქიფანიძე და სხვები. წიგნი მთლიანად ავტობიოგრაფიულია და სენტიმენტალურიც. თუმცა, რამდენიმე თავი იკითხება როგორც ცალკე მყოფი, დამოუკიდებელი ნოველების კრებული.იგი ამავე დროს წარმოგვიდგენს ავტორს, როგორც გამორჩეულ პროზაიკოსს, რომელიც სხვადასხვა ამბავთან ერთად გვთავაზობს ცხოვრებისეულ კურიოზებს, გონებამახვილურ პასაჟებს, სახალისო ისტორიებს, ანეკდოტებს, პარალელებს სხვადასხვა მოვლენებთან, ყველაფერ იმას, რაც საინტერესოს ხდის წიგნს და სიმსუბუქეს ანიჭებს მას.

შოშია ჩხაიძემტელეკომპანია ,,კავკასიისათვის'' მიცემულ თავის უკანასკნელ ინტერვიუში ბევრ რამეს ახადა ფარდა: ,,...ვწერდი ჩემს მთავარ წიგნს. მასში გადმოცემულია, რაც ჩემს გარშემო ხდებოდა ამ მეოცე საუკუნეში, რომლის უდიდესი ნაწილი მე განვვლე სხვებთან ერთად. რაც მოხდა ჩემს ცხოვრებაში და, რაც საინტერესოა სხვებისთვის, ესე იგი, რაც მეხსიერებას შემორჩა, რაც ჩემია, მხოლოდ მე ვიცი, მაგრამ სხვებსაც ეხება, სხვებმაც უნდა იცოდნენ'' (ჩხაიძე, 1998:5).

ჩვენი ღრმა რწმენით, ალექსანდრე ჩხაიძის ამ ავტობიოგრაფიულმა წიგნმა სრულიად გაამართლა ჩაფიქრებული იდეა. წიგნში მოცემული სიუჟეტები, მეოცე საუკუნეში განვითარებული მოვლენების უმნიშვნელოვანესი მასალა მოგვაწოდა. წიგნი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიურ და, ცხადია, უპირატესად თეატრალურ ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ყოველი მათგანი საინტერესო და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ავტორისათვის, არამედ ქართული ისტორიისთვისაც.

ამდენად, ავტორს სრული საფუძველი გააჩნდა ნაკლები მოკრძალება გამოეჩინა და, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა, ქვესათაურად დაეწერა - ,,დამატებითი ლიტერატურა ჩვენი უახლოესი ისტორიისა''. ამასთან დაკავშირებით ავტორი წიგნის წინასწარ სათქმელშიც აღნიშნავს, რომ: ,,მინდოდა წიგნზე ქვესათაურად მიმეწერა - ,,დამატებითი ლიტერატურა ჩვენი უახლესი ისტორიისათვის'', დაახლოებით ისე, მასწავლებელი რომ გვირჩევდა საკითხავ წიგნებს, ამა თუ იმ საგნის უფრო ღრმად დაუფლებისათვის. მაგრამ ვერ ვიკისრე ასეთი პასუხისმგებლობა, რადგან აბსოლუტური სიმართლე არ არსებობს. საერთოდ, არაფერი არსებობს აბსოლუტური'' (ჩხაიძე, 1998: 3)

ღირსეული მამულიშვილისა და გამოჩენილი დრამატურგის ,,მთავარ წიგნს'', წინათქმაში ახლავს მეტად გულში ჩამწვდომი აუხდენელი ნატვრა: ,,თურმე ბავშვი 6-7 წლის ასაკში იმახსოვრებს ბაბუას. მე ძალიან მინდა ნინიკომ დამიმახსოვროს. ამიტომ სხვა გზა არა მაქვს, აუცილებლად უნდა ვიცოცხლო XXI საუკუნის დადგომამდე. ნინიკოსაც ასე დავპირდი, ბავშვის მოტყუება კი, მოგეხსენებათ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება''. დამერწმუნებით, ეს უკანასკნელი ავტორისეული პოზიციის ძალიან ამაღელვებელი პასაჟია(ჩხაიძე, 1998: 4).

წიგნში უსაზღვრო გრძნობებთან ერთად იკითხება იუმორიცა და აღუწერელი სევდაც მიმავალი კაცისა. წიგნს ორმაგად ამძაფრებს ავტორისეული იმედისადა, ამავდროულად, უიმედობის გრძნობა, ერთდროულად საკუთარი თავისთვის გამამხნევებელი შემოძახილები,

უანგარო სიყვარული მოყვასის, ოჯახისა და სამშობლოს მიმართ, ჭეშმარიტი მოქალაქისა და ადამიანის პასუხისმგებლობის გრძნობა.

,,ჩემი წილი საუკუნე“ აგრძელებს ქართული მემუარისტული პროზის ტრადიციებს და მსგავსად მეოცე საუკუნის ისეთი გამორჩეული მემუარული ტექსტებისა, როგორებიც იყო დავით კლდიაშვილის ,,ჩემი ცხოვრების გზაზე“, შალვა დადიანის ,,რაც გამახსენდა“, კონსტანტინე გამსახურდიას ,,ლანდებთან ლაციცი“, შოშია ჩხაიძეც გვთავაზობს თავისი ცხოვრების ერთგვარ ანალიზს, რომელიც მისი შემოქმედების გასაღებსაც წარმოადგენს.წიგნის დასაწყისში იგი წერს: ,,ეს წიგნი, დამაწერინა შიშმა, რომ ჩემზე უკეთ ვერავინ იტყვის ჩემს სათქმელს, რომ ამით რაღაც შემიძლია შევმატო მეოცე საუკუნეს - რაც ვერ შევძელი ვერც პიესით, ვერც ფილმით, ვერც პროზით თუ საჯარო გამოსვლით. გამოუთქმელი აზრი და გრძნობა იგივეა, რაც აღმოუჩენელი და გამოუქვეყნებელი განძი. ადრე თუ გვიან ამ განძს მაინც აღმოაჩენს ვიღაც, მოიხმარენ მომავალი თაობები. გამოუთქმელი აზრი და სიტყვა კი ქრება, კვდება ამ ქვეყნიდან ჩვენს წასვლასთან ერთად! ჩვენ არ გვაქვს ამის უფლება“ (ჩხაიძე, 1998: 3).

შოშია ჩხაიძის ყოველი მოთხრობა, მისთვის დამახასიათებელი იუმორის, ირონიისა და ხალასი გრძნობით შექმნილი ნამუშევრებია. მისეული თხრობის სტილი, პირდაპირობა, ხალასი იუმორი, დიდი პროფესიონალიზმით ხასიათების ძერწვა, გულახდილობა და ღიაობა თითოეულ მათგანს ყოველთვის თან სდევს. სიმართლე, რომელსაც ყველა გაურბოდა ან თვალს ხუჭავდა, ავტორს თავის შემოქმედებაში მუდამ სააშკარაოზე გამოჰქონდა.

მისი შემოქმედების არსი ისტორიისა და რეალობის ერთიანი გააზრებით საზრდოობდა. ამის საუკეთესო ნიმუშია ეს ამონარიდიც წიგნიდან: ,,სულმნათ ილიას დიდ პატივს ვცემ, გენიალურ პუშკინსაც, მით უფრო ჩემს კოლეგა შექსპირსაც, მაგრამ მეც მაქვს ერთგვარი უპირატესობა - არც ერთ მათგანს არ უცხოვრია მეოცე საუკუნეში, მე კი ვიცხოვრე, თანაც იმდენი რამ ვნახე და გადავიტანე, ადამიანთა ასეთი ჟლეტა, განუკითხაობა, ერთმანეთის გაყიდვა,

ქრისტეს ათივე მცნების ფეხქვეშ გათელვა, რასთანაც ვერც პუგაჩოვის ,,ბუნტი'' ახლოს ვერ მივა. თანაც ისე ვაბურთავეთ ისტორია, ისე გავაუკუღმართეთ და ჩავჩქმალეთ, მოსარგები მოვირგეთ, გასანადგურებელი გავანადგურეთ რომ ამ ლაბირინთიდან თავდასაღწევად ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ, რომ ხმით მაინც შევუმსუბუქოთ ცხოვრება მომავალ თაობებს, რომელთაც, ისედაც უამრავ თავსატეხს ვუტოვებთ. მაგრამ ამისათვის ძალიან ცოტა დრო გვრჩება. ყველამ თავისი წილი სიმართლე უნდა თქვას. მის სათქმელს სხვა ვერ იტყვის, თუკი ჩემს თაობას კიდევ შემორჩა ამის უფლება და უნარი, თუ ჩვენი გზები საბოლოოდ არ გადაგვარდა. მე ამისთვის კალამი მარგუნა ბედმა''(ჩხაიძე, 1998:7).

სწორედ იმისთვის აიღო კალამი ხელში, რომ გულღიად ეთქვა სათქმელი. მოგონებების ეს წიგნი კი საინტერესოა ყველა თაობის მკითხველისათვის და შოშია ჩხაიძის შემოქმედებით დაინტერესებული ადამიანებისთვისთვის.

თურქეთში მცხოვრები ქართველების, ჩვენებურების თემატიკაზე დაწერილი წიგნის ავტორობის სახელითაც იწონებს თავს ალექსანდრე ჩხაიძე. ათას საქვეყნო საქმეზე თავგადადებულ, ბევრის მნახველსა და ბევრის მცოდნეს, მოსვენებას არ აძლევდა მშობლიური მიწიდან მოკვეთილი, უცხო ქვეყანაში მცხოვრების ხალხზე ფიქრი. მუდმივად ძიების პროცესში მყოფს თურქეთის ჩვენებურებთანაც ჩაუღწევია, ცოტა ხანი უცხოვრია მათთან, წინაპართა ნაკვალევთან მიახლოებულა და შემდეგ წიგნად უქცევია იქ ნანახი და მოსმენილი.

მას ნაწარმოების შესავალ ნაწილშივე ავტორი ყურადღებას ამახვილებს თურქეთში მცხოვრები ქართველების დამოკიდებულებასა და მონატრებას სამშობლოში მცხოვრები ნათესავების, მეგობრებისა თუ უბრალოდ ქართველების მიმართ. იგი მხატვრულად გადმოგვცემს მათ ემოციებს სამშობლოსადმი მონატრებასა და სიყვარულს, საქართველოსთან დაშორების სევდას. თურქეთელი ქართველების სტუმარ-მასპინძლობასაც განსაკუთრებული სიფაქიზით აღწერს დაწინაპართა შესახებ ნაამბობ,

ლეგენდად ქცეულ ისტორიებს, ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ მომენტებს სულში ჩამწვდომად გადმოგვცემს და ერთგვარ სევდასაც გვგვრის.

განსაკუთრებულად სასიამოვნო საკითხავია ის მომენტები, თუ როგორ უხაროდათ და როგორ უნდოდათ სტამბულში საქართველოდან ჩასული სტუმარი მოენახულებინათ მასპინძლის ნათესავებს, ნაცნობებს, მეზობლებსა და უბრალოდ თანამშრომლებს და ამით შეეგრძნოთ ასე ახლოს მყოფი და ამავე დროს ასე დაშორებული საქართველოს სურნელი. ავტორი იხსენებს როგორი გულანთებული, როგორი სიხარულითა და იმედებით უწერდნენ წერილებს საქართველოში გამოსატანებლად, აწვდიდნენ გრძელ სიებს, ამა თუ იმ ადამიანის საპოვნელად და თურქეთში მცხოვრები მათიანისგან სამახსოვროს გადასაცემად. თავის მხრივ, შოშია ჩხაიძე ყველას ჰპირდებოდა, მაგრამ იმასაც იაზრებდა, რომ ამხელა მისიის შესრულება ძალიან რთული იქნებოდა. ამ ისტორიებში იკვეთება საბჭოთა სახელმწიფოს სისასტიკე, რომელმაც ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტა ათასობით ოჯახის ბედი, ოჯახის წევრები ერთმანეთს დააშორა და რკინის ფარდის მიღმა მათთან ურთიერთობის უფლებაც ჩამოართვა.

თითქოს შოშია ჩხაიძის იქ ჩასვლა ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი იყო, საქართველოსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველებს შორის, ვინაიდადნ საბჭოეთიდან თურქეთში მოხვედრა ძლიან რთული იყო და მხოლოდ ერთეულებს შეეძლოთ ამ ბარიერების დაძლევა. ამას ავტორი აღწერს კიდეც: ,,თურქეთის ვიზის მიღება, საერთოდ, რთული და ხანგრძლივი პროცედურაა. პირველ რიგში მიპატიჟება უნდა გქონდეს ნათესავიდან ან ნაცნობიდან. ამის საფუძველზე ვიზების ადგილობრივი განყოფილება გაძლევს ანკეტებს, რომლებიც თურქულ ენაზე უნდა შეივსოს და გაიგზავნოს მოსკოვში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოში. იქიდან ეს ანკეტები ისევ თურქეთში იგზავნება საკონტროლო შეკითხვისთვის მიმპატიჟებელთან, თანახმაა თუ არა, სტუმრად მიიღოს. მისი დასტურის შემდეგ საბუთები ბრუნდება კვლავ მოსკოვის საელჩოში. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ვიზის რიგის მიხედვით

გაფორმება, მთხოვნელისათვის გაგზავნა, საზღვარგარეთული პასპორტის მიღება და ასე შემდეგ'' (ჩხაიძე, 1991:13).

ავტორი „ჩვენებურებში“ თურქეთში მცხოვრები ქართველების ყოველდღიურობას აღწერს და აოცებს ის ფაქტი, რომ მათ მისი პიესების შესახებაც ყველაფერი იციან, იციან ქართული თეატრის წარმატების შესახებ, შოშია ჩხაიძის პიესების ყოველი დეტალი, გადათარგმინილი ჰქონდათ ,,ხიდი'', ,,შთამომავლობა'', ,,სამიდან ექვსამდე'' და სხვები.

ეს ყველაფერი აოცებდა და ახარებდა კიდეც. მას აღაფრთოვანებდა ის, რომ სტამბულის ქუჩებში მოსეირნეს, იქაურები აჩერებდნენ, გამოელაპარეკობდნენ და მათ ისტორიებს თვალებგაბრწყინებულები უამბობდნენ. დრამატურგი წერს: ,,ჯერ კიდევ ბათუმიდან ვიცოდი, რომ ყველაზე მეტად ჩვენებურების სიმრავლე ინეგოლიოში იგრძნობოდა. ამაში უმალ დავრწმუნდი, ქუჩაში რომ გამოვედით. ვახტანგ მალაყმაძე ბუნებით ენერგიული, მოძრავი, ხმამაღლა მოლაპარაკეა. მასთან ქართულად მოასუბრე უცხო კაცს რომ დაინახავდნენ, გამვლელები ნაბიჯს უნელებდნენ, ქუჩის მეორე მხრიდან გადმოდიოდნენ, ხელს მართმევდნენ, თავიანთ ქართულ გვარებს მისახელებდნენ, ოჯახში მეპატიჟებოდნენ, ხელს მართმევდნენ, განსაკუთრებით ერთი ხნიერი კაცი, იურისტი, რომელიც ხასან მჟავანაძედ გამეცნო. ლიტერატურულ ლექსიკონს ვადგენო; ძალიან მთხოვა, მოკლე ცნობები მივაწოდო თანამედროვე ქართველ მწერლებზე'' (ჩხაიძე, 1991:45).

ავტორიგვიამბობს იმასაც თუ როგორ კომპაქტურად დასახლებულან სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები მაჭახლელები, ჩაქვისთაველები, გურულებიდა ამით შეუნარჩუნებიათ თვითმყოფადობა. ქართული ენის შესანარჩუნებლად ჯგუფ-ჯგუფად სახლდებოდნენ და მათი ისტორიის შესანარჩუნებლადვე, ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ თურმე. მათში ქართული სამზარეულოს სიყვარულიც იგრძნობოდა, რომელიც ავტორის ამ მინაწერშიც კარგად ჩანს: ,,ერთი იმათგანი, გოლჯუკიდან რომ გამოგვყვა, სულ

მეხვეწებოდა, ჩვენებური ჭადი და ლობიო, ან სარმა არ გენატრება, ცოტა ხნით მესტუმრე ოჯახშიო''(ჩხაიძე, 1991:51).

ავტორი თურქეთში მცხოვრები ჩვენებურების ისტორიების მიმოხილვასთან ერთად, ქართული ეკლესია-მონასტერის შესახებაც გვაწვდის ინფორმაციებს: ,,სტამბოლის ერთ-ერთ განაპირა უბანში დგას პატარა კათოლიკური ტაძარი - ,,წმინდა მამათა სავანე''. თუმცა, კაცმა რომ თქვას, აქ აღარაფერია ქართული, გარდა - ისტორიისა, ვინაიდან, ეკლესია რომ არსებობდეს, უპირველეს ყოვლისა, მრევლი უნდა ჰყავდეს. ამ ტაძრის დღევანდელი წინამძღოლი თურქეთის სახელმწიფო მოქალაქეა" (ჩხაიძე, 1991:81).

ავტორი აქვე ცნობილი თურქოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ნოდარ კომახიძის მიერ მიწოდებულ საინტერესო ფაქტებსაც გვიზიარებს: ,,აქ (თურქეთში) ინახება ქართული ხატები წარწერით: წმინდაო ნინო, საქართველოს მფარველო, ევედრე ჩვენთვის! ,,მარიამ ღვთისმშობელო, იბერიის მოციქულო, მეოხ მეყავნ ჩვენ ცოდვილთა'', ,,ლურდის სასწაულმოქმედი ღვთისმშობელი ქართველ კათოლიკების მონასტერში ქ. კონსტანტინეპოლს'' (ჩხაიძე, 1991:82).

ავტორი დიდი გულისტკივილით ყვება ქართულ ეკლესიებში მრევლის შემცირების შესახებ, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მღვდელთმსახურები, რომლებსაც თურქეთის მოქალაქეობა აქვთ, წელიწადში რამდენჯერმე, სადღესასწაულო დღეებში იანვრის მეორე კვირას, წმინდა ნინოს ხსენების დღეს, მაინც ახერხებენ წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე ჩატარებას.

ალექსანდრე ჩხაიძემ თურქეთში ჩასვლის მიზანი, რომ მოევლო იქაურობა, შეხვედროდა ჩვენებურებს, ცოტა ხანი ეცხოვრა მათთან, მოევლო ქართული ისტორიული ძეგლები, მიეგნო ქართველების ნაკვალევისთვის, ერთმანეთთან დაეკავშირებინა ბედის უკუღმართობის გამო დაშორებული ნათესავები და ამისთვის გამოეყენებინა მისი ჟურნალისტური თუ თეატრალური პროფესია, ნამდვილად შეასრულა. რა თქმა უნდა, თურქეთში

ორკვირიანი მოგზაურობისას იმაზე მეტი ნახა, ვიდრე დაგეგმილი ჰქონდა. სწორედ იგი გახდა მისთვის ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი საზღვარგარეთული მოგზაურობა. თუმცა ამ ყველაფერთან ერთად, ავტორი მაინც გულდაწყვეტით საუბრობს ქართულსა და თურქულ თეატრებს შორის ურთიერთობის არარსებობაზე:,,მიუხედავად ,,კარის მეზობლობისა'', თურქული თეატრის შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. თურქებსაც ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ქართულ თეატრებზე. ამ ბოლო დროს ყინული თითქოს გალღვა. ორიოდე წლის წინათ მოსკოვში ჩატარებულ ფესტივალზე სტამბოლის თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელობას რომ შევხვდი, ცოტა არ იყოს გამიკვირდა კიდეც. მაშინ იმ ქალბატონმა სავიზიტო ბარათიც დამიტოვა, თურქეთში თუ მოხვდით, აუცილებლად მინახულეთო'' (ჩხაიძე, 1991:90).

ავტორისთვის თეატრი ყველაზე ახლოს იდგა, იგი თვლიდა, რომ სწორედ თეატრი ასრულებდა განმსაზღვრელ როლს საზოგადოების განვითარებაში. საინტერესოა მისი მოგონება სამსუნის თეატრში სტუმრობაზე:,,ამ შენობაში შემოსვლამდე ჩემთვის ყველაფერი უცხო, ახალი და მოულოდნელი იყო, მაგრამ როგორც კი აქ შემოვდგი ფეხი, მაშინვე ჩვეულ ატმოსფეროში ვიგრძენი თავი. იმიტომ, რომ აქ თეატრია და მე ამას ვგრძნობ მთელი ჩემი არსებით, ყნოსვითაც კი. მე ჯერ არ ვიცი, რა თეატრია ეს, მუსიკალური თუ დრამატურგიული, კარგი თუ ცუდი. იქნებ სულაც არაა თეატრი იმ გაგების, მე რომ წარმომიდგენია. მაგრამ ამ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებთან შეხვედრა, მოსალმება, სახეებზე, თვალებში გამოხატული ცნობისმოყვარეობა მამხნევებს და მაახლოებს მათთან'' (ჩხაიძე, 1991:249).

თურქეთში მცხოვრები ჩვენებურების ცხოვრება იქცა ალექსანდრე ჩხაიძის შემოქმედების შემაჯამებელ თემად. მისთვის ეს საკითხი მეტად მტკივნეული იყო, რაც წიგნშიც ნათლადაა მოცემული. ძალიან წუხდა და განიცდიდა სხვა ქვეყნის მიწაზე მცხოვრები ქართველების ბედსა და მომავალზე. ბევრი იმოგზაურა, ცოტა ხანს იცხოვრა მათი ცხოვრებით,

შეისწავლა ყველაფერი რისი საშუალებაც ჰქონდა, ციხეში მყოფი პატიმრების ყოფაც და დაგვიტოვა არაჩვეულებრივი ცოცხალი სურათები, იქაური ქართველობისა.

წიგნის ერთგვარ რეზიუმეს წარმოადგენს თურქეთის ციხეში „სტუმრობა“, სადაც ნანახ ამბავსაც ყვება, მაგრამ საინტერესო ერთი რამაა, რომ აქაც მის ქვეყანაში არსებული სახელმწიფო მანქანის კრიტიკას ახერხებს: ,,მოხუცი კაცის აქ ყოფნა გამიკვირდა ძალიან, ისეთი რა უნდა დაეშავებინა, ციხეში რომ მომხვდარიყო! ხე მოჭრა უნებართვოდ. ბორხჩაში უკვე ამიხსნეს უნებართვოდ ხის მოჭრა აკრძალულიაო. გავიფიქრე: ჩვენთანაც ასე რომ უფრთხილდებოდნენ ტყეს, ასეთივე სიმკაცრეს იჩენდნენ ხის უნებართვოდ მოჭრის გამო, მთიანი რაიონები ასე უღმერთოდ აღარ დამეწყრილიყო''(ჩხაიძე, 1991:268).

მწერალი ,,ჩვენებურებში“ სრულად ითავსებს მემატიანეს მისიას, როცა თანამედროვე მოვლენებსა და მეზობელი სახელმწიფოს, თურქეთის ისტორიულ მოვლენებზე გვესაუბრება. ძალიან საინტერესოა ავტორისეული ხედვითი აღწერილობით გადმოცემული ამბავი, თურქეთის ქალაქ ბორჩხას შესახებ. აქაური შთაბეჭდილებები, განცდები და ემოციები მკაფიოდ აღწერს მწერლის დამოკიდებულებასადა ტკივილებს.

მწერალი იმასაც აღნიშნავს, რომ ,,ბორხჩას“ ქედასა და ხულოს ადარებენო, მაგრამ ავტორისეული ხედვით ბორჩხა არცერთს არ ჰგავს და მისი ავთენტური გარემო ქართულ სულს ინარჩუნებს. თურქეთის სარფსაც განასხვავებსქართული სარფისგან და მიზეზსაც გვეუბნება: „იცით, რატომ? იმიტომ, რომ გაღმა სარფში, ნახევარსარფში, არის ერთი პატარა მაღაზია, რომლის მსგავსს, მთელმა ჩვენმა საბჭოთა ვაჭრობამ (1988 წ.) რომ მოინდომოსვერაფრით ვერ გახსნის ყველასათვის გასაგონი მიზეზის გამო. ყოველი ქალაქი, სოფელი თუ სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, იმით ჰგავს ერთმანეთს ან განსხვავება ერთმანეთისგან, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები, როგორია მათი კეთილდღეობა. რა მსგავსებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ერთ

ქალაქში ხუთას გრამ კარაქს იძლევიან თვეში კაცის თავზე, ხოლო მეორეში - ოცდაათი დასახელების ძეხვია ვიტრინაში, მიუხედავად იმისა, რომ ერთიც და მეორეც ზღვისპირა ქალაქებია და მოსახლეობაც თითქმის თანაბარი.“

მოცემული ნაწყვეტი ნათლად ასახავს მწერლისთვის დამახასიათებელ გულახდილ პოზიციას. მის დამოკიდებულებასა და სატკივარს საქართვლოს ისტორიული ნაწილების მიმართ. გულისტკივილით აღწერს თუ როგორი უფსკრულია ამ ორ სახელმწიფოს შორის. მიზეზი კი მხოლოდ სახელმწიფოების მტრული დამოკიდებულება იყო.

კრებულში ,,ერთხელ'', ალექსანდრე ჩხაიძეს თავმოყრილი აქვსნოველები, ესკიზები, ჩანახატები და შეგონებები. ის რაც თითოეულმათგანსგამოარჩევსგახლავთ მისთვის დამახასიათებელი გამორჩეული წერის მანერა და ყველასაგან განსხვავებული მხატვრული ხერხები.

ამ წიგნისთვის რომელიმე ჟანრის განსაზღვრა, ერთობ რთულია.წიგნი ,,ერთხელ''ფსიქოლოგიურიცაა, სოციალური, ტრაგიკული, კომიკური და სათავგადასავლოც. ყველაზე მთავარი კი ის გახლავთ, რომ წიგნი საუკეთესოდ ასახავს საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელ ასე ნაცნობ და ამაფორიაქებელ ცხოვრებისეულ რეალობას. ეპოქალური მოვლენების აღწერის მანერას, საოცრად ესადაგება ავტორისეული თხრობის სტილი. წიგნში ვხვდებით განსაცვიფრებელსა და ამაფორიაქებელ, გამახალისებელსა და დამაღონებელ, ცრემლიანსა და კომიკურ ამბებს.

ავტორი წიგნის დასაწყისში წერს: ,,ჩვენთან თუ უცხოეთში ნანახი და განცდილი, მოსმენილი თუ სადღაც ამოკითხული, შეხვედრები და შემთხვევები, კურიოზები და პარადოქსები, მწერლური და თეატრალური არაკები ან ანეკდოტები, თითქმის დაუჯერებელი ამბები ცალკე წიგნად შევკარი და ვთავაზობ მკითხველს'' (ჩხაიძე, 1993:3).

ავტორი მასში ბევრ საინტერესო თემაზე გვესაუბრება. ისეთებზე როგორიცაა საბჭოთა განათლება, მოგზაურობა, დასვენება, ცხოვრების ხარისხი, მისი პრემიერები, სხვადასხვა წრის, პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრა და საუბრები. მოყვანილი აქვს თავისი განხილვებიდა ციტირებები ცნობილი ფილოსოფოსების, მწერლების, მომღერლებისა და მსახიობების გამონათქვამები. იხსენებს უცხო ქვეყნებში მოგზაურობისისტორიებს. ასევე დიდი გულისტკივილით საუბრობს თავისი გეგმების განუხორციელებელ მიზეზებზე: ,,დიდხანს ველოლიავებოდი იდეას, შემეგროვებინა და წიგნად გამომეცა ანეკდოტები, მაგრამ ეს ჩანაფიქრიც განუხორციელებელი დარჩა, რადგან ზოგიერთი ანეკდოტის გამოცემა კი არა, მათი მოყოლა, როგორც მაშინ ამბობდნენ, ციმბირს უკან დაგატოვებინებდა. უკეთესი დროს დადგომის იმედით ანეკდოტების შესაგროვებლად და შესანახად კი ნებისყოფა არ მეყო. ამიტომ, ბევრი მათგანი, სამწუხაროდ, სამუდამოდ გაქრა, დაიკარგა'' (ჩხაიძე, 1993:4).

ალ. ჩხაიძე მოცემულ წიგნში სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარდა, მისი პიესების ,,ხიდის'', ,,შთამომავლობის'', ,,ჩინარის მანიფესტის'' სცენაზე დადგმისა და განხილვების შესახებაც გვიყვება. ეროსი მანჯგალაძესთან და სხვა მსახიობებთან ურთიერთობების, დამეგობრებისა და თანამშრომლობის ისტორიებსაც საინტერესოდ გვიმხელს. განსაკუთრებული სიყვარულით საუბრობს ეროსისთან გატარებული დღეებისა და სტუმრობის შესახებ.

შემოქმედის წიგნში ,,ჩემი წილი საუკუნე'' გადმოცემული მოგონებები, მემუარიული ჩანაწერები, ყოველდღიური თეატრალური თუ ყოფითი ისტორიები, ნაწილობრივ მეორდება ამ უკანასკნელ კრებულში ,,ერთხელ''. ავტორი ცალკეული თავებით ყოფს ურთიერთგამომრიცხავ, ინდივიდუალურ მოვლენებს და ერთწიგნად შეკრულს გვთავაზობს. ამ წიგნის ღირსება კი იმაში მგდომარეობს, რომ ავტორი არ იფარგლება ერთი კონკრეტული თემის თხრობით. მისი მრავალფეროვანი პროფილი მკითვხელისთვის ძალიან

საინტერესო, ინფორმაციული და შემეცნებითი საკითხავია. შოშია ჩხაიძე შესაძლებლობას გვაძლევს პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად, მისეულად გადმოცემულსა და აღწერილ სახალისო, იუმორისტულ მოვლენებსაც ვეზიაროთ.

§3. მოქალაქეობრივი მრწამსი

ბუნებით მუდამ მებრძოლი, თავისუფალი სულის პატრონი და სრულიად უკომპლექსო ადამიანი იმდენად აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა, სიმშვიდისთვის თითქმის ვერასდროს იცლიდა. მუდამ მუშაობაში იყო და მაინც დროის უმეტეს ნაწილს ნაცნობ-მეგობრებთან ერთად ატარებდა. ყველაზე უცნაური კი ის გახლდათ, რომ შოშიასაგან ნათქვამი სიმართლე, მისი შეუვალი ხასიათი, პირდაპირობა არავისთვის იყო საწყენი. სხვების გაქილიკება-გაკრიტიკებსათან ერთად, ყოველთვის გამონახავდა ხოლმე საკუთარი თავის გაკრიტიკების მიზეზებსა და სხვებისგანაც შეეძლო ამის ატანა, რადგან მისთვის ჯანსაღ ურთიერთობებში უმთავრესს იუმორის გრძნობა წარმოადგენდა.

ალექსანდრე ჩხაიძე თავის ქალაქზე, ბათუმზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი გახლდათ. მიუხედავად უამრავი შეთავაზებისა, დედაქალაქში საცხოვრებლად მაინც არ გადასულა. მისთვის ბათუმი და ბათუმელები იყო ყველაფერი, რა თქმა უნდა, სხვა ქალაქებიც უყვარდა და მათი ბედიც აღელვებდა, მაგრამ იგი ბოლომდე მაინც ბათუმისერთგული დარჩა.ბათუმელებსაც ძალიან უყვარდათ იგი. სტალინის (ახლანდელი მემედ აბაშიძის) გამზირზე დღესაც არის პატარა კაფე, რომელშიც იკრიბებოდნენ ბათუმელი ხელოვანები. ამ კაფეს ყოველდღიური სტუმარი იყო შოშიაც. ეს იყო ბათუმელების საყვარელი ადგილი სადაც საყვარელ ადამიანებთან შეხვედრის სიხარული სუფევდა.

ვინც დრამატურგის შემოქმედებას იცნობს დამერწმუნება, რომ ალექსანდრე ჩხაიძე ნამდვილად ჭეშმარიტი ბათუმელი და სამაგალითო მოქალაქე იყო.

თანადროულობის მძაფრი შეგრძნებებით, მორალურ-ეთიკური გრძნობით დამუხტულ მის დრამატურგიულ შემოქმედებას, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

შოშია ჩხაიძე ლიტერატურასა და დრამატურგიაში ჟურნალისტიკიდან მოვიდა, მაგრამ პუბლიცისტიკისთვის არ დაუნებებია თავი და პარალელურად გაზეთებში ყოველდღიურად აქვეყნებდა კორესპონდენციებსა და ინფორმაციებს, რეპორტაჟებსა და ნარკვევებს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. მისი პირველი ინფორმაციები გაზეთ ,,საბჭოთა აჭარაში'' დაიბეჭდა. მისგანაც ბევრჯერ აუღიათ ინტერვიუები, როგორც არაჩვეულებრივ დრამატურგთან და თეატრის მოღვაწეთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარესთან.

ჟურნალისტიკაზე უანგაროდ იყო შეყვარებული, მეტიც შესისხლხორცებული ჰქონდა ეს პროფესია. სწორედ ეს დამოკიდებულება გახდა წინაპირობა იმისა, რომ არ ეთმობოდა ჟურნალისტის კალამი. მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, ყოველთვის მზად ჰქონდა მწვავე, თანადროული პრობლემების ამსახველი სტატიები და წერილები, ღია ბარათები, უმეტესწილად თეატრისა და მაყურებლის ყოფით პრობლემებზე შექმნილი ნაწერები.

მისი წერილები, ბარათები თუ რეცენზიები საზოგადოებისთვის ერთგვარი შეხსენებაა სიახლის ძიების აუცილებლობისა. მისი მებრძოლი სული და გონება ერთ ადგილზე გაჩერებას ვერ ეგუებოდა და ამავეს ითხოვდა სხვებისგანაც, ვინაიდან სახელმწიფო სამართლიანობა დამოკიდებულია თავისუფლად მოაზროვნე საზოგადოების ნებაზე. როგორც თვითონ არ აპირებდა არსებულ რეჟიმთან შეგუებას, იგივე დამოკიდებულება სურდა მკითხველისაგან მიეღო. სიცოცხლის ბოლომდე ამ სულისკვეთებით იცხოვრა.

მაშინაც კი, როცა ჯანმრთელობის უმძიმესი პრობლემები შეექმნა და ფიზიკურად ვეღარ ასწრებდა სტატიებისა თუ რეცენზიების წერას, (რასაც ძალიან განიცდიდა) მაინც ცდილობდა ფორმიდან არ ამოვარდნილიყო, კვლავინდებურად ძველი შემართებითა და ენთუზიაზმით ემუშავა. კალამი ხელიდან სიცოცხლის ბოლომდე არ გაუშვია.

შოშია ჩხაიძის უკანასკნელი მასალა გაზეთ ,,აჭარის'', საახალწლო ნომერში დაიბეჭდა და თავის გარდაცვლილ მეგობრებს მიუძღვნა. მის

საყვარელ, ძვირფას ბათუმელებს მიუალერსა, თავადაც ნამდვილმა ბათუმელმა. თითქოს გული უგრძნობდაო და სულ მალე თვითონაც შეუერთდა იმიერ სამყაროს.

იგი იყო ბუზღუნა, ჭირვეული, საკმაოდ ბრაზიანი და პირდაპირიც იყო, სწორედ ყველა ამ თვისებებმა შესძინა მას ღირსებაცა და პატივი როგორც ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებაში. რომელშიც, მის არაორდინალურობასთან ერთად შეზავებული ირონია და თვითკრიტიკაც მრავლადაა წარმოდგენილი.

შოშიას სახლში მუდამ იმართებოდა საღამოები. მასთან იკრიბებოდნენ ერთი წრის ადამიანები, ნათესავები, მეზობლები, მეგობრები, მსახიობები, თანამშრომლები, კოლეგები თეატრიდან თუ გაზეთებიდან. მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო. ბევრს საუბრობდნენ სამომავლო გეგმებზე, ყოველდღიურ მოვლენებზე, მიღწევებზე, თეატრსა თუ პოლიტიკაზე. დიდი პომპეზურობის გარეშე ატარებდნენ დროს მშვიდ, მყუდრო გარემოში. საუბრობდნენ, ოხუნჯობდნენ, თამაშობდნენ სამაგიდო თამაშებს, ბევრსაც კამათობდნენ.

შოშიას სახლი საოჯახო სალონად იყო ქცეული. ეთერის, მისი მეუღლეს, რედაქციის მახლობლად, ძველი ორსართულიანი სახლის ერთ ოთახში, დრამატურგს სამუშაო კაბინეტიც, სასტუმრო ოთახიც, საძინებელიცა და ბავშვის ოთახიც ჰქონდა მოწყობილი. სწორედ ამ აქ დაიბადა მისი ერთადერთი ქალიშვილი მარინა. ახალი ბინის მიღების შემდეგ კი შეძლო გაეხსნა ნამდვილი სალონი, სადაც მისი მეუღლისგარდაცვალების შემდეგ მის მოუწია დიასახლისობა.

1998 წლის 27 იანვარს იმ მზიან დღესაც დიდხანს იქადაგა მისი საყვარელი მეგობრული შეკრებების ადგილას. შემდეგ თეატრში წავიდა. სწორედ ბათუმში პირველად იმ დღეს გაიმართა ,,ნინოობის'' დღესასწაული, როდესაც შოშია ჩხაიძემ შინ, თავის 6 წლის შვილიშვილ ნინოსთან გაატარა უკანასკნელი საღამო.

ბოლო პერიოდში თვითონაც ბევრჯერ უთქვამს, დიდი დღე აღარ დამრჩენიაო. ამას მეგობრები ისევ მის თვითირონიას აწერდნენ. განსაკუთრებით სამწუხარო იყო მისი გარდაცვალება იმითაც, რომ იმ წელს საიუბილეო თარიღის აღნიშვნას აპირებდა, ეს მაშინ როცა მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე არასდროს აღუნიშნავს და, მეტიც, მუდამ გაურბოდა ასეთ თარიღებს.

ენაკვიმატობა, ქილიკი არამხოლოდ სხვებისა იცოდა, საკუთარ თავზეც ბევრს ქილიკობდა და სხვებისგანაც იტანდა გაკრიტიკებას. საკუთარი თავის გაქილიკების საოცარი ნიმუშია ეს ეპიზოდიც: ,,რაოდენობით შექსპირზე მეტი პიესა დამიწერია, აი, ხარისხის კი რა მოგახსენოთ“. თუმცა, ეს უკანასკნელი მხოლოდ ავტორისეული დამოკიდებულებაა, ვინაიდან მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა მსოფლიო დონის წარმატებით იწონებს თავს.

დასკვნა

სადისერტაციო თემის მიზანს წარმოადგენდა, გამოგვეკვლია ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის შემოქმედება დრამატურგია, მხატვრული პროზა და პუბლიცისტიკა ავტორის შემოქმედებით საქმიანობაში, რომელიც საბჭოთა საქართველოს რეალისტური მოვლენებით იყო ნაკარნახევი. მათში ნათლად გამოვლინდა საბჭოურისახელმწიფო მანქანის მანკიერებები, რომელსაც საზოგადოების ყველა ფენა მოეცვა და ყველა სფეროში გამეფებულიყო.

საკვლევი თემის მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოვყავით შესაბამისი თავები და ქვეთავები, რითაც დავიცავით საკვალიფიკაციო ნაშრომის სისტემური მახასიათებლები. წარმოდგენილ მსჯელობაში ცალკეული საკითხების ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნები და შეჯამებები. მოცემული საკვლევი თემის განხილვით, საშუალება მოგვეცა დაგვეფიქსირებინა მოსაზრებები, ზოგადი დებულება-წარმოდგენები, ჩამოგვეყალიბებინა ალექსანდრე ჩხაიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი საერთო თავისებურებანი.

სადისერტაციო თემაში განვიხილეთ ავტორის დრამატურგია, პროზა, მხატვრული ნარკვევი, მემუარული პროზა და პუბლიცისტიკა, რომელთაც უმნიშვნელოვანესი ფუნქცია უკისრებიათ საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. ალ. ჩხაიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ანალიზი კიდევ ერთხელ გვარწმუნებსმისი შემოქმედების თანადროულობაზე, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის უდიდეს ღირებულებაზე.

ცალკე კვლევის საგნად ავიღეთ დრამატურგის პიესები, მოთხრობები, პუბლიკაციები და მისთვის განსაკუთრებული ნაწარმოები, ავტობიოგრაფიული წიგნი ,,ჩემი წილი საუკუნე'', რომელსაც ავტორი თავის მთავარ წიგნს უწოდებდა და რომელშიც სრულად იქნა წარმოჩენილიმისთვის სახასიათო თხრობის სტილი და მხატვრული ხერხები. ავტორი თავის წიგნში მხოლოდ ერთი საკითხის განხილვით არ შემოიფარგლება, მწერალს მრავლად აქვს მოყვანილი ისტორიული მოვლენები, რეალური ფაქტები,

ავტორბიოგრაფიული ფაქტები თუ პოლიტიკური მოსაზრებები, რაც მის ცალკეულ ტექსტებშიც შეგვიძლია ამოვიკითხოთ.

წარმოდგენილ შრომაში ვისაუბრეთ შოშია ჩხაიძის ქალი პერსონაჟების შესახებ. ყოველ თავის პერსონაჟში, განსაკუთრებით კი ქალებში, ავტორი უდიდესი ოსტატობით აქსოვს პატრიოტიზმისა და სამართლიანობის უმაღლეს გრძნობას.

მის შემოქმედებას ქვეყნისადმი გმირული პოზიციები, პატრიოტიზმი და სოციალისტური ცხოვრების გამოსწორების იდეა ასაზრდოებდა. დრამატურგის პიესებში ვხვდებით მეოცე საუკუნის საქართველოს მაჯისცემას, მხატვრულად მოთხრობილ რეალურ მოვლენებს, რითაც საზოგადოებისაგან საყოველთაო სიყვარული და პატივიცემა დაიმსახურა.

მისი, როგორც დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებას წარმოადგენდა ის ფაქტორომ მან შეძლო მწვავედ გადმოგვცა ეპოქალური მოვლენების კრიტიკული ანალიზი. მისი ცხოვრება თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა არასდროს შემოფარგლულა მხოლოდ მოვლენების თხრობით, პირადი თუ ელიტური ინტერესებით, შოშია ჩხაიძე მუდამ მასშტაბური აზროვნების უნარით გამოირჩეოდა. იგი კარგად იცნობდა მსოფლიო ისტორიასა და პოლიტიკას, რაც გახდა კიდეც მისი პროზისა თუ დრამატურგიის მთავარი წყარო. მას მოვლენების მძაფრად აღქმისა და წარმოჩინების საოცარი უნარი ჰქონდა.

მოცემულ სადისერტაციო ნაშრომზე დაყრდნობით ადვილი შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ დრამატურგის შემოქმედება ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში შესაბამისი ყურადღების მიღმაა დარჩენილი. მიუხედავად შესანიშნავი შემოქმედებითი საქმიანობისა თუ დამსახურებული ღვაწლისა, მისი ნააზრევი თანამედროვე ლიტერატურაში სათანადოდ არ არის განხილული. წარმოდგენილ ნაშრომი, რა თქმა უნდა, სრულყოფილ კვლევად არ მიგვაჩნია, თუმცა ვთვლით, რომ შოშია ჩხაიძის შემოქმედებით დაინტერესებულ მომავალ მკვლევრებს სათანადო დახმარებას აღმოუჩენს და

ზოგად მასალასთან ერთად, შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ მის ბიბლიოგრაფიას.

დრამატურგის შემოქმედების სრულფასოვნად შეფასებისას კი, ერთი მნიშვნელოვანი რამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, თუ რამდენად თანადროულად გაჟღერდა საბჭოეთისა და ყოფილი სოციალისტურ-კომუნისტური ბანაკის ქვეყნების თეატრალურ სცენებზე გაცოცხლებული მისი ყოველი პიესა.

მან თავისი შემოქმედებითი პიესებით, წიგნებით, პუბლიკაციებითა და მოთხრობებით შეძლო დაპირისპირებოდა იმ უმწვავეს პრობლემებს, რომლებიც ადამიანების ფსიქიკისა თუ ცხოვრებისათვის დამანგრეველი იყო. რისკების მიუხედავად,ავტორმათითოეული თემათამამად გააშუქა და საუკეთესოდ შეაჯამა როგორც პიესებში, ასევე მის უკანასკნელ წიგნში ,,ჩემი წილი საუკუნე''.ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ავტორის შემოქმედებით სულისკვეთებას, ეროვნულ მოტივს, იდეას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მწერლის ენა სადა, უბრალო, მარტივი, დახვეწილი და ამავდოულად პოლემიკურია. მისი ნაწარმოებები კი ეძღვნება ისეთ აქტუალურ თემებს, რომლებიც მოდუნების საშუალებას არ გაძლევს. შოშია ჩხაიძის შემოქმედების გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ მის ერთადერთ ცხოვრებისეულ კრედს წარმოადგენს ის სულისკვეთება, რომელსაც სრულ თავისუფლებამდე მივყავართ. მისი შესანიშნავი პიესები, მოთხრობები თუ პუბლიკაციები მკითხველს თავისუფლების მნიშვნელობასა და მის უზენაესობაზე აფიქრებს და ამავდროულად პრობლემების დაძლევაშიც ეხმარება.

ამდენად, საკვლევ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის ღვაწლი ქართული დრამატურგიის, პუბლიცისტიკის, კრიტიკული აზროვნებისა და ქართული საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებულია. თამამად

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ თეატრს ძალიან გაუმართლა. ვინაიდან, შოშია ჩხაიძის შემოქმედებით იგიგამდიდრდა არაერთი გამორჩეული დადგმით.

ფაქტია, დრამატურგის შემოქმედება მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით არ ყოფილა განმსჭვალული. მისი გული ასევე თეატრის უანგარო სიყვარულითაც ფეთქავდა. თეატრისა და დრამატურგიის შემოქმედებითი გაერთიანებით კი შექმნა ეპოქა, რომელიც ქართული ლიტერატურისა და თეატრის ისტორიაში საპატიო ადგილს იკავებს. მისი პიესების პერსონაჟები გამოირჩევიან ჭეშმარიტი გრძნობებით, იდეალებითა და ღირებულებებით. სრულყოფილად წარმოაჩენენ ეპოქის სატკივარს, ნაღველსა თუ სიხარულს. მათი ცხოვრებისეული ძალა მომდინარეობდა სამართლიანობის აღდგენისა და კანონიერების დაცვის უზენაესი პრინციპებით.

ალექსანდრე ჩხაიძის შემოქმედება მრავალფეროვანი, საინტერესო, სამშობლოს სიყვარულის მოტივებით განმსჭვალული, ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენებით დატვირთული, სევდიანი და მხიარულიც, საბოლოო ჯამში კი მეტად პროდუქტიული გახლდათ.

დრამატურგმა შეძლო და განახოციელა ის უმთავრესი მისია რითაც სულდგმულებს საზოგადოება. შეძლო და თქვა ის უმთავრესი სათქმელი, რომლის თქმასაც ვერავინ ბედავდა. არამარტო ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, უბრალო მოქალაქეებსაც ნათლად დაანახა კომუნისტური რეჟიმის სიყალბე და მანკიერებები.

მწერალი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ეპოქაში, რომელშიც გადამწყვეტი სიტყვა საბჭოთა რუსეთს ეკუთვნოდა, სადაც მოსკოვი წარმოადგენდნდა უმთავრეს, გადაწყვეტილების მიმღებ ცენტრს. ამდენად, ფაქტია, რომ მისი საქმიანობა მხოლოდ საბჭოური მავთულხლართებისგან გათავისუფლებისაკენ ბრძოლაში გაატარა, რაც ასე ნათლად აისახა მის მხატვრულ ნააზრევში. მისი პრინციპული პოზიცია, სიმართლის შეულამაზებლად მხილება და მართალი სიტყვა იკვეთება თითოეულ მის

ნააზრევში, იქნება დრამატურგია, მხატვრული ნარკვევი, ესსეისტიკა თუ პუბლიცისტიკა.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე:1990 - ბაქრაძე აკაკი, მწერლობის მოთვინიერება, თბილისი 1990წ;
2. გაფრინდაშვილი:2012 - ნანა გაფრინდაშვილი; შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები; თბილისი2012წ;
3. დიასამიძე:2001 - ავთანდილ დიასამიძე; მონატრება; ბათუმი 2001წ;
4. ეგაძე :1981 - ოთარ ეგაძე; თანამედროვეობის მხარდამხარ; თბილისი 1981წ;;
5. კომახიძე:1999 - თეიმურაზ კომახიძე; აჭარის კულტურის ისტორია; ბათუმი 1999წ;
6. სიგუა: 2002 - სიგუა სოსო; ქართული მოდერნიზმი; თბილისი 2002წ;
7. ჩხაიძე: 1993 -ალექსანდრე ჩხაიძე; ერთხელ...; ბათუმი 1993წ;
8. ჩხაიძე: 1980 - ალექსანდრე ჩხაიძე; ზღვა და ოთხი ქალიშვილი; ბათუმი 1980წ;
9. ჩხაიძე: 1955 - ალექსანდრე ჩხაიძე; ზღვისპირა ქალაქში; ბათუმი 1955წ;
10. ჩხაიძე: 1977 - ალექსანდრე ჩხაიძე; კვალი დედამიწაზე; ბათუმი 1977წ;
11. ჩხაიძე: 2009 - ალექსანდრე ჩხაიძე; პიესები; ბათუმი 2009წ;
12. ჩხაიძე:1973 - ალექსანდრე ჩხაიძე; როცა მთავრდება ბავშვობა; ბათუმი 1973წ;
13. ჩხაიძე:1998 - ალექსანდრე ჩხაიძე; ჩემი წილი საუკუნე; ბათუმი 1998წ;
14. ჩხაიძე: 1991 -ალექსანდრე ჩხაიძე; ჩვენებურები; ბათუმი; 1991წ
15. ჩხაიძე: 2009 - ალექსანდრე ჩხაიძე, პიესები, ბათუმი2009წ;
16. ჩხაიძე: 1983 - „მიწის ყივილი“ - ჟურნალი „საბჭოტა ხელოვნება“; #1; 1983წ; გვ 135-155
17. ავტორთა ჯგუფი; ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა; ტომი I;

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; თბილისი 2016წ;
18. ავტორთა ჯგუფი; ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა; ტომი II; შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; თბილისი 2019წ;
19. ავტორთა ჯგუფი; XX საუკუნის ქართული ლიტერატურა;ნაწილი I; ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; თბილისი 2016წ;
20. ავტორთა ჯგუფი; ქართული ლიტერატურა; ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში; ნაწილი I და II; თბილისი2016წ;
21. გაზეთი ,,აჭარა'' (1999). N50-51 (20.626-20.627), ალავიძე პეტრე, ,,ლიტერატურაში იგი ჟურნალისტიკიდან მოვიდა'';
22. გაზეთი ,,აჭარა'' (2004). N40 (22.044), ბიბილეიშვილი იური, , ,ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძე - 80“, ბათუმი;
23. გაზეთი ,,აჭარა'' (1998). N23(20.336), ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია ... ,,გამოსათხოვარი ალექსანდრე ჩხაიძე'';
24. გაზეთი ,,აჭარა'' (2003). N17 (54), ლელა დუმბაძე, ,,გიჟების მეფე'', რომლის შემოქმედებით ცხოვრებაში ,,მესამე ზარი'' ბევრჯერ დაირეკა'', ბათუმი;
25. გაზეთი ,,აჭარა'' (2004) . N142 (22.146), ზამბახიძე ანზორ, ,,გამოუქვეყნებელი ფრაგმენტები წიგნისა ,,ჩემი წილი საუკუნე'';
26. გაზეთი ,,აჭარა'' (2008). N9 (22.927), ზამბახიძე ანზორი, ,,ჩვენი შოშია'', ბათუმი;
27. გაზეთი „აჭარა'' (1997). N 205-206, ჩხაიძე შოშია, „ჩემი წილი საუკუნე“, ბათუმი;
28. გაზეთი ,,ბათუმი'' (1999). N9(92), ,,გამონაკლისი მამაკაცისათვის, რომელიც ვერ მოესწრო თავის იუბილეს'';
29. გაზეთი ,,ბათუმი'' (1998). N 3-(47), საქართველოს მწერალთა ორგანიზაცია აჭარის კულტურის სამინისტრო, ,,ალექსანდრე ჩხაიძე'';

30. გაზეთი ,,თბილისი'' (1983). N167 (9185), გასტროლები თბილისში, ,,ალექსანდრე ჩხაიძის პიესა სტავროპოლის სცენაზე'', თბილისი;
31. გაზეთი ,,თბილისი'' (1982). N 264 (8982), ,,ჩინარის მანიფესტი ალექსანრე ჩხაიძის პიესის პრემიერა მოსკოვში'';
32. გაზეთი ,,ლიტერატურული საქართველო'' (1993). N 37 (3917), საქართველოს მწერალთა კავშირი, ,,ალექსანდრე ჩხაიძე - 70'', გიგა ლორთქიფანიძე ,,ღია წერილი მეგობარ დრამატურგს''
33. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა" (2000). N 60-61, ახვლედიანი ა ზიზ, ზამბახიძე ანზორი, ,,მისი წილი საუკუნე", ბათუმი;

ინტერნეტრესურსები:

34. ,,ცისფერი მთების დაუსრულებელი ამბავი''. მოძიებულია 24 აპრილი, 2019; https://helloblog.ge/story/98268
35. ,,მონანიება - ფილმი, რომლის გადასაღებად თენგიზ აბულაძე საიქიოდან დაბრუნდა''. მოძიებულია 14 აგვისტო, 2018; https://nostal.ge/2018/08/14/monanieba-filmi/
36. ,,ტაძარი და ბაზარი. გვიანი საბჭოეთის ფასეულობანი''. მოძიებულია 10 აპრილი, 2020; https://literature.iliauni.edu.ge/literature/tadzari-da-bazari-gviani-sabtchoethis-phaseulobebi/
37. ,,კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა და მკითხველს შეუყვარდა''. მოძიებულია 16 მარტი, 2019; https://www.qwelly.com/profiles/blogs/dochana
38. ,,გურამ დოჩანაშვილი კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა''. მოძიებულია 24 თებერვალი, 2016; http://mastsavlebeli.ge/?p=9159
39. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00014460/
40. თავისუფალი ენციკლოპედია, ვიკიპედია;

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%
A5%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94_%E1%83%A9%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94

41. ,,ვერიკო ანჯაფარიძე - შთამომავლობა''. მოძიებულია 2 სექტემბერი, 2009; https://burusi.wordpress.com/2009/09/02/veriko-anjaparidze-2/
42. ,,ცხოვრება საბჭოთა საქართველოში''. მოძიებულია 4 ივნისი, 2021; https://www.radiotavisupleba.ge/a/31291057.html
43. ,,საბჭოთა ,,მონობაში'' აკრძალული ლიტერატურა და ფილმები''. მოძიებულია 5 ივნისი, 2018; https://mythdetector.ge/ka/sabtchotha-monobashi-akrdzaluli-literatura-da-philmebi/
44. ,,საბჭოთა პოლიტიკა და ჩანასახშივე დახვრეტილი შედევრები''. მოძიებულია 12 ივლისი, 2018; http://liberali.ge/articles/view/38361/sabchota-politika-da-chanasakhshive-dakhvretili-shedevrebi
45. ,,წიგნი დიდ ჩვენებურებზე''. მოძიებულია 26 იანვარი, 2022. https://www.qelite.info/georgian_elite/2022/01/26/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93-%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%96%E1%83%94/
46. ,,სოციალიზმი ქართულ ფერებში''. მოძიებულია 2016; https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/press/cignebi/socializmi-qartul-ferebshi.page